

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტრულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

გურამ მარკოიძე

სიტყვაწარმოება სამხრულ კილოებში

(ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი მათა ბარამიძე

ბათუმი

2019

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

გურამ მარკოიძე

(ხელმოწერა)

.....

(თარიღი)

შინაარსი

შესავალი-----	5
თავი I. წარმოქმნილ სიტყვათა შინაარსობრივი ჯგუფები	
1.1. ქონების სახელთა წარმოება-----	17
1.2. უქონლობის სახელთა წარმოება-----	24
1.3. წარმომავლობის სახელთა წარმოება-----	27
1.4. აბსტრაქტულ სახელთა წარმოება-----	37
1.5. დანიშნულების სახელთა წარმოება-----	40
1.6. წინა ვითარების სახელთა წარმოება-----	44
1.7. ხელობის სახელთა წარმოება -----	45
1.8. გეოგრაფიულ სახელთა წარმოება-----	46
1.9. ხარისხის სახელთა წარმოება-----	53
1.10. კნინობით სახელთა წარმოება-----	54
1. 11. მცენარეთა კრებულის სახელთა წარმოება-----	57
თავი II. ქართულ-თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები სამხრულ კილოებში	
2.1. თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა შესაბამისი ძირეულებიც თურქულია ან სხვა ენიდანაა შესული თურქულში-----	60
2.2. ქართულ ძირეულთაგან თურქული სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები---	67
2.3. ქართული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა შესაბამისი ძირეულები თურქულია-----	68
თავი III . კომპოზიტები	
3.1. ფუძეგარკეცებული კომპოზიტები-----	77
3.2. ასონანსური კომპოზიტები-----	79
3.3. ნაირფუძიანი კომპოზიტები-----	83
თავიIV. სახელზმნის წარმოება	
4.1 საწყისის წარმოება-----	86

4.2. მიმღეობის წარმოება-----	88
დასკვნები -----	96
გამოყენებული ლიტერატურა -----	102
შემოკლებათა განმარტებანი-----	109

შესავალი

სამხრეთ საქართველო მოიცავს ჭოროხის აუზის ცალკეულ რეგიონს მტკვრის ზემოწელთან ერთად (აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი...). სამხრული დიალექტების გავრცელების არეალი სწორედ დასახლებულ ადგილებს შეადგენს.

მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი კერა ჭოროხის აუზი იყო. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ბევრი უღვაწია ქართველ კაცს ამ კუთხის დაწინაურებისა და აყვავებისათვის. დღესაც აოცებს მნახველს აქაური მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევია: ოშკი, ბანა, იშხანი, ხახული, პარხალი, ოპიზა, ოთხთა ეკლესია, დოლისყანა.. არტანუჯის, ართვინის, თორთომის ციხეები. ხსენებული რეგიონი ძველად ქმნიდა რამდენიმე პროვინციას: აჭარას, შავშეთს, ტაოსა და სპერს. უძველესი დროიდან მოყოლებული მთელი ეს ტერიტორია ქართული ტომებით იყო დასახლებული, შესაბამისად, ქართულენოვან სივრცეს წარმოადგენდა.

საქართველოს სამხრეთი პროვინციები XVI საუკუნიდან მოყოლებული ოსმალეთმა მიიტაცა, რასაც თან მოჰყვა აქაურთა იძულებით გამაჰმადიანება. XIX-XX საუკუნეებში მუჰაჯირობის დიდმა ტალღამ გადაუარა სამხრეთ საქართველოს. ადგილობრივი მოსახლეობა აყარეს ძველი საცხოვრისიდან და გადაასახლეს ოსმალეთის შიგა პროვინციებში, სადაც მათ კუთხეების მიხედვით ჩამოაყალიბეს ახალი დასახლებები. მუჰაჯირთა რამდენიმე თაობა ადგილობრივი თურქული მოსახლეობისაგან იზოლირებულად ცხოვრობდა, შესაბამისად, ინახავდა ქართულ ენასა და ადათ-წესებს. დრომ თავისი გაიტანა. გადასახლებულებიც ჩაერთვნენ ქვეყნის სამეურნეო საქმიანობაში, შვილები სკოლაში შეიყვანეს... თანდათან დაიწყო ასიმილაციის „ძნელი და დამთრგუნველი პროცესი“ (ნ. მარი), ქართული ენა დროთა განმავლობაში საოჯახო ურთიერთობის ენად იქცა, ხშირად აქედანაც გამოდევნა თურქულმა - სახელმწიფო ენამ. ბევრ სოფელში საერთოდ დაივიწყეს წინაპართა ენა, ქართული ადათ-წესები და ეთნოგრაფიული ყოფა, მაგრამ ეს ყველაფერი უკვალოდ არ გამქრალა- დაილექა ახალ კულტურაში.

ჭოროხის „ქვეყნების“ თანამედროვე ვითარების შესწავლაც ცხადყოფს, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, მიუხედავად ამისა, აქ ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე რეგიონი თავისი მეტყველებით, ეთნოგრაფიული ყოფით, კულტურით...

ქართული ენა იყოფა ტერიტორიულ დიალექტებად: ქართლური, კახური, მესხურ-ჯავახური (იგივე: სამცხურ-ჯავახური), ხევსურული, თუშური, ფშაური, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, რაჭული, ლეჩხუმური, იმერული, გურული, აჭარული. რამდენიმე დიალექტი საქართველოს ფარგლებს გარეთაა: ინგილოური (აზერბაიჯანში), კლარჯული, შავშური და ტაოური (თურქეთში) და ფერეიდნული (ირანში, მე-17 საუკუნეში ძალდატანებით გადასახლებულ ქართველთა მეტყველება).

სამხრული კილოების გავრცელების ძირითადი არეალი ჭოროხის აუზია, რომლის უმეტესი ნაწილი დღეს თურქეთის შემადგენლობაშია და ძირითადად ართვინის პროვინციის ტერიტორიას შეადგენს. ქართულ ენაზე მეტყველებენ შავშეთის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში (იმერხევში, უსტამისსა და ჩიხისხევში), ნიგალში - ჭოროხის ხეობაში მარადიდიდან ართვინამდე (მურლულის ხეობითურთ); ზედა მაჭახლის (მაჭახლის ხეობის თურქული ნაწილის) ექვს სოფელში, ტაოში-პარხლისწყლის აუზის რამდენიმე სოფელში. აჭარასთან (და საქართველოს სხვა რეგიონებში შიდა მიგრაციის შედეგად დაფუძნებულ ზოგიერთ სოფელთან) ერთად სწორედ დასახლებული ტერიტორია წარმოადგენს სამხრული დიალექტების გავრცელების არეალს ისტორიულ სამხრეთ საქართველოში.

ისტორიულმა რეალობამ წარუშლელი კვალი დატოვა ჭოროხის აუზის მოსახლეობის ყოფაზე. ისტორიულ - კულტურული მეხსიერება ინახავს არაერთი ისტორიული ეპოქის ტრაგიკულ თუ საამაყო ნიშანს. ეს ნიშნები ვლინდება, როგორც მატერიალურ კულტურაში, ასევე ადათ-წესებში, ლეგენდებსა და თქმულებებში, ტოპონიმებში, ქართულ მეტყველებაში და ენადაკარგულ ქართველთა თურქული მეტყველების ქართულ ლექსიკაშიც კი... თანამედროვე მოსახლეობაში ამ ინფორმაციის შეგროვება და სისტემაში მოყვანა მრავალმხრივ სურათს ხატავს რეგიონის წარსული თუ ამჟამინდელი ყოფის შესახებ და, ამასთან, თვალსაჩინოდ წარმოაჩენს არაერთ პრობლემას. ამდენად, კულტურათა უთანასწორო დიალოგის

შედეგები, ისტორიული ქართული პროვინციების თანამედროვე ვითარება განაპირობებს უკანასკნელ წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ წარმოებული კვლევების აქტუალურობას.

ქართულ ენათმეცნიერებაში დიალექტთა კლასიფიკაციისას აჭარული და იმერხეული სხვადასხვა ჯგუფში შეუტანიათ, კერძოდ, აჭარული და იმერხეული ქმნიან ქართული ენის დიალექტთა სამხრულ-დასავლურ ჯგუფს (მარტიროსოვი, 1972; ფუტკარაძე, 1995).

გურული, აჭარული და იმერხეული ქმნიან დასავლეთ საქართველოს ქვემო ზონის დიალექტთა ჯგუფს (ჯორბენაძე, 1989).

ბოლო წლებში ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შეინიშნება მცდელობა დიალექტთა არსებული კლასიფიკაციის გადასინჯვისა. განსაკუთრებით ეს შეეხება სწორედ თურქეთის ტერიტორიაზე მოსახლე ქართველთა მეტყველებას. ნაშრონში მკვლევართა მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიებში ასახულ თვალსაზრისს ვეყრდნობით და უპირველესად ყურადღებას ვამახვილებთ სამხრული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციის სამ საკითხზე.

ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქვეყანა: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, სპერი.... ხეობის მოსახლეობის ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ერთმანეთთან და მეზობელ რეგიონებთანაც.... კვლევები ადასტურებენ, რომ ჭოროხის „ქვეყნების“ ავტოქტონური მოსახლეობის მეტყველება ერთმანეთთან ახლოს მდგომი დიალექტებია და გულისხმობენ საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს, ბევრი საერთო აქვთ ლექსიკაშიც, ამიტომაც გამოვყოფთ მათ ქართული ენის დიალექტთა ცალკე ჯგუფად და ვუწოდებთ სამხრულ კილოებს/სამხრულ დიალექტებს, ან სამხრულ მეტყველებას (ცინცაძე, ფაღავა, 1998; ფაღავა, 2003). ეს ტერმინები კარგად ასახავს არსებულ სინამდვილეს.

შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობისას (1904 წლის ზაფხულში) ნიკო მარი აკვირდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველებასაც და მას **იმერხეული კილო** უწოდა. თუ კარგად შევისწავლით მკვლევარის მოგზაურობის გეოგრაფიას, ეს

არცაა გასაკვირი, რადგან მან სამხრეთ საქართველოს ეს სექტორი მოიარა, იმერხევისა და მისი მიმდებარე კლარჯეთის სოფლები. ნ. მარმა ჩაიწერა მცირე მოცულობის ფოლკლორული და დიალექტოლოგიური ტექსტები. „დღიურებიდან“ ჩანს, რომ მას იმერხეველთა და კლარჯთა მეტყველება ან ფოლკლორი სპეციალურად არ უკვლევია, ნ. მარმა სხვა მიზნით იმოგზაურა, აინტერესებდა შვშეთ-კლარჯეთის ამ სექტორში გაბნეული მატერიალური კულტურის ძეგლები, უფრო წმ. გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ დაარსებული ეკლესია-მონასტრები.

ბოლო დროს პროფ. შ. ფუტყარაძე შეეხო პირველად თურქეთელ ქართველთა მეტყველებას და თურქეთის რესპუბლიკაში გავრცელებულ ქართულში გამოყო: იმერხეული (ძალაში დატოვა ნ. მარის ტერმინი, უკვე გაზიარებული ლინგვისტურ ქართველოლოგიაში, თუმცა აღნიშნიშნული ტერმინით გამოსახა მხოლოდ იმერხეველთა მეტყველება, განსხვავებით მარისაგან, რომელიც იმერხეულად მიიჩნევდა შავშეთსა და ზემო კლარჯეთს, სადაც ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ ისმოდა ქართული), ლივანური, მაჭახლური და ტაოს ქართული, ცალკე განიხილა მუჰაჯირთა მეტყველება (ფუტყარაძე, 1993;1995).

ამდენად, პროფ. შ. ფუტყარაძის მოსაზრებით, ასეთი ვარიანტი გვაქვს სამხრეთ საქართველოს ქართულის დიალექტური დაყოფისა:

1. იმერხეული;
2. ლივანური;
3. მაჭახლური;
4. ტაოს ქართული;
5. აჭარული;
6. (მუჰაჯირთა ქართული).

განსხვავებულ და სავსებით მისაღებ მოსაზრებას გვაწვდის პროფესორი მამია ფაღავა. მისი აზრით, სამხრულ მეტყველებაში ოთხი დიალექტი უნდა გამოიყოს:

1. აჭარული (ზემო და ქვემო აჭარული, ქობულეთური, თავისი კილოკავებით);
2. შავშური (მაჭახლური და იმერხეული კილოკავებით);
3. კლარჯული;
4. ტაოური;

გამომდინარე იქიდან, რომ მუჰაჯირებმა ახალ საბინადროში თან წაიღეს სწორედ მშობლიური ენის დიალექტი, მუჰაჯირთა შთამომავლობის მეტყველებას იგი სამხრული მეტყველების (სამხრული დიალექტების) შესასწავლ დამატებით მასალად მიიჩნევს (ფაღავა, 2004: 2015).

ის ფაქტი, რომ ქართულ დიალექტოლოგიაში არ არის ერთგვარობა სამხრული მეტყველების დიალექტური დიფერენციაციის საკითხთან დაკავშირებით, ბუნებრივიცაა, რადგან სხვადასხვა ავტორი კლასიფიკაციისას ეყრდნობა განსხვავებულ მონაცემებს, სხვადასხვა საკლასიფიკაციო პრინციპს.

სამხრული მეტყველების დიალექტური დაყოფისას გასათვალისწინებელია ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორები.

გთავაზობთ პროფესორ მამია ფაღავასეულ კლასიფიკაციას. როგორც აღვნიშნეთ, სამხრული მეტყველების ინტენსიური შესწავლის საფუძველზე, ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტების გათვალისწინებით, პროფ. მ. ფაღავამ ასეთი ვარიანტი შემოგვთავაზა:

შავშური კილო//შავშური დიალექტი კილოკავებით: ა. იმერხეული, ბ. მაჭახლური.

კლარჯული კილო//კლარჯული დიალექტი კილოკავებით ა. ზემოკლარჯული ბ. ქვემოკლარჯული (ლივანური)

ტაოური კილო//ტაოური დიალექტი

აჭარული კილო//აჭარული დიალექტი კილოკავებით: ზემოაჭარული, ქვემოაჭარული და ქობულეთური.

„აჭარული, შავშური, კლარჯული და ტაოური ქმნიან დიალექტთა ჯგუფს, რომელსაც სამხრულ დიალექტებს/სამხრულ კილოებს ან სამხრულ მეტყველებას ვუწოდებთ“ (ფაღავა, 2013: 136-141).

აჭარული, კლარჯული, შავშური და ტაოური ერთმანეთან ახლოს დგანან, გულისხმობენ საერთო ფონეტიკურ და გრამატიკულ გარდაქმნებს, მათ ბევრი საერთო აქვთ ლექსიკაშიც, ისინი ქმნიან ერთმანეთან ახლოს მდგომ ქართული ენის დიალექტთა სამხრულ ჯგუფს (ფაღავა, 2002), ისტორიულ სამხრულ მეტყველებას (მიძიგური 1957, ნიჟარაძე 1975).

უნდა დავეთანხმოთ მკვლევარ მამია ფალავასეულ მოსაზრებას, რომ ტერმინი - სამხრული კილოები უფრო მოხერხებულიცაა და რეალობის აღმსახველიც (ფალავა, 2005).

ამდენად, ვითვალისწინებთ რა საკითხის კვლევის ისტორიას და არსებულ თვალსაზრისებს, წარმოდგენილ ნაშრომში სამხრულ კილოებს//სამხრულ მეტყველებას ვუწოდებთ აჭარულს, შავშურს, კლარჯულს, ტაოურს(ფალავა, ცინცაძე).

რაც შეეხება მუჰაჯირთა მეტყველებას - აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველება ტიპური აჭარულია, შავშელებისა - შავშური, კლარჯელებისა - კლარჯული, და ა.შ. მუჰაჯირებს შენარჩუნებული აქვთ წინაპართა რეგიონების მკვიდრთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი აქცენტებიც, ეს მეტყველება თავისუფალია სალიტერატურო ენის გავლენისგან, უფრო მეტიც, მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებამ შეინახა სამშობლო რეგიონების ბევრის თავისებურება, რომელიც ახასიათებდა საუკუნუნახევრის წინ და რომელიც „დაივიწყა“ აჭარულმა აჭარაში. კლარჯულმა კლარჯეთში, შავშურმა შავშეთში, და ა. შ. ამდენად, მუჰაჯირთა მეტყველება საყურადღებოა ენის ისტორიისათვის.

„სამხრული დიალექტების კვლევის დროს, აღარაა საკმარისი დღევანდელი ჭოროხის აუზის მკვიდრთა მეტყველებაზე დაკვირვება, აუცილებელია, გავითვალისწინოთ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაც“ (ფალავა, 2016: 112).

ჩვენს საკვლევ საკითხს წარმოადგენს „სიტყვაწარმოება სამხრულ კილოებში“.

ენის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მრავალფეროვანი და საინტერესო საკითხი მისი აფიქსური სიტყვაწარმოებაა.

სიტყვაწარმოება სიტყვის აგების ტექნიკას შეისწავლის. სიტყვაწარმოების შესახებ, თუ რომელ დარგს განეკუთვნება სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

ა) სიტყვაწარმოებას მორფოლოგიაში განიხილავს მეცნიერთა ჯგუფი: აკაკი შანიძე (შანიძე, 1973), ვ. ვინოგრადოვი (ვინოგრადოვი, 1947), მ. პეტერსონი (პეტერსონი, 1952), დ. ანდრეიჩინი (ანდრეიჩინი, 1956), ლ. ბულახოვსკი (ბულახოვსკი, 1952), ა. შიროკოვა (შიროკოვა, 1952), ი. დემერიევი (დემერიევი, 1953)....

ბ) სიტყვაწარმოებას გრამატიკის დამოუკიდებელ დისციპლინად თვლიან: ჰ. პაული (პაული, 1920), ა. შახმატოვი (შახმატოვი, 1936), ვ. ტრავნიჩევი (ტრავნიჩევი, 1950), ნ. ფელდმანი (ფელდმანი, 1960), ვ. ბაბაკაევი (ბაბაკაევი, 1961), ტ. კატენინა (катенйна, 1960)...

გ) სიტყვაწარმოებას ლექსიკოლოგიის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ: არნ. ჩიქობავა (არნ. ჩიქობავა, 1940), ვ. თოფურია (ვ. თოფურია, 1956), კ. ლევკოვსკაია (კ. ლევკოვსკაია, 1956), ნ. ტოლსტაია (ნ. ტოლსტაია, 1960), ალ. ღლონტი (ალ. ღლონტი, 1971), ივ. ქავთარაძე (ივ. ქავთარაძე, 1972), ანტ. კიზირია (ანტ. კიზირია, 1974), თ. ზურაბიშვილი (თ. ზურაბიშვილი, 1957), რ. გაბეჩავა (რ. გაბეჩავა, 1971)...

ლექსიკოლოგია სწავლობს ლექსიკის შემადგენლობას, მისი განვითარების დინამიკასა და საშუალებებს. ამდენად, სიტყვაწარმოება მორფოლოგიიდან ლექსიკოლოგიაში გადადის და ლექსიკოლოგიის კუთვნილება ხდება (ვ. თოფურია, 1956, 33). ბუნებრივი და კანონზომიერი იქნობოდა ფუძის წარმოქმნა იქ განგვებილა, სადაც ფუძეთა შინაარსობრივი კლასიფიკაცია მოხდებოდა. ეს ნიშნავს: ნაწარმოებ ფუძეთა საკითხი ლექსიკოლოგიის საკითხი უნდა იყოს და არა მორფოლოგიისა (არნ. ჩიქობავა, 1964, 41).

დ) სიტყვაწარმოება ორი საენათმეცნიერო დისციპლინის - გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის შესასწავლი ობიექტია: ა. ხაკულინენი (ა. ხაკულინენი 1953-1955), ი. არნოლდი (ი. არნოლდი, 1959). სიტყვაწარმოებასა და ლექსიკოლოგიას იმიტომ უკავშირებენ ერთმანეთს, რომ ორივეს სიტყვასთან აქვს საქმე. მორფოლოგია სიტყვის აგებულებას სწავლობს, ხოლო ლექსიკოლოგიასთან კავშირი იმით საბუთდება, რომ ნაწარმოები სიტყვა გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია (ფოჩხუა, 1974).

სიტყვაწარმოება ორი მომენტის გათვალისწინებას გულისხმობს: სიტყვის აგების ტექნიკა, ფუძისა და აფიქსის ურთიერთმიმართება მორფოლოგიის ამოცანაა, ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობის დადგენა კი ლექსიკოლოგიას ევალება. დერივაციული აფიქსები მოკლებულია დამოუკიდებელ მნიშვნელობას და მხოლოდ ფუძესთან შეერთებით ავლენს თავის ფუნქციას. გარდა ამისა, დამოკიდებულების

აღმნიშვნელი და ფუძის საწარმოებელი აფიქსების გამიჯვნა ყოველთვის არ ხერხდება (ტუსკია,1975).

სახელთა წარმომქმნელი აფიქსების ფუნქციებისა და გავრცელებულობის შესწავლისას „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“ ვეყრდნობით, რადგან „იგი წარმოადგენს სალიტერატურო ქართულში ხმარებული სიტყვების საკმაოდ სრულ სიას“ (ფოჩხუა, 1972:163); „თითქმის ყველა სიტყვა, დღეს ჩვენ ქართულში რომ იხმარება, ამ ტომებშია მოქცეული. ქართული სიტყვის იმ ამოუწურავ მარაგს, ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა, მეცნიერება, პუბლიცისტიკა და პრესა დღეს რომ იყენებს, ამ ვეებერთელა ლექსიკონშია დამყარებული“ (შენგელია,1972:117).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ აღნუსხულია ყველა ის ლექსიკური ერთეული, „რაც კი არის დამკვიდრებული ამჟამად სიტყვაკაზმულ მწერლობაში, სამეცნიერო და პოლიტიკურ მწერლობაში, პრესაში, - ერთი სიტყვით წიგნის მეტყველებაში“ (ქეგლ, I; 107. ღლონტი,1971). აქვე შემოდის ძველი ქართულისა და დილაექტური წარმომავლობის ლექსიკური ერთეულები, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგისათვის განკუთვნილი ტერმინებიც, ე.ი. ის შეუნაცვლებელი სიტყვები, რომელთაც სალიტერატურო ენაში სინონიმები არ მოეპოვებათ“ (ფოჩხუა, 1971; 163).

ვ. თოფურია ერთ-ერთი დიალექტის - აჭარულის შესახებ წერდა: „საჭიროა ამ ახლო მომავალში ამ საინტერესო დიალექტის სოფელ-სოფელ შესწავლა“ (თოფურია, 1961). ეს სიტყვები მით უფრო სამხრულ კილოებზე ითქმის, რადგან სამხრული კილოები მით უფრო დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებული.

მ. ტუსკია მონოგრაფიაში - სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში - ცალკე თავად გამოყოფს საკითხს - „სახელთა წარმოქმნა ქართული ენის დიალექტებში“ (ტუსკია, 1975: 167-170), მაგრამ აქ მხოლოდ აჭარულს განიხილავს ავტორი ძალიან მოკლედ, ზოგადად და ისიც მხოლოდ სახელთა წარმოქმნას და არა სიტყვაწარმოებას.

თემის აქტუალობა. საკითხი - სიტყვაწარმოება სამხრულ კილოებში აქტუალურია იმდენად, რამდენადაც აქტუალურია საერთოდ სამხრული კილოების, მათი ყველა მხარის შესწავლა, რაც საინტერესო და სასწრაფო საქმედ გვესახება, რადგან,

ამ დიალექტებში ჯერჯერობით გადარჩენილია ქართული მეტყველება, ქართული ცნობიერება, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქართული გაქრობის წინაშე დგას: ახალგაზრდები, ბავშვები ვეღარ ან აღარ ლაპარაკობენ ქართულად, თუმცა ზოგი რამ ესმით და იგებენ.

საგულისხმოა გულისტკივილი, ერთგვარი შეშფოთებაც კი აქაური ქართული წარმომავლობის მოსახლეობისა, რომელიც გრძნობს, განიცდის ამ საფრთხეს და გულისტკივილით ამბობს: *ჩვენი ბევრი გადაბრუნებულია (=შეცვლილია), გურჯიჯა აღარ დარჩა; მე ვერ ვიკითხავ გურჯიჯა, გენჯებმა (=ახალგაზრდებმა) აღარ იციან; ბაღნები არ დეიწავლიან, გურჯიჯა არ იციან; ჩემ ბაჯლებმა (=გოგოებმა) იგნებენ და ვერ ილაპარაკებენ; დიდრუანი ვლაპარაკობთ კიდევ გურჯულის, წვრილები აღარ პარაკობენ; დრო რამდენიც გადის, იკარგვის ქართული, ერთი ენა არ იხმარე, არ იხმარე, დამავიწყდა.*

აი, რა აწუხებთ, რა სტკივათ იქაურ ქართველებს, ამიტომაც არის აქტუალური ამ კუთხის მეტყველების, თუნდაც მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარის - სიტყვაწარმოების შესწავლა. ამ კილოების მონაცემებს განუზომელი მნიშვნელობა აქვს ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხის კვლევისათვის.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი აქტუალური და საინტერესო იქნება ისტორიულ ასპექტში დიალექტის ცვლილებების გასათვალისწინებლად, იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ შეიცვალა უცხო ენობრივ გარემოში მოქცეული ქართული მეტყველება, რომელიც ხანგრძლივად მოწყვეტილი იყო სხვა ქართულ კილოებს და არ განიცდიდა სალიტერატურო ენის გავლენას.

თემის მიზანი. ქართული ენის დიალექტების შესწავლა ქართული დიალექტოლოგიისა და საერთოდ ქართველოლოგიის მნიშვნელოვანი ამოცანაა. ეს განსაკუთრებით ეხება ისტორიული საქართველოს - თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში მოქცეული კუთხეების ქართულ მეტყველებას, რომელიც სხვა კილოთაგან განსხვავებით ნაკლებად არის შესწავლილი და რომლის დიდძალი მასალაც დაგროვდა უკანასკნელ ხანს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ენათმეცნიერების ერთ-ერთი საინტერესო საკითხის - სიტყვაწარმოების შესწავლა სამხრულ კილოთა მასალების მიხედვით. კერძოდ: წარმოქმნილ სიტყვათა შინაარსობრივი ჯგუფებისა და სამხრული მეტყველების აფიქსთა ზოგადი დახასიათება; წარმოქმნილი სიტყვების კლასიფიკაცია ძირეულთა და აფიქსთა წარმომავლობის მიხედვით; სიტყვაწარმოების თვალსაზრისით სხვადასხვა სოფლის მკვიდრთა ქართული მეტყველების მსგავსება-განსხვავებზე დაკვირვება და ქართული ენის სხვა დიალექტებისა და სამხრულ კილოთა ურთიერთმიმართების შესწავლა; სამხრული მეტყველების სიტყვაწარმოების თავისებურებათა და კანონზომიერებათა გამოვლენა.

სამეცნიერო სიახლე და შედეგები. ნაშრომი „სიტყვაწარმოება სამხრულ კილოებში“ შეავსებს სამხრული მეტყველების შესახებ უკვე არსებულ გამოკვლევებს და შეიქმნება ერთიანი სურათი სამხრული კილოების თავისებურებათა გამოსავლენად სიტყვაწარმოების თვალსაზრისით.

წარმოდგენილი ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ სიტყვაწარმოება სამხრულ კილოებში, დამოუკიდებელ, ცალკე საკითხად, არ არის შესწავლილი. მართალია, მკვლევარები (ბ. ჯორბენაძე, შ. ნიჭარაძე, შ. ფუტკარაძე, მ. ცინცაძე, მ. ფალავა და სხვები) დიალექტების მიმოხილვისას განიხილავენ სიტყვაწარმოების საკითხებსაც, მაგრამ იგი ცალკე, სპეციალური მსჯელობის საგანი არ ყოფილა.

თ. უთურგაიძე აღნიშნავს: „დიალექტი მიუხედავად იმისა, ვითარდება ენის შიგნით, სხვა მონათესავე ქვესისტემის გვერდით თუ ამ სისტემისაგან იზოლირებულად, უცხო ენობრივ გარემოში, გარკვეულ პერიოდსა და პირობებში, მაინც განაგრძობს განვითარებას თავისი შინაგანი კანონებით, რომლებიც საერთოა ენისათვის, რომლის ქვესისტემასაც ეს დიალექტი წარმოადგენს“. სწორედ ამ ორი რიგის ცვლილებების - ენის განვითარების შინაგანი კანონებისა და უცხო - თურქულენოვანი გარემოს გავლენის შედეგად მომხდარი ცვლილებების გამოყოფა და მათი ანალიზი იქნება ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევის გამოყენება შესაძლებელია ქართული ენის ისტორიის, ქართული ლექსიკოლოგიის,

დიალექტოლოგიის, ენათმეცნიერების... რიგი საკითხის სწავლებისა და კვლევებისათვის.

კვლევის მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჩატარებული საველე სამუშაოების პარალელურად შევისწავლეთ სათანადო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. ბუნებრივია ისიც, რომ ნაშრომის საფუძველია უკანასკნელი წლების საენათმეცნიერო კვლევების შედეგები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კომპლექსური მონოგრაფიები: „შავშეთი“ (2011წ.), „კლარჯეთი“ (2016 წ.), ასევე მ. ფაღვას, მ. ცინცაძის, მ. ბარამიძის, შ. ფუტყარაძის, ნ. ფარტენაძის, ნ. ცეცხლაძის, მ. კიკვაძის, მ. ხახუტაიშვილისა და სხვათა ნაშრომები, რომლებიც, არსებითად, სამხრული დიალექტის კვლევის ახალ ეტაპს წარმოადგენს.

კვლევისას ვიყენებდით აღწერითსა და შედარების მეთოდებს.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი შედგება შესავლის, პარაგრაფებად დაყოფილი ოთხი თავისა და დასკვნებისაგან, თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და შემოკლებათა განმარტებანი. პირველ თავში თორმეტი პარაგრაფია გამოყოფილი, მეორეში და მესამეში - სამ-სამი, მეოთხეში - ორი. დისერტაციაში განხილულია სიტყვაწარმოება სამხრულ კილოებში, წარმოქმნილ სიტყვათა შინაარსობრივი ჯგუფები, ქართულ-თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, ასევე განხილულია კომპოზიტთა და სახელზმნათა წარმოების თავისებურებები სამხრულ კილოებში. სამხრული დიალექტების ახალ მასალებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ სიტყვაწარმოების თავისებურებებს. რა თქმა უნდა, დიალექტების კვლევა გრძელდება და აღნიშნული საკითხი შეივსება ახალი მასალით.

თავი I

წარმოქმნილ სიტყვათა შინაარსობრივი ჯგუფები

ცნობილია, რომ სიტყვას ორგვარი ცვალება მოუდის. ერთია მიმოხრა (ფლექსია), მეორე კი- წარმოქმნა (დერივაცია). სახელის მიმოხრას ბრუნება ეწოდება.

სახელის ბრუნების დროს მიღებული ფორმები ერთია ლექსიკურად და განსხვავებულია გრამატიკულად. წარმოქმნით მიღებული ფორმები კი ერთია გრამატიკულად და განსხვავებულია ლექსიკურად. ეს შემდეგს ნიშნავს: დერივაციის გზით სახელის ფუძისგან მიღებული ფორმა ისევ ფუძეა, მაგრამ სხვა სახელისა, რომელსაც შინაარსიც სხვა ახლავს (შანიძე, 1973: 108).

ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად ქართულ ენას გამოყენებული აქვს პრეფიქსები და სუფიქსები, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად. თითოეულ აფიქსს ამასთან ერთი გარკვეული ფუნქცია აქვს. ქართულისათვის ბუნებრივია ერთფუნქციანი აფიქსები, რომელთაც კონკრეტული დანიშნულება აქვთ. ქართულ აფიქსებში აქა-იქ მოიპოვება ფლექსიურობის (ორ და მეტ ფუნქციანები) კვალიც, მაგრამ ეს სურათს ვერ ცვლის.

ცალკე პრეფიქს-სუფიქსები შინაარსის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფის სახელს აწარმოებს. დერივატებად გამოყენებულია, როგორც საგანგებო ელემენტები, ისე ზოგიერთი ფლექსია და თანდებული.

ქართულ წარმოქმნილ სახელთა შინაარსობრივი კლასიფიკაციის რამდენიმე ცდა მოცემული იყო ძველ გრამატიკოსთა ნაშრომებშიც, მაგრამ მისი ნამდვილი, მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებული კლასიფიკაცია პირველად მოგვცა ა.შანიძემ თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (შანიძე, 1973).

როგორც აღვნიშნეთ, წარმოქმნილ სახელებს აწარმოებს პრეფიქსები, სუფიქსები და პრეფიქს-სუფიქსები. გარდა აღნიშნულისა „შინაარსის მიხედვით წარმოქმნილ სახელებში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: კნინობითი, ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, აბსტრაქტული, დანიშნულებისა, წინა ვითარებისა, ხელობისა, რიგობითი და წილობითი, გეოგრაფიული, ხარისხისა და სხვ.“ (შანიძე, 1973: 120).

ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ სიტყვაწარმოების საშუალებები და წარმოქმნილ სახელთა შინაარსობრივი ჯგუფები სამხრულ კილოებში.

1. 1. ქონების სახელთა წარმოება. ერთი წყება სუფიქსებისა ამა თუ იმ სახის ქონებას გამოხატავს; ესენია: **იან, იერ, ოვან, ოსან, ედ და ა** (შანიძე, 1973: 122).

აკაკი შანიძე თვლის, რომ **-იან** სუფიქსი ახალ სალიტერატურო ქართულში ქონების სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია (შანიძე, 1973: 122).

-იან მაწარმოებელი მიღებული ჩანს **იან** -ისაგან. ძველად მისი ფუნქცია უნდა ყოფილიყო, აღენიშნა წარმომავლობა ვინმესგან, აქედან შემდეგ უნდა განვითარებულიყო მისი სხვადასხვაგვარი გაგება (შანიძე, 1973: 122).

-იან სუფიქსი სამხრულ კილოებში ქონების სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია. ის დაერთვის, როგორც ქართული წარმოშობის სახელებს, ასევე უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვებსაც.

-იან სუფიქსი აქტიური მაწარმოებელია ქონების სახელებისა, როგორც მარტივფუძიან, ასევე რთულფუძიან სიტყვებთან. **-იან** სუფიქსი გვხვდება: არსებით, ზედსართავ, რიცვით სახელებთან და ნაცვალსახელთან.

-იან სუფიქსი მარტივფუძიან არსებით სახელებთან:

ბაყლიანი იყოს რა ვქნა? (კლარჯ. 326);

წელიე ბაყლიანი თავი რასოი იყო? (შავშ. 393);

ერთი გოგო შევიყვარე ლამაზი და თმიანი (შავშ. 487:უ.);

ღელე-ღელე მივდიოდდი, ღელე ბალახიანიო (შავშ. 527:უ.);

ერთი ბაღია კაი ბალახიანი (საუნჯე, 519: ღორჯ.);

ნეკერ ჩუყური, ფიჩხიანი თუ არი (ჩვენებურ. 197: ხობლ.);

ბუხრიანი ოდა აქვა სახლსა (ჩვენებურ. 307: ბუჯ.);

ხორციანი უფრო გერმელია (ჩვენებურ. 297: ზ. ქურ.);

მე შენთინ ჩამოვედი წყალიანი ყანიდან (ჩვენებურ. 351);

იქინჯი ფხალ მოტყეპნილ ეტყვიან, ყორავოიან ლაფერაით მოტყეპავენ (კლარჯ. 308);

მარა ჭალიანი თუა ჭალა, ის სიცხემ აწუხებს (კლარჯ. 5);

იალი დავაწვათ, გემოიანი საჭმელი (კლარჯ. 20);

პურის გარდა იალი გავაკეთავ ყველიანი (კლარჯ. 15);

დიდვან პარკებიანი, შექერ ფასულიაიც არი. პატიტვანიც არი (ჩვენებ. 322: ქართ.);

გაალო დოლაბი, რომ თოფიანი დგას შიან (კლარჯ. 578);

ერთმა კაცმა მოვდა, თოფიანმა (კლარჯ. 578);

კაცი მოვდა წვერებიანი (კლარჯ. 579);

ნახავს რომ ორ წუთში ზევიდან ამოვა ორი ტკაველა წვერიანი და ერთ ტკაველა ტანიანი კაცი თავის სასიამაო (საუნჯე, 159: ხიხად.);

ქართველი იყოს და ტალახიანი იყოსო (კრებ. IX: 169);

გათენდა მშვიდობიანი დილა (საუნჯე, 151: ხიხად.);

ერთი დორდიანი უარება (საუნჯე, 397: დიდაჭ.);

დიდი ქიების გულეზაი, მაგას ქიანი ჰქვია (აჭარ. მეკვიძეები);

ჩემი ძალი შინარი, მუცლიანია (აჭარ. ვანაძეები).

-იან სუფიქსი ერთვის ზედსართავ სახელსაც:

ეს ვინცხაია შავიანია, ვერ ვიცან ვინ არი (აჭარ. მეკვიძეები);

ეგ კაბა თეთრებიანია და ჩემზე არ იქს, მე ქრივი ვარ (აჭარ. აგარა);

ეგ ციცაი მომწონდა, მაგერ რომ დგას, ეგ თეთრებიანი (აჭარ. ვანაძეები);

ეგ ლანდი (მაფი) იმფო მომწონს-ყვითლიანი (აჭარ. ვანაძეები).

-იან სუფიქსი რიცხვით სახელებთან:

სამოსდაათიანი წლებიდან მეზობელმა სახლ აკეთებდა (კლარჯ. 168; ქლასკ.);

მე თვრამეტანი ვარ, ჩემი დედაბერი ოციანია (აჭარ. ვანაძეები);

ჩვიდმეტანი ზომა მომიდის ფეხისა, ეგენი დიდვანი იქნება (აჭარ. ვანაძეები);

ორმოციანია ჩემი ციცაი ჯერ და ვერ გამუშუვეფ (აჭარ. მეკვიძეები);

ორმოციანები არიან ჯერ და ყუსურზე არ დეიხედება (აჭარ. მეკ.).

-იან სუფიქსი ნაცვალსახელებთან:

შენიანი შენიანია, შენთან მუა ჰანა წევდეს აბა (აჭარ. მეკვიძეები);

ჩემიანები მიყვარან ზოვლი, მარა ჰადარი არ მოდიან (აჭარ. მეკ.);

ეგენი ჩემიანები არიან, მაგერ რომ მოდიან (აჭარ. ვანაძეები);

მე ჩემიანები ვიცი, შენ - შენიანები (აჭარ. ლორჯომი);

მისიანებს რომ ახსენეფ გაბეჩდება (აჭარ. ლორჯ.).

-იან სუფიქსი ერთვის კომპოზიტებს და აწარმოებს ქონების სახელებს:

ზოგია ასე მალალჭლიკიანი არიან (შავშ. 393, ხევწრ.);

აგზე ქი იყო თეთრქუდიანი ის ჩემი ღარჭი იყო (შავშ. 368, უ.);

მე ფეხშავიანი გურჯი არ ვარ (ჩვენებ. 138; სტამბ.);

ბაკლები გუალპირიანი არიან (ჩვენებ. 287; აგ.);

პურ ვთესვებით და ფენა მოდიოდა, შავთავთავიანს ვთესავდით (შავშ. 408; უ.);

დოდოფალი ლამაზი იყო, ზაიფი მალალტანიანი (კლარჯ. 3; ზ. მარად.);

ნიორწყლიან დავასხამ, ქვაბი დაკავებული გაქ? (კლარჯ. 3; ქ. მარადიდი);

ცოტა ხნის შემდეგ მოვდა ნასპინძელი თეთრწვერულვაშიანი (საუნჯე, 125; ხიხაძირი);

ის ბაღვი დეინახე, ეიგერ ყვითელთმიანი (აჭარ. ვანაძეები);

ეგ არის ჩემი ძროხა, მაგერ დიდძუბუიანი (აჭარ. ვანაძეები);

არ მემეხვიო ახვრიხალათიანი ვარ (აჭარ. აგარა);

რა ვუყოთ ამფერი ჭალები გვაქ, ალახბულახიანი (აჭარ. მეხალაშვილები).

-იან სუფიქსი იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენება სა-ო აფიქსის ნაცვლად:

მე აფერი ინტერესიანი (საინტერესო) თავგადასავალი არ მაქ (საუნჯე, 471; ირემაძეები);

ამაზე მოსმენა მიყვარს, ინტერესიანი ამბავის მოყოლა იცის (აჭარ. აგარა);

ინტერესიანი მესელე'ნა გითხრა (აჭარ. ვანაძეები).

გვაქვს შემთხვევები, როდესაც -იან სუფიქსის ნაცვლად- იერ სუფიქსი გამოიყენება:

ტვინიერი ხარ, ტვინიერი (აჭარ. სოფ. საციხური, შდრ. იმერული-ტვინიერი; მიძიგ. 1973:149);

ჭკუიერი კაცია მაგი (აჭარ. მეგრ. 260;).

გვაქვს საპირისპირო შემთხვევები, როდესაც -იერ სუფიქსის ნაცვლად -იან სუფიქსი გვხვდება:

ჰეფეიჯა ხნიანია, ჰამანდა ასისაარი (აჭარ. მეკვიძეები, შდრ. ქართლური-ხნიანი; დიალ. 298);

როგორც აღვნიშნეთ, **-იან** სუფიქსი მომდინარეობს **-იან-ისაგან**, „**-იან** სუფიქსი ძველ ქართულში წარმომავლობის სახელთა მაწარმოებელი იყო, მაგრამ ახალ ქართულში ვეღარ აწარმოებს ახალ სიტყვებს“ (შანიძე, 1973: 122).

სამხრულ კილოებში, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება **-იან** სუფიქსი, რაც სიტყვის არქაულობაზე მიუთითებს:

დაბლა წყაროა, აქ ღორღიანი ალაგია (შავშ. 404: უ.).

-ოვან: **-ოვან** სუფიქსი ძველ ქართულში ქონების აღმნიშვნელ სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელი იყო. „იგი ნაწილობრივ ფარავდა **-იან** სუფიქსის იშვიათ გამოყენებას: ბევრ შემთხვევაში, როცა დღეს **-იან** სუფიქსს ვიყენებთ, ძველად მას **-ოვან** ენაცვლებოდა: **ტვნოვანი - ტვინიანი**“ (იმნაიშვილი, 1956: 434).

სამხრულ კილოებშიც (კერძოდ აჭარულ დიალექტში) **-იან** სუფიქსით ნაწარმოები მქონებლობის აღმნიშვნელ სახელთა პარალელურად **-ოვან (ოან-უან)** სუფიქსიანი ფორმებიც გვხვდება: **დიდუანი, ძალუანი, უწლივანი**. უკანასკნელი მაგალითი დისიმილაციის შედეგად არის მიღებული **უწლივანი (=უწლოვანი)**.

მაგან გეიზადა თუამ უწლივანი გაათხუეს (აჭარ. აგარა);

ერთი უწლივანი შვილი ჰხყოლია (ნიჟარაძე, 99: ზ. აჭ.);

ეს ხიები ას წლოვანია და ისე გავს გახმეს'ნა (აჭარ. აგარა, შდრ. იმერული-წლოვანი; გაჩეჩილაძე, 1956: 134);

-ოვან სუფიქსის პარალელურად გვხვდება **-ვან, -ო-ს** რედუქციით მიღებული:

დევნახე მომიტანა დიდი ფერვანი (აჭარ. აგარა);

შენც არ ხარ დიდი ფერვანი (აჭრ. საციხური);

ეგ მოშიშარაი არ არი, ძალიან გულვანია (აჭარ. აგარა);

ეგ დაკვლათ, ეგ იმფო ხორცვანია (აჭარ. ვანაძეები);

-ვან სუფიქსი ზედსართავთან:

დიდვანი კაცები არიან ისინი, მაგათ რანა უყო შენ (აჭარ. ნამონასტრევი);

-ა სუფიქსით ნაწარმოები ქონების სახელები. **-ა** სუფიქსზე დაბოლოებული სახელები ქართულში საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება, მაგრამ ეს **-ა** ყოველთვის სუფიქსად, რა თქმა უნდა, არ მიიჩნევა. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფში ვერ მოექცევა უცხო წარმომავლობის ა ფუძიანი სახელები, არის სახელთა ჯგუფი, რომელთაგანაც

ა-ს ცალკე გამოყოფა არ შეიძლება, მაგალითად: თელა, კენკრა და სხვა, რადგან ეს -ა ფუძისეულია (შანიძე, 1973; 121).

ცნობილია, რომ -ა სუფიქსი შეიძლება აწარმოებდეს: კნინობით, ქონების, თვისების აღმნიშვნელ და მსგავსების აღმნიშვნელ სახელებს (შანიძე, 1973: 121,122,125, მანჯგალაძე, 1956: 171, პაპიძე, 1974: 50).

-ა სუფიქსი ქონების აღმნიშვნელია საზოგადო სახელებში:

ა) მარტივი სახელები: **ახალუხა, ბოჩოჩხა, გვერდა...**

ბ) რთული სახელები: **ასფურცელა, თხისწვერა, თმაქოჩორა** (ტუსკია, 1975; 35).

-ა სახელადი სუფიქსი, რომელიც გამოხატავს რისამე მქონებლობას: **ცხვირ-ა** „**ცხვირიანი**,“ უპირატესად გვხვდება კომპოზიტებთან: **შავტარა, წითელპერანგა, ცალთვალა...** მქონებლობის -ა სუფიქსს შესაძლოა გაუტოლდეს ფუძისეულია: **შავჩოხა...** -ა სუფიქსმა შეიძლება გამოხატოს რაიმე თვისების მქონებლობაც: შვინდ-ა („შვინდის ფერის მქონე“)... **ფერდ-ა, გვერდ-ა, ცერ-ა...** შეინიშნება სოკოების სახელწოდებებშიც: **ტრედ-ა, ჭად-ა, ქვილ-ა...**

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „იგი დაერთვის როგორც მარტივ, ისე რთულ ფუძეებს... აწარმოებს კნინობით, დანიშნულების, წარმომავლობის, ქონების აღმნიშვნელ, გეოგრაფიულ სახელებს“ (ცეცხლაძე, 2004: 34). ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ მ. ქამადაძის დაკვირვებასაც: „-ა სუფიქსიანი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი საზღვრულდაკარგული ფორმა ჩანს: **ონაგირ-ა, აკვან-ა** ტიპის სახელებში იგულისხმება საზღვრული წვერი: მთა, სერი, გორი... ასეთ ტოპონიმებში -ა საზღვრულის ერთგვარ ფუნქციას ასრულებს (ქამადაძე, 1992: 20-21.).

პროფ. მ. ფაღავა განიხილავს ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ „მ. ქამადაძის მოყვანილი მოსაზრების პირველი ნაწილი დამაჯერებელია, შესაბამისად, ნაკლებად დასაჯერებელია მეორე ნაწილი: „ასეთ ტოპონიმებში -ა საზღვრულის ერთგვარ ფუნქციას ასრულებს.“ ძნელი სარწმუნოა ა-ს ასეთი დატვირთვა“ (ფაღავა, 2015).

-ა სუფიქსი სამხრულ კილოებში აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ცხოველთა, მცენარეთა სახელებს, აღნიშნავს ამა თუ იმ მქონებლობას, რომელიმე ნიშნის მიხედვით რაიმესთან მსგავსებას:

მცენარეთა სახელები: *ქოქვამ, კოპამ, ბურღვამ, კაკიამ, ჟაველამ, სამყურ-ა-მ, ბალაძარღვამ...* (კრებ. VIII: 165);

მსხლების სახელები: *ხეჭეჭურამ, ორთუსულამ, ქოთანამ, ზამთარამ, მაკარინამ...* (კრებ. VIII: 165);

ვაშლი: *შალმა ვაშლამ, ვაციყვერამ* (კრებ. VIII: 165);

აქ ყველა ბალახი არი, ყვავილამ ბალახები (შავშ. 417);

ამ სხალ წარიას ვეტყვით, გაღმა მთას სარტყელამ (შავშ. 418);

ეს ალთუნამ სიმინდია (შავშ. 417)...

ბალახების სახელებია: *ანწლი,ღვალო, ფხალბოლოკამ* (კლარჯ. ბუჯ.);

სამარიობამ სხალიც ნენიიდან ყოფილა გამოტანილი (კლარჯ. ბუჯ.);

ლეღვი არი თეთრი, შავი, ფათლიჯანამ (კლარჯ. ბუჯ.);

შექერამ, ჭანურამ სხალი გუუთევს (კლარჯ. ბუჯ.);

იმათი სახელები გინდა? ნასხიდი, სანახშირო, საქერამ, თავრეჯული, მაჭარულამ, ქვასხალამ, კუტალამ;

ესენია: ჩიტკუერცხამ, ღორაქლიავამ (შავშ. 430);

ყოჩამ თხილი ჯობია (კლარჯ. 583)...

საქონლის სახელებია: *სარიციზამ, ნარიციზამ, კუდსანთელამ* (შავშ. 424);

ილდიზამ, ყარაყიზამ, თუმბელამ, ჩიჩეგამ, ძროხის სახელებია (ჩვენებ. 50: ინეგ.);

ნიკორამ ძროხის სახელია, ნიკორი აქ (კლარჯ. 582);

ძროხას ყარაყიზას ვეტყვით, პირნათელას, ბუკნათელას (კლარჯ. ქლასკ.);

მოზვრები მყავან, არის ალთუნამ (კლარჯ. ისკები);

ზილიფამ, ზემერამ, ყარაგოზამ (ჩვენებ. 22: ინეგ.);

ხარების სახელებია: გუმშიშამ, მარტია (შავშ. 386);

შავიამ ხარის სახელია. (კლარჯ. 583);

ჭრელების სახელებია: *ნუსხურამ, ჩიტითუალამ, ბიბლიზუალამ* (კლარჯ. ქლასკ.);

ძეგლები//მეტსახელები: *ფოთამ, ყაფერამ, ბურჯგელამ, ბალანამ...* (კრებ. VIII: 165).

ლამაზების ძეგნაში, ჩიჩვირა შემერაო...(კრებ. VIII: 187);

წანწალა - ხიდი ენება, იმ ხიდ ვეტყვით... (კრებ. VIII: 168);

ქანდარა - ღობეზე გადებული ხე... (კრებ. VIII: 168);

-ა სუფიქსით იწარმოება სხვადასხვა ზედსართავი:

ძირაჲ (-ძირსჩამოყრილი, ჩამოცვენილი) ვაშლი ვის მიაქვან, ჭო? (კლარჯ. მარადიდი);

აჭარულში **ძირაჲ** სხვა მნიშვნელობით გამოიყენება, ის ერთგვარი მცენარის სახელია: **ძირაჲ** როის მოვლიჯოთ? რამდენი ხანია აღარ მიჭამია (აჭარ. ღორჯომი);

ძირაჲ გაზაფხულმე იმფო გემრიელია (აჭარ. ნამონასტრევი);

უკანაჲ (-შემდეგი, მომდევნო) არვიცი (ჯივანი); ბაშქოჲ და **უკანაჲ** სოფლის ჰუდუდია (კლარჯ. დევსქ.). იგულისხმება ბაშქოჲს უკანმდებარე სოფელი.

შეგვიძლია **დავასკვნათ**, რომ ქონების სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია -იან სუფიქსი, რომელიც დაერთვის, როგორც ქართული წარმოშობის სახელებს, ასევე უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვებსაც. -იან სუფიქსი აქტიური მაწარმოებელია ქონების სახელებისა, როგორც მარტივფუძიან, ასევე რთულფუძიან სიტყვებთან, ასევე დაერთვის არსებით, ზედსართას, რიცხვითსა და ნაცვალსახელებს და აწარმოებს მქონებლობას.

-იან სუფიქსი იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება **სა-ო** კონფიქსის ნაცვლადაც: **ინტერესიანი...**

სამხრული კილოებში (კერძოდ აჭარულ დიალექტში) -იან სუფიქსით ნაწარმოები მქონებლობის აღმნიშვნელ სახელთა პარალელურად -**ოვან** (**ოან-უან**) სუფიქსიანი ფორმებიც გვხვდება, ასევე -იან სუფიქსის ნაცვლად- **იერ** სუფიქსი გამოიყენება: **ტვინიერი, ჭკუიერი...**

რაც შეეხება ქონების სახელთა მაწარმოებელ -ა სუფიქსს, ეს სამხრულ კილოებში აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ცხოველთა, მცენარეთა სახელებს, აღნიშნავს ამა თუ იმ მქონებლობას, რომელიმე ნიშნის მიხედვით რაიმესთან მსგავსებას.

1. 2. უქონლობის სახელები: უქონლობის სახელების შინაარსის გადმოსაცემად ქართულ ენაში გამოიყენება **უ-ო, უ-ურ, (//უ-ულ), უ-** აფიქსები (შანიძე, 1973: 126).

ქონების სახელთა ანტონიმებია უქონლობის სახელები, ე. ი. სახელები, რომლებიც აღნიშნავენ უქონლობას ძირეული ფუძით აღნიშნული საგნისას. უქონლობის სახელთა წარმოება ქართულში ორი ტიპისაა: უ-ურ და უ-ო მაწარმოებლიანი. ესენი ერთია წარმოშობით, მაგრამ უფრო ძველია უ-ურ, დღეს უფრო მკვიდრია უ-ო, რომელიც ამჟამად ერთადერთი მაწარმოებელია უქონლობის სახელებისა (შანიძე, 1973:126).

უ-ურ (რაე-ნარევ ფუძეებთან დისიმილაციით: უ-ულ) გვხვდება რამდენიმე სახელში: უ-ბედ-ურ-ი, უ-წეს-ურ-ი, უ-მად-ურ-ი, უ-ძლ-ურ-ი... როგორც მაგალითებიდან ჩანს, ამ გზით არსებითთაგან ზედსართავებია ნაწარმოები, ოღონდ უ-ფსკრ-ულ-ი(რომელიც „ფსკერ“-ისაგან არის ნაწარმოები) და უ-ჟმ-ურ-ი (უ-ჟამ-ურ-ი) არსებითად არის ქცეული. ასეთი წარმოება ორიოდ შემთხვევაში ზედსართავთა ფუძეებისაგანაც გვხვდება: კეთ-ილი - უ-კეთ-ურ-ი, წმი(ნ)და - უ-წმი(ნ)დ-ურ-ი.

უ-ო ჩვეულებრივი მაწარმოებელია უქონლობის სახელებისა არსებითთაგან: უ-გულ-ო, უ-კბილ-ო, უ-ხელ-ო, უ-წყლ-ო... ზოგ შემთხვევაში მსგავსი წარმოების სახელები მხლებელთაგანაც გვხვდება: უ-თუ-ო, უ-ებრ-ო (=რომელსაც მსგავსი არ ჰყავს, ვისაც ტოლი არა ჰყავს...).

სამხრულ კილოებში უქონლობა-უყოლობის სახელები შედარებით ნაკლები დასტურდება ვიდრე მქონებლობისა.

ჩემ შვილს ჩასაცმელ უქსოვ, უ-კლავ-ო... (კრებ. VIII:195);

სამხრულ დიალექტებში უქონლობის მაწარმოებელი სახელები, უ-ო და უ-ურ მაწარმოებლებით გვხვდება:

უ-ო აფიქსიანი წარმოება უ-ურ აფიქსთან შედარებით მრავალრიცხოვანი და გავრცელებულია და ის დაერთვის ნებისმიერ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს.

უ-ო აფიქსებით ნაწარმოები უქონლობის არსებითი სახელები:

შე ურჯულო დელის ქარო (შავშ. 480);

უსიმინდო არ იჯება (შავშ. 408);

ხეზე ავალ უფებოთ (შავშ. 521);

ვერ ჩამოველ უკელოთ (შავშ. 521);

დაუპატიჯნელი მოსული უბალიშო დაჟდება (კრებ. IX:169);

უღარდო დუნია არ არი (კრებ. IX: 169);

წისქვილში შესული უფქვილო ვერ გამუა (კრებ. IX: 170);

უსიკვტილოთ ვერ მოგშორდები და შენ უნდა გამყვე თანაო (საუნჯე, 574: მეკეიძე.).

უტვინო და ჩერჩეტი ჩემი თავი მომწყენია (აჭარ. საციხური);

მე ამდენი ხნისა ვარ და ამფერი უთივობა ჯერ არ მომსწრია (აჭარ. საციხური);

უხელოთ ეს აქედან მისტვინაი ვერ გაქრებოდა (აჭარ. მეკეიძეები);

უფეხო კაცმა თუ კიდევ ამდენი ქნა რალა გინდა (აჭარ. ვანაძეები);

სიტყვა უთავო სამხრულში (კერძოდ აჭარულში) სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება:

უთავო ლაპარაკი არ მიყვარს (აჭარ. ღორჯომი); ამ შემთხვევაში უთავო = უაზროს, იმ თემაზე საუბარი რომელსაც დასასრული არ ექნება ანუ საქმეს, რომელსაც თავი არ დაედგმება.

უთავო დარჩა, მუუტანე დეიხუროს სირცხვილია (აჭარ. ღორჯომი); უთავო = უთავსაფრო, თავსაფრის გარეშე.

უთავო ხალხი ხან ეისე წავა ხან ასე (აჭარ. ვანაძეები); უთავო = უთავკაცო, ხელმძღვანელის გარეშე დარჩენილი ხალხი.

უ-ო მაწარმოებელი ზედსართავ სახელთან:

უთეთრო იყოს რომ ქრივი ვარ და აღარ ჩემეცმება (აჭარ. ვანაძეები);

უწითლო არ არი ლამაზი ფერ არ მისცემს (აჭარ. ვანაძეები);

უშავო მომე ძლისთვინ მინდა (აჭარ. ვანაძეები);

უბრემო რომ ჩეგეცვა არ იზემდა? მარა შენ ილლა ბრეშები გიყვარს (აჭარ.ღორჯომი).

უ-ო მაწარმოებელი იშვიათად მაგრამ მაინც დასტურდება რიცხვით სახელთანაც:

რაფერც მეღირსა უოთხოთ მოხველ (უოთხოთ=ფხიზლად, ნორმალურად სიარულს.) (აჭარ. მეკეიძეები);

წუხელი უოთხოთ არ გელოდი, რატონ არვინ მეიყვანე? (უოთხოთ=ოთხი ადამიანის გარეშე მოსვლას) (აჭარ. ვანაძეები).

უ-ო მაწარმოებელი ნაცვალსახელთან:

ათასჯელ გითხარ ნუ წახვალ უჩემოთ მეთეი (აჭარ. ვანაძეები);

ვერ დავდგები უშენოთ (შავშ. 521);

უშენოთ ჰადმე წამსლელო არ ვარ იშტა (აჭარ. მეკვიძეები);

უმიწოთ ერთ წუთსაც ვერ გუუძლოვ (აჭარ. აგარა);

უმიწოთ ვერსად ვერ წავალ (აჭარ. ღორჯომი);

უ-ო კონფიქსის ნაცვლად გვხვდება უ-ურ//ულ:

უქეიფურად ვარ რაცხა თელი დღეა (აჭარ. ვანაძეები);

უ-ო კონფიქსი გვხვდება რთულფუმიან სახელებთან:

უხელსაქმრო ვერ დავდგები (აჭარ. მეკვიძეები).

უცხვირპირო კაცი არ მიყვარს მე (აჭარ. აგარა).

უსინდისნამუსო კი არნა იყო კაცი რაცხა კაცობანა ქქონდეს განა (აჭარ. აგარა).

უთვისტომოა და სახუმრათ ეიღეს (აჭარ. ვანაძეები).

უ-ურ: სამხრულ კილოებში სიტყვებს დაერთვის კონფიქსი უ-ურ (//უ-ულ):

უწვერული, უფსკრული...

უსაქმური პურ ვერ ჭამ (შავშ. 374);

უბედური მად თუ აბლაა (შავშ. 402);

უმადური არნა იყო ინსანი (აჭარ. აგარა);

ჰანა გაგ ზავნო უძუბური არ იქს ესა (აჭარ. აგარა);

უგემურია(ანუ არ გამოგადგება კაცს არაფერში) და ის არი, ეგ გემოს ებზედი არ მოქცემს (აჭარ. აგარა);

უგემური ხარ, უგემური (აჭარ. ვანაძეები); უგემური = უვარგისი, არაფერს კარგად რომ არ აკეთებს, საქმეს ბოლომდე რომ არ მიიყვანს.

მაგფერი უღელი რატომ დაადგი უღვედურია (აჭარ. ვანაძეები); ღვედი-ტყავისგან გაკეთებული ჯაჭვის გამოსაბმელი იარაღი, რომელსაც უღელს უკეთებენ.

ეგ მაინც არ იცოცხლებს უდღიურია (აჭარ. მეკვიძეები).

აჭარულში დასტურდება არქაული წარმოების უკაცრაულად'. საბას განმარტებით: უკაცრაული - კაცთ უკადრისი (საბა, 1949: 656): უკაცრაულათ ვარ მენთან, ყურადღება ვერ გამეფჩინე (აჭარ. ვანაძეები).

ძალიან უფერულია, აფერი დეემართოს საშიშია (აჭარ. აგარა).

ჯერ ბაღვია, ვერ ხედავ უწვერულია ჰალა (აჭარ. აგარა).

შეიძლება დავასკვნათ, რომ უქონლობის სახელებში პროდიქტიულია უ-ო აფიქსიანი წარმოება.

უ-ურ მაწარმოებლის დართვა განსაზღვრულ პირობებს მოითხოვს სამხრულ კილოებში: ა) დაერთვის უმარცვლო ან ერთმარცვლიან ქართული წარმოების სახელებს. ბ) ხმოვანფუძიანთაგან დაერთვის მხოლოდ ა, ე ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს, უ-ურ კონფიქსით ნაწარმოები უქონლობის სახელები ნაკლებია.

1. 3. წარმომავლობის სახელები: წარმომავლობის სახელებს აწარმოებს სუფიქსები: -ელ; -ურ; -იურ; -ეულ; -დელ; -იონ (შანიძე, 1973: 126).

-ელ: -ელ სუფიქსი ადამიანთა სადაურობისა და წარმომავლობის მაჩვენებელია. იგი დაერთვის გეოგრაფიულსა და ადგილის სახელებს და აღნიშნავს ფუძით დასახელებული პუნქტის მკვიდრს, მცხოვრებს: აზი-ელ-ი, კავკასი-ელ-ი, ესპან-ელ-ი, ეგვიპტ-ელ-ი, ვაკ-ელ-ი, თემ-ელ-ი, უბნ-ელ-ი, ფრონტ-ელ-ი...

-ელ-ის თავდაპირველი ფუნქცია იყო ეჩვენებინა რომელიმე რელიგიის მიმდევრობა ან აღნიშნა შთამომავლობა და მემკვიდრეობა (ლევიტელი = ლევის ჩამომავალი, ილ. აბულაძე). ცნობილია, რომ ძველსავე ქართულში ამ როლში -იან // -იან სუფიქსი გამოდიოდა: მაჰმად-იან-ი, ქრისტ-იან-ი... მოგვიანებით -იან სუფიქსი ქონების აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებელი გახდა. ადამიანთა წარმომავლობისა და რისამე მიმდევრობის ჩვენება -ელ სუფიქს დაეკისრა: სამარიტ-ელ-ი, სპარს-ელ-ი, ქართვე-ელ-ი, შორი-ელ-ი, ჰებრა-ელ-ი... -ელ სუფიქსი ხშირად მ-პრეფიქსთან ერთად იყო წარმოდგენილი: მ-ორვ-ელ-ი, მ-არად-ელ-ი, მ-ეგვიპტ-ელ-ი, მ-ერგ-ელ-ი... (შანიძე, 1973; 127).

ზ.სარჯველაძე მიუთითებს, რომ „წარმომავლობას, ან მიმდევრობას აწარმოებს -იან სუფიქსი (ადამიანი, აბრამიანი, ნესტორიანი...) ... -იან ვარიანტი X-XI საუკუნეებიდან გამოვლინდება (აბრამიანი, მარკიანი, ვალენტიანი...) (სარჯველაძე, 1997:184).

ჩემთვის ქართველი მუსლიმანი ყოფილა, ქრისტიანი ყოფილა სულ ერთია (შავშ. 378: ბაზგ.).

შავშურში ერთმანეთის პარალელურად დასტურდება უცხო ენის გავლენით მიღებული და ფონეტიკურად სახეცვლილი **ხრისტიანი/ხლისტიანი** ფორმები:

ისა მუსლიმანები არ ყოფილან, **ხრისტიანები; ხლისტიან** - მაჩხატეთი ყოფილან (შავშ. 405: უ.).

ელ- სუფისი სამხრულ კილოებში ჩვეულებრივად აწარმოებს სადაურობა - წარმომავლობის სახელებს:

საფუტკრი კარში დააბა ცხენი მაჭახლეღმა (შავშ. 371: ხევწრ.);

ძველათ მეგემ აქა მაჭეხლეღს ცხენით ძალი მიაქ (შავშ. 377: ხევწრ.);

მაჭახლეღი ხოჯა მყავან (კლარჯ. ჯივ.);

აქ დადიოდენ მაჭეხლეღები (შავშ. 405: უ.);

მაჭიხლეღებმა ამათ იმფო იციან (შავშ. 426: ივ.);

ბაზგირეთელმა მუზაფერამ იცოდა (შავშ. 390: ხევწრ.);

გრიგორი ხანძთელი იყო (შავშ. გვ. 406: უ.);

ჰანი ქართველი ხართ ისაც? (შავშ. გვ. 406: უ.);

ბაზგირელი ცხვარ აზუებს (შავშ. 501);

აბეს ქალი აჭარელია (კრებ. IX:189, იჯად.);

ოღრავლეღი- იქიდან მოსული (კრებ. IX: 210, ჩუბ.);

იზმირელი ერთი ლაზი, ის ემეში ზის (კრებ. IX: 188, მურკ.);

ეს გურჯია ბორჩხელი (კრებ. IX: 174, ჰამ.);

არ არიან-ქი მაჭახლეღები (კრებ. IX: 193, ირშად.);

ახალი ძალი მეყვამთ, კახელი ქალია (კლარჯ. დევსქ);

ბურსელია, მუსაფირი იყო (კლარჯ. გურბ.);

ერევანეღები სომხები არიან (კლარჯ. მურდ.);

ის რიზელია (კლარჯ. ბუჯ.);

არხველი გოგო ვარ (კლარჯ. ერენქ.);

არხველებს ბევრი რაცხები ცოდნიათ (კლარჯ. ერენქ.);

ერზრუმელი გურჯი არ არი (კლარჯ. ისკ.);

ბაშქოიდან ვარ გათხოვილი, ლომიკეთელი ვარ (კლარჯ. ისკ.);

მეჰელელი რემზი იქნება (კლარჯ. კირნ.);

მარადიდელი ვარ (კლარჯ. ჯივ.);
ჩვენმარადიდელირძალიმყავან (კლარჯ. ჯივ.);
ესეც გურჯია, ბორჩხელი (კლარჯ. ჰამიდ.);
ჩემ ბაბანე აჯარელი იყო (კლარჯ. იჯად.);
ისინიც ბორჩხელია (კლარჯ. ნუსრ.);
ე ჩემი ძალია, ტრაპზონელი ლაზია (კლარჯ. საფულ.);
ომანელი ბერი დედეს ეტყოდენ (კლარჯ. ჰამიდ.);
ეს რომ მეკვიძიებელი ყოფილიყო, მაშინ მიხტებოდა (აჭარ. საუნჯე, 579: მეკვიძ.);
ის ბაღვი ქალაქელი ყოფილა (აჭარ. საუნჯე, 533: წინწკალაშ.);
ეს ქალი ლურტელია, იქიდან არი მოყვანილი (აჭარ. აგარა);
დიდაჭარელმა ქალმა მითხრა, ასეო და (აჭარ. საციხური);
საციხურელი ვარ და შემეჯიბრეთო (აჭარ. აგარა);
ვანაძიებელმა (<ვანაძეები დისიმილაცია) მაგდენი რა იცის მაგისა (აჭარ. ვანაძეები); ვანაძიებელი = ვანაძეებელი, დისიმილაციის შედეგად გვაქვს მიღებული.
შორიახლო მივდევი აგარელი მეგონა (აჭარ. აგარა).
აქავრელები გურჯი ვართ (შავშ. 424: უსტამ.);
ჰამა ჩვენ აქევრელები ვართ (შავშ. 370);
თქვენი და მაჭეხლელებისა და ბორჩხელებისა გავს (შავშ. 378);
აქ დადიოდენ მაჭეხლელები (შავშ. 405 უ.);
არ არიან-ქი მაჭახლელები (კრებ. 193: ირშად.);
მილისელნი, კირნათელნი, ხალხი უბნებით დასახლებულან (ჩვენებ. 340: ჰაირ.);
შავშეთლებმა ბოტ ეტყვიან (კლარჯ. ქლასკ.);
დიდაჭარლებმა ბევრი ტყლაპვა იციან (აჭარ. აგარა);
ვანაძიებლებმა გეიბარგნენ ერთი კვირეა (აჭარ. მეკვიძეები);
ღორჯუმლებმა ბევრი ჰალი იციან (აჭარ. აგარა);
საციხურლებმა- მუალთო (აჭარ. აგარა);
მილისელნი, კირნათელნი, ხალხი უბნებით დასახლებულან (ჩვენებ. 340: ჰაირ.)...
-ელ სუფიქსი გვხვდება -ურ//-ულ სუფიქსის ნაცვლად:

ქართველი მაინც იცის (შავშ. 377: ბაზგიორ).

ეგ ძველანდელი ჰექიაა (შავშ. 471, კოკბერ.);

ძველანდელი დუგუნი ქნა (შავშ. იქვე).

ძველანდელი ამბებია ეგ ვიცით (აჭარ. საციხური).

-ურ (//-ულ):

-ელ სუფიქსის საპირისპიროდ -ურ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებზე დართვით არაადამიანთა წარმომავლობა-სადაურობის მაჩვენებელია: **ებრა-ულ-ი, ფშა-ურ-ი, იონი-ურ-ი, გელაქნ-ურ-ი... შდრ.: გელაქნ-ელ-ი კაცი - გელაქნ-ურ-ი ნივთი.** „ასეთი განსხვავება-ელ და -ურ სუფიქს შორის მხოლოდ სამწერლო ენასა და ზოგ კილოშია გატარებული, მაგრამ ზოგიერთი კილო -ელ სუფიქსს მარტო ადამიანებზე კი არა, სხვა საგნებზედაც ხმარობს და -ურ სუფიქსს, პირიქით, კაცის ვინაობის გამოსახატავადაც“ (შანიძე, 1957; 29).

-ურ სუფიქსით ზოგჯერ ადამიანთა სადაურობაც აღნიშნება: **ქუთათ-ურ-ი** კაცი, **გურ-ულ-ი** კაცი... მეგრულში კი ყველა შემთხვევაში -ურ თანაბრად აღნიშნავს ადამიანისა და არაადამიანის წარმომავლობას: ბანძ-ურ-ი = „ბანძ-ელ-ი“, შდრ. გურ-ულ-ი: ა) გურული ქალი, ბ) გურული ვაშლი. დასავლურ დიალექტში -ურ სუფიქსის გამოვლენა მეგრულის გავლენით აიხსნება (ჩიქობავა, 1942; 139), მაგრამ ეს მოვლენა აღმოსავლური დიალექტებისთვისაც არის დამახასიათებელი. მაგ. ფშაურში: „სანათაი ვარ მე, შვილო, აფხუშოური ქალია“, გარეკახურში: „ორი კაცი წავიდა: ერთი გარეჯული და ერთი გიორგწმინდული“ (ჩიქობავა, 1942; 139), ამან დააეჭვა არნ. ჩიქობავა და „-ელ და -ურ სუფიქსების გამოყენება ორი განსხვავებული კლასკატეგორიის აღსანიშნავად“ მეორეულ მოვლენად ჩათვალა. მით უფრო რომ ზემოიმერხეულში -ელ სუფიქსით ნივთის სადაურობაცაა აღნიშნული: **ბაღდად-ელ-ი** ღვინო... **ონ-ელ-ი** შალი (ჩიქობავა, 1942; 139).

თქმულიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ეს ორი შემთხვევა ერთმანეთთან სხვადასხვა მიმართებაშია: -ელ და -ურ აფიქსთა ამგვარი დაპირისპირება ქართულისათვის ტიპური არ ჩანს და იგი გვიანდელი გრამატიკული მოვლენაა (დონდუა, 1967; 166).

-ურ სუფიქსმა ახალი ფუნქცია შეიძინა, იგი თვისების აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებელი გახდა, ეს მოვლენა მე-11 საუკუნეში ჩნდება ქართულში (მანჯგალაძე, 1953; 473).

ახალ ქართულში -ურ სუფიქსი თვისების აღმნიშვნელ სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია. იგი დაერთვის როგორც ქართულს, ასევე უცხო წარმომავლობის სახელებს და აღნიშნავს თვისებას ძირეულ საგანთან მიმართებით: ბრიყვული, ბერული, ფერწერული, ჯადოქრული...

-ურ//ულ პროდუქტიული სუფიქსია, რომელიც სხვადასხვა შინაარსობრივი ჯგუფის სახელებს აწარმოებს სამხრულ დიალექტებში:

სამხრულში -ურ//ულ არ განასხვავებს ვინ და რა ჯგუფის სახელებს; ნორმად ითვლება ამ სუფიქსით ადამიანთა სადაურობის აღნიშვნა (შავშ. 273).

ცხვენია გურჯული არ იცის (შავშ. 374: ბაზგირ.);

ახლა ეს მაჭახლურაა (შავშ. 370: ბაზგირ.);

თურქულაა (<თურქ-ულ-ა-მ), ქართულაა (<ქართ-ულ-ა-მ) ვისაქმეთ (შავშ. 376: ბაზგირ.);

ზეგნელები ხობლევეურ ებნევიან (შავშ. 470);

ჩვენ აქამ სოფლური ვართ (შავშ. 457);

იქ მაჭახლური ემეი ყავდნენ იქა (შავშ. 367: ბაზგირ.);

ბაზგირეთი ქართულაა თქვენში რა არი? (შავშ. 378: ბაზგირ.);

შენ ანთიკურ სიტყვებ ლაპარიკობ და მე ვიწერო (შავშ. 379: ბაზგირ.);

ხობლიური ვარ, დავითაძე (შავშ. 452: მაჩხატ.);

ძველებური რაცხა-და დაწერონ (შავშ. 380: ბაზგირ.);

ჩემი კაცი ჩიხორულია, ლიბანური აინი ვართ (შავშ. 452: მაჩხატ.);

ბიჭიც ქართულია, გოგოც ქართულია (შავშ. 464: დასამ.);

აბეს ქალი აჭარულია (კლარჯ. 189: იჯადიე);

ქალიც აქავრულია, გურჯია (კლარჯ. 172: ჰამიდიე);

ჰაცხან მიხვალ იქაური ქუდი დეიხურონა (კრებ. IX: 170: ნესრ.);

ეს ქალი ვანაძურაა (ვანაძ-ურ-ა-მ-ა) (აჭარ. აგარა);

კიტრი ქედურაა (<ქედ-ურ-ა-მ) კაია (აჭარ. დიდაჭარა);

ეს ხულურადა (ხულ-ურ-ა-ე-ა), ხულადან მეცყვაით და ხულურად დავარქვით (აჭარ. ვანაძეები);

ხულურად ჭკვიანი ქალია (აჭარ. მეხალაშვილები); ხოლო მაგალითებში ორმაგი წარმომოებაა.

-ელ სუფიქსის ნაცვლად -ულ სუფიქსი გამოიყენება:

ეს ქალი ქართული არაა, ართვინიდანაა (კლარჯ. ბუჯური);

ჩემი ნენე, ბაბოა ქართული არაა (კლარჯ. ბუჯ.);

აქა, ქომო, მურღულური არხატაშ ვარ (ამხანაგი არის) (კლარჯ. ნუსრ.);

-ურ სუფიქსი გვხვდება ასევე მრავლობითიან ფორმებშიც:

ქედურები აღარ მინდა (აჭარ. დიდაჭარა);

გვნახა მემლექეთურები და დეიძახა (შავშ. 98: ბურ.);

მემლექეთიდან რომ ჩამოსულან ჩვენებურები (ჩვენებ. 100: ბურ.);

ნუ დეიწყე შენებური ხულურები (აჭარ. ვანაძეები).

-ურ//ულ სუფიქსი აგრეთვე დაერთვის სახელებს -ეთ, -ელ სუფიქსის ნაცვლად:

ბაზგირული დედოფალი მოყავან (შავშ. 405: უ.);

მე ბაზგირული ვარ (შავშ. 485: ხევწრ.);

ჩვენი, აქვერი ჩაია, თურქული (კლარჯ. ისკ.);

არ ილაპარაკა, დეილია გურჯული (კლარჯ. ბუჯ.);

ახლებმა გურჯული არ იციან (კლარჯ. ერენ.);

გურჯული რამემ ვერ დააწავლა (კლარჯ. ხება)...

სადაურობის აღნიშვნის ის წესი, რომ -ელ სუფიქსი ადამიანთა წარმომავლობას აღნიშნავს, ხოლო -ურ სუფიქსი არაადამიანთა წარმომავლობას, სამხრულში მტკიცე არ არის: -ელ სუფიქსით აღინიშნება რა ჯგუფის საგანთა წარმომავლობაც, ხოლო -ურ//ულ სუფიქსით - ვინ ჯგუფის სახელთა სადაურობაც.

-ელ:

ისტამბოლელ ელმას (-ვაშლს) ვეტყვით დიდვან-დიდვანია (კლარჯ. ისკ.);

ყურძენი ისტამბოლელია (კლარჯ. ბუჯ.);

ქართველი ზორ კაი არ ვიცი (კლარჯ. ჰამიდ.);

ქართველი (=ქართული) კაი არ ვიცი (კლარჯ. თხილ.);

ბუჯურელაჲ ვაშლი, სახელი ამ სოფლიდანაჲ (კლარჯ. ბუჯ);
ურ//ულ:
გელინი ერთი ბაიბურთულია, ერთი-ართვინული (შავშ. 409);
გელინი არ წავა, ბათუმური არ არი, ქუთაისური არი (შავშ. 463);
ბათუმურია ისა, ჯეფერაჲ (შავშ. 389);
ჩვენ აჲ, ამ სოფლოური ვართ (შავშ. 457);
ბაზგირული დოდოფალი მოყავან (შავშ. 369); ბალხური- ბეჩიო (ჩვენებ. 174);
ქალი ქართული მყავს (ჩვენებ. 171);
ჭვანურაჲ ქალი დუნიშნია (აჭარ. აგარა);
ჭვანურაჲ ქალი მოჰყავს (აჭარ. აგარა);
ჭვანურაჲ ხოჯა იმფო ხდება (აჭარ. მეკეიძეები);
ვანაძურაჲ შამუა ახლა (აჭარ. ღორჯომი);
ვანაძურაჲ თქვა აქედან მომშორდენო (აჭარ. მეკეიძეები);
უწინდელი სახელია ბუჯურელაჲ ვაშლი, სახელი ამ სოფლიდანაჲ (კლარჯ. ბუჯური)...

უკანასკნელ მაგალითში ორი სუფიქსია -ელ და -ა.

სადაურობის გადმოცემის გარდა -ურ//ულ სუფიქსი სხვა ფუნქციითაც გამოიყენება. ალ. მანჯგალაძე აღნიშნავს, რომ -ურ სუფიქსის „თავდაპირველი ფუნქცია არის სახელის დეტერმინაცია“ (მანჯგალაძე, 1953: 473). ავტორის დაკვირვებით, თვისების გამოსახატავად იგი მე-11 საუკუნიდან გვხვდება, მე-12 საუკუნეში კი - უფრო ხშირად.

სამხრულში ხშირია -ურ სუფიქსი ზედსართავთა საწარმოებლად - დაერთვის როგორც ზედსართავს, ასევე პირის ნაცვალსახელსაც:

შენ შენური საქმე დაგჩა (კლარჯ. გურბ.);

იმან თქვენური იცის (კლარჯ. დევსქ.);

მერიემაჲ ჩვენური სახელია (კლარჯ. ისკ.)...

გვხვდება აგრეთვე შენებური: შენ შენებური გააწყე (კლარჯ. დევსქ.);

შენ შენებურა გინდა ყველამფერი (აჭარ. ვანაძეები);

თქვენ თქვენებური ჰესაბი იცით (აჭარ. მეკეიძეები);

მაგრე თქვენებურაც ვერ იქნება (აჭარ. ლორჯომი);

შენებურები არ ვიცი მე, მე ჩემებურა მინდა (აჭარ. ვანაძეები);

შენ შენებურები მოგწონს, მე ჩემებურები (აჭარ. მეკეიძეები);

ძველური ინსნები არ არიან, ძველური (კლარჯ. ნუსრ.).

ერთი და იმავე სოფლის მეტყველებაში სადაურობის აღსანიშნავად ერთ წინადადებაში იყენებს სხვადასხვა სუფიქსს: -ელ-ის ნაცვლად -ურ//ულ:

ჩემი რძალი გურბინელია, მე - ისკებური (კლარჯ. ისკები);

ჩემი ოჯახი ქართველია, ცოლი ქართული იყო (კლარჯ. მურდ)..

ეს მოვლენა, -ელ და -ურ//ულ აფიქსების განურჩეველი გამოყენება ვინ და რა ჯგუფის სახელებთან ისე ფართოდ გავრცელებული, თვალში საცემი, არ ჩანს არც ერთ სხვა დიალექტში, როგორც შავშურსა და ზემო აჭარულში.

ვინ ჯგუფის სახელთაგან სადაურობის სახელი -იერ//იელ სუფიქსითაც იწარმოება:

მეიყრებოდნენ სოფლიერი, ბაღვიდამ, ქალიდამ ასე ბერ კაცამდე, ღამეში (ჩვენებ. 235: შოლტიხ.).

სოფლიერი სულ შეიტყობდა (ჩვენებ. 235: შოლტიხ.).

ზუელათ ჩვენი სოფლიერი სასაფლაოზე წადიოდნენ (ჩვენებ. 236: შოლტიხ.).

ჩემი თავი ამ სოფლიერს ბოვრი უყვარს (შავშ. ჰამიდ.);

ბობებს ჩვენი სოფლიერები არ ჩეცვამს (შავშ. ნუსრ.);

სოფლიელებმა ლობიო დაარგებენ (შავშ. მურკ.)...

აქ ზმნიზედისაგან სადაურობის სახელი ერთდროულად -ურ და -ელ სუფიქსებით აღინიშნება:

ისიც აქავრელია (<აქაურელია), გურჯია (შავშ. ჰამიდ.);

აქევრელები ზორ ბევრი არიან (შავშ. ჯივ.);

ისიც აქევრელია, ჩემ სოფლეელია (შავშ. ბორჩ.)...

აქაურელი>აქავრელი>აქევრელი.

ქალიც აქავრელია, გურჯია (შავშ. ჰამიდ.).

ორმაგი წარმოებისაა აგრეთვე ქედელური :

ეს ქედელურია (<ქედ-ელ-ურ-ი-ა) (შავშ. ახალდაბა);

აფიქსური წარმოების პარალელურად სადაურობა ზოგჯერ აღინიშნება შესაბამისი ძირეული სახელით, უაფიქსოდ:

მე მურღული რძლები მყავ (შავშ. დევსქ.);

ხოჯა ჩემი მაჭახელია (მაჭახლელია) (შავშ. ჯივ.);

მაჭახლები ხაპ ეტყვიან (შავშ. ჯივ.);

„ეზოს“ მურღულმა (მურღულელმა) ბელქი იხმარავს (შავშ. ხება);

შდრ. ეს მურღულელია (შავშ.ესკიფერად.);

-**დელ:** -**დელ** სუფიქსი დროის აღნიშვნელ სიტყვებს დაერთვის და როდინდებლობასა და წარმომავლობას აღნიშნავს:

ახლანდელ ქალებ რა ედერდებიან (შავშ. 492);

ახლანდელი ქალი, კაცი ჯინიც გახდა (შავშ. 461: წეთილ.);

ახლანდელი დოლარით ვთქვა მე, ახლანდელი დოლარით (შავშ. 437: ჩაქ.);

ახლანდელი ზლები კი არ დაჯდებიან დედამთილის ერთაი (კრებ. VIII: 199).

ახლანდელებს აფერი არ ენაღლებიან (აჭარ. ვანაძეები).

დაგვავიწყდა ძველანდელი (შავშ. 421: უსტ.);

ამეზლამდელი დუგუნი აგ ზეა (შავშ. 416: უსტ.);

დღევანდელი ჭკვა ხვალ მოგწონდება (შავშ. 375: ბაზგირ.);

მაშინდელი იმფო.. მაშინდელი ნენიების ხელში რომ იცოდნენ მა ნენიობა (შავშ. 371: ბაზგირ.);

მაშინდელი არ ვიცი (კრებ. VIII: 173: ჰამიდ.);

ორასი წლის წინანდელი მომიტანო (შავშ. 399: ზაქ.);

უწინდელი გაგაგნებო, დედი ჰაჯი იყო (კრებ. VIII: 174, ჰამიდ.);

წინწინდელი აფერი აღარ მახსოვს (საუნჯე, 468: ირემად.);

ყველამფერი სხვანაირი იყო უწინდელ დროში (აჭარ. მეხალაშვილები);

უწინდელები იმფო შეძლებული იყნენ (აჭარ. მეკეიძეები);

შარშანდელისთენი იქნება თუ? შარშანდელს იძლევიან? (კლარჯ. კირნ.);

ის უწინდელი ნენეა იშტე (კლარჯ. ადაგ.);

უწინდელი სახელია ბუჯურელაჲ ვაშლი (კლარჯ. ბუჯ.)...

გვხვდება წინდელიც:

წინდელი დრო ამსოი იყო (კლარჯ. ადაგ.);

წინდელები კად ვართ (კლარჯ. ბაგ.)...

ასევე გვხვდება წინწინდელი ფორმებიც:

წინწინდელებმა რა იცოდენ (აჭარ. საციხური);

წინწინდელები მაქფერები იყენ (აჭარ. იქვე).

ამრიგად, წარმომავლობის სახელებს სამხრულ კილოებში აწარმოებს -ელ და -ურ სუფიქსები. ამ სუფიქსთა განაწილების წესი, რომ -ელ სუფიქსი ადამიანთა წარმომავლობას აღნიშნავს, ხოლო -ურ სუფიქსი არაადამიანთა წარმომავლობას, სამხრულში მტკიცე არ არის: -ელ სუფიქსით აღინიშნება რა ჯგუფის საგანთა წარმომავლობაც, ხოლო -ურ// -ულ სუფიქსით - ვინ ჯგუფის სახელთა სადაურობაც, დასტურდება შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე მაგალითში ერთ შემთხვევაში -ელ სუფიქსი, ხოლო მეორე შემთხვევაში -ურ გვხვდება. ასევე უნდა აღინიშნოს რომ -ეთ, -ელ სუფიქსების ნაცვლადაც -ურ სუფიქსი გამოიყენება.

1. 4. აბსტრაქტული სახელები. აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელია სუფიქსები: **ობა, ება, სი-ე** (სი-ო).

-ება და -ობა სუფიქსები აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელია, მაგრამ ერთმანეთის ნაცვლად ისინი არ იხმარება. ქართულ სალიტერატურო ენაში გავაქვს ამ მხრივ გარკვეული ნორმა და ტრადიციას მტკიცედ ვიცავთ (ქავთარაძე, 1954: 102).

„აბსტრაქტულ სახელთა წარმოქმნის მხრივ საგრძნობი სხვაობა შეიმჩნევა ძველსა და ახალ ქართულში: ა) ახალ ქართულს -ობა სუფიქსის ნაცვლად ძველ ქართულში ხშირად -ება სუფიქსი იხმარება; ბ) ძველ ქართულში პრეფიქს-სუფიქსური წარმოება ახალში ხშირად შეცვლილია ოდენპრეფიქსული წარმოებით: სიმცნწ - მხნეობა“ (მარტიროსოვი, 1958, 125).

-ობა. ეს სუფიქსი საწყისური წარმოშობისაა და რთულია. დღეს მას სახელთან მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან. -ობა განყენებულ ცნებათა სახელებს აწარმოებს არსებით სახელთაგან და მოქმედებითი გვარის მიმღობათაგან: მმ-ობა, მეგობრ-ობა, მტრ-ობა... მშენებლ-ობა, დამაჯერებლ-ობა... -ობა სუფიქსით ნაწარმოებმა სახელმა შეიძლება კონკრეტული მნიშვნელობაც მოიპოვოს: ამ შემთხვევაში ის იქნება კრებითი (კოლექტიური) სახელი: მაგ., „სტუდენტობას“ ორგვარი მნიშვნელობა აქვს:

აბსტრაქტული („ამ ვაჟს სტუდენტობა ძალიან მოუხდა“) და კონკრეტული (დღეს სტუდენტობა უნივერსიტეტის ეზოში შეგროვდა“). მსგავსი მაგალითებია: ქართველობა, მეზობლობა, ძმობა... -ობა-თია ნაწარმოები ზმნიზედური გამოთქმები წონა-ზომისა და სხვა სახელთაგან: გირვანქობით, ფუთობით, მეტრობით, წლობით... დამოუკიდებლად -ობ სუფიქსი რამდენიმე სიტყვაში იხმარება; ესენია: მალღ-ობ-ი, ფერდ-ობ-ი, ამავე წესით ახლად გაკეთებულია: ფართ-ობ-ი...

-ობა სუფიქსით წარმოქმნილი სახელები, სამხრულ დიალექტებში.

-ობა სუფიქსი ყველა სუფიქსური მაწარმოებლის ფონზე, პირველ ადგილას დგას თავისი სიხშირით.

ბევრი მოყრილობა იქნება, შემეხვევი, ჭამ... (შავშ. 398);

ახლობაში თლათ ექენა და... (შავშ. 171);

გაკეთდი, ინშალა, კარგობა მომცეს... (შავშ. 390);

ქორწილობა დიდი დუგუნია აქა (შავშ. 383);

ჩემი ბაღანა იქ დობტორობას იჯება (შავშ. 392);

ვერ დევჭირე მარხულობა (შავშ. 393);

აღარ უყაბულებიან ქართველობა (შავშ. 393);

თლათ ჭალობაზე გაგდებულია (შავშ. 408);

მაგათი ნიშნობა იქნა (შავშ. 412);

სიყვარულობა ჩემ ყანიდან ვინცხაი ხართ, ისინი არიან (შავშ. 449);

საპონიც გაალორებს ავატყოფობასო (შავშ. 460);

მეზობლობა კაი გვაქ (შავშ. 462);

ღმერთმა გერმელობა მოგცეს (შავშ. 474);

დოდოფლობაში შეკაზმული იყო (შავშ. 503);

შერბეთობა ახლა გახდა (შავშ. 426);

მარიობას შუამთობას ვეტყოდით... (კრებ. VIII: 169);

ნადირობა იქნებოდა, იქაც ერთხელა იქნებოდა... (კრებ. VIII:168);

ქალები კაცებთან ვერ დაჟდებოდენ, გამრეობა არ იყო ზათინ..(კრებ. VIII: 215);

უწინ იტყოდენ ჯაზობა არიო...(კრებ. VIII: 215);

ბევრი დღე მიცეს იმგვარობა იშტე...(კრებ. VIII: 216);

ვინმეს არ გვეუბრები, გონჯობა არ ვქენი... (კრებ. VIII: 98);

როგორ, ბატონო, და, ერთხელ ვთხოვე, მოგებით და მთლიანად დავუბრუნე,
ეხლა კი, საცოდავი, შვილიანობა-ს თან გადაყვაო... (კრებ. VIII: 30);

გონჯი ავადობა ქონდა... (კრებ. VIII: 98);

ნიშანლობა იყო, ენ წინ დედნიშნავდენ, რაცხამდონი სურე... (კრებ. VIII: 181);

ელჩობის მემრე გავაქციე (კლარჯ. იბრ.);

ენწინ დავთესევედით, ჩემ გოგვობაში, ღარჭობაში (კლარჯ. ერენქ.);

ღარჭობაში მიყვარდა (კლარჯ. დევსქ.);

მეტი კაა ძალობა იჯება (კლარჯ. ჯივ.);

მე ბაღნობა არ დიმიწახიან (კლარჯ. ჯივ.);

შენი ბაღვობა რა გითხარ (აჭარ. მეკეიძეები);

მაყრობა იჯებიან (კლარჯ. ტრაპ.);

ბადიშები ჩამოვდენ დედეს ავადობაში (კლარჯ. ახალდ.)...

-ობა დაერთვის ავად ფუძის -ეულ სუფიქსით ნაწარმოებ სახელს ავადეველი:

ინაშექერი ავადეველობისთვინ კაა ყოფილა (კლარჯ. ერენქ.);

გონჯი ავადეველობა ქონდა (კლარჯ. ჯივ.);

ერთი ავადეველობა მოვდა (კლარჯ. ნუსრ.).

-ობა სუფიქსი მოქმედების აღმნიშვნელი სახელებისაგან აწარმოებს
აბსტრაქტულ სახელებს:

რა საქმობაში ხარ, რა გჭირს? (აჭარ. ვანაძეები);

ჩვენთან ღალატობა არ იციათ (კლარჯ. მარადიდი);

მერაყობაში ხარ რაცხა ჩავარდნილი (აჭარ. მეკეიძეები);

მე არ მიყვარდა მღერობა (კლარჯ. ისკები);

ფიქრობაში შევექეთამ ეს ამბავი შეიტყო (კლარჯ. კირნათი).

სი-ე კონფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი დაირთავს -ობა სუფიქსს,
გვაქვს ორმაგი წარმოება:

სიცოცხლობა მაქ (კლარჯ. ჯივ.); პარალელურად გვხვდება: ღმერთმა კაა
სიცოცხლე მოგცეს (კლარჯ. ჯივ.);

სიკდილია, სიცოცხლობა არი მე რა ვიცი რა იქნება (აჭარ. ვანაძეები).

არ. მარტიროსოვი აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში **სი-ე** აფიქსთა გამოყენების სფერო **-ება, -ობა** სუფიქსთან შედარებით შეზღუდულია (მარტიროსოვი, 1958: 128). ძველი ქართულის შესახებ არ. მარტიროსოვის ეს დასკვნა სამხრულ კილოზეც ვრცელდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **-ობა** სუფიქსი დაერთვის აგრეთვე **სა-ე** კონფიქსით ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელებს:

ამან მეტი *საძმეობა* არ იცის (კლარჯ. ზ. მარადიდი).

-ობა სუფიქსს სამხრულში სხვა ფუნქციაც აქვს, ენაცვლება მრავლობითობის **-ებ** სუფიქსს:

თქვენობიდან (-თქვენებიდან) ქალი ახლავს (კლარჯ. იბრ.);

სველში არ გემეველებიან, რა ამბავობაა (-ამბებია) აჯაფ ბახჩიეფში? (კლარჯ. მარადიდი)...

მრავლობითობას (და არა კრებითობას) უნდა გამოხატავდეს **-ობა** ამ წინადადებაშიც:

დასაქორწილებელი არვინაა, ბერობაა უმფო (კლარჯ. დევსქ.);

სოფელში ბერობა ვართ მართო, ახალობა ყველაი თურქეთშია გაკრეფილი (აჭარ. მინთაძეები).

-ობა სუფიქსი დაერთვის ზედსართავს, წარმოიქმნება ზმნიზედის მნიშვნელობის მქონე სიტყვები:

ძველობაში ასე ყაზანები გვექონდენ, (კლარჯ. დევსქ.);

ღმერთო, ლამაზობით მომარჩინე, ვებვეწებოდი ღმერთს (კლარჯ. გურბ.);

ლამაზობით მორიგება ჯობია ჩხუმს და დავიდარაბას (აჭარ. ვანაძეები);

ლამაზობით მინდოდა და არ ქენ და რა გიყო მე (აჭარ. ვანაძეები);

-ება-ც ისეთივე წარმოშობის სუფიქსია, როგორც **-ობა**, მაგრამ დღეს მას ზოგ შემთხვევაში თითქოს არც კი აქვს კავშირი საწყისთან. **-ობა-საგან** განსხვავებით, ის **-იერ-ზე** გათავებულ ზედსართავთაგან აწარმოებს განყენებულ სახელებს: **ბედნიერ-ება, გონიერ-ება, კადნიერ-ება...** ზმნური წარმოშობისაა, მაგრამ დღეს სახელია: **ცხოვრ-ება**; ზმნური ფორმა აქვს ფუძედ არს-ება-ს. ზმნის ფორმა მიმღეობად არის

გამოყენებული და ამისაგან შემდეგ აბსტრაქტული სახელია ნაწარმოები: ღირს, ღირს-ი, ღირს-ება (შანიძე, 1973: 131).

-ება სუფიქსით ნაწარმოები სახელები სამხრულ კილოებში იშვიათად გვხვდება. ყველაზე აქტიური, ცოცხალი და მოქმედი მაწარმოებელია -ობა სუფიქსი. ის დაერთვის ყოველგვარ სახელს, როგორც ქართულს ასევე უცხოური წარმომავლობისას, მარტივსაც და ნაწარმოებსაც.

-ობა სუფიქსი ასევე დაერთვის -ეულ სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს.

1. 5. დანიშნულების სახელები.

დანიშნულების, განკუთვნიების შინაარსის გამომხატველი სახელები იწარმოება: სა-ე, სა-ო, სა-ურ აფიქსებით (შანიძე, 1973: 133; კვაჭაძე, 1969: 172; ლლონტი, 1971, 122).

როგორც ვხედავთ, პრეფიქსი ყველგან ერთია, განსხვავებას ქმნის სუფიქსი. აღნიშნული პრეფიქს-სუფიქსებიდან სამხრულში გვხვდება სა-ე, სა-ო აფიქსებით ნაწარმოები სახელები.

სა-ე გამოხატავს დანიშნულებას, განკუთვნიებას: სა-ქათმ-ე, სა-ყურ-ე, სა-თვალ-ე, სა-ყინულ-ე და სხვა. მრავალ სახელს ზედსართაობა დაკარგული აქვს საზღვრულის ჩავარდნის გამო და არსებითად ქცეულან: სალორე, ღორისთვის განკუთვნილი ადგილი; საყურე, ყურისთვის დანიშნული სამკაული და მისთ. რა თქმა უნდა, ზედსართაული გაგებაც შეიძლება შენარჩუნდეს: სა-ურმ-ე (გზა), სა-ჩოხ-ე (შალი), სა-პერანგ-ე (მასალა)... (შანიძე, 1973: 132).

სა-ე: როგორც აღვნიშნეთ სა-ე კონფიქსი სამხრულ დიალექტებში დანიშნულების სახელების მაწარმოებელია:

სასკვირე ზედუბე, უბის ზედა ადგილია... (შავშ. 407);

თუ ემეა, საძროხე იქნება... (შავშ. 469);

მაგას ვერ გავჰყიდით სახარეთნა გავზარდოთ (აჭარ. ვანაძეები);

სათივეზე ამოხვიდეთნა? (შავშ. 426: ივეთი);

სახლუკნედან საშეშე (შავშ. 498: საყოფ.);

ნიჩბით ზიბილი იქნა გედემექნია, სანეხვეზე (შავშ. 399: ზაქ.);

საფეხე, მსხვილი წინდა (კლარჯ. კრებ. IX: 184; სირ.);

მაგან ყველთვინ სახრე ხბო იცის, ეგ საფურეს არ იქს (აჭარ. მეკეიძეები); სახრე (<სახარე) სიტყვისგან მომდინარეობს (სახრე-მამალი ხბო).

თიკნებისტვინ ლამაზი სათიკნე გვაქ (აჭარ. მეკეიძეები);

ეგ სხვა არი საახორე სხუა მაქ (აჭარ. მეკეიძეები);

საცხვრე გამოხვეტე პილლაი, არ დაგჩეს (აჭარ. ვანაძეები);

საფიჩხე ადგილი იქით იმფო არი (აჭარ. ლორჯომი);

საყავრეა არ დახიო შეშათ ბრალია (აჭარ. მეკეიძეები);

სალოზიე ადგილი დიმიტიე (აჭარ. მეკეიძეები);

არართი და უხდური ანია, საოხდურესაც იტყვიან (საოხდურე=ადგილი სადაც რძის ნაწარმს ინახავენ) (ჩვენებ. 197);

საკვარტლეა აბა რა არი, ამის მეტ რომ არ მეიწველის (აჭარ. ვანაძეები); (საკვარტლე=გამოუსადეგარ საქონელს, რომელიც არაფრად რომ აღარ გამოდგება და მოსაშორებელია თავიდან), საკვარტლე ანუ კვარტალში ჩასაბარებელი. საკვარტლეს ზოგჯერ ადამიანთან მიმართებაშიც იყენებენ და ამით მას მიუთითებენ უვარგისობაზე.

სა-ო იგივეა მნიშვნელობით, რაც სა-ე, ოღონდ ამას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისგან ეს აწარმოებს სახელებს, რომლებიც უმეტესად ზედსართავებია: სა-ექიმ-ო, სა-ჯარ-ო, სა-ქვეყნ-ო, სა-უნივერსიტეტ-ო... ბევრ ასეთ სახელს არსებითის მნიშვნელობა აქვს მოპოვებული: სა-სადილ-ო, სა-მზარეულ-ო, სა-მრეკლ-ო და სხვა (შანიძე, 1973: 132).

სა-ო კონფიქსიანი სახელი სამხრულ დიალექტებში ძირითადად დანიშნულება-განკუთვნიებას აღნიშნავს:

ავადეველი ბიჭი, საქორწინო... (კლარჯ. კრებ. VIII: 177);

სადოდოფლო ეცვა, თავზე დუალი ეხურა, სახე კი პირბადით დახურული ჰქონდა... (კრებ. VIII:110);

სათითო ემე იცით (კრებ. IX: 184);

საფექროში დგიმები, შენი თეთრი კბილები (შავშ. 482);

ძალი სანიშნოთ წევყვაით, ნიშანი'ნა ვუყიდოთ (აჭარ. ლორჯომი);

ეს საბაღვოა რათ გინდა, შენ დაბერებული ხარ (აჭარ. ვანაძეები); (ამ წინადადებაში საბაღვო საახალგაზრდაოს მნიშვნელობითაა გამოყენებული).

სადედაბროთ არ მცალია, ყველამფრისოი ჩემი საქნელია (აჭარ. ლორჯოში);

საბერო მომიხდება ახლა მე (აჭარ. მეხალაშვილები);

საჭალოთ შევნახოთ, ჯერ არ გვინდა (აჭარ. მეკეიძეები); საჭალოთ=საჭალებოთ, დაკარგულია ებ მრავლობითის ნიშანი. უნდა აღინიშნოს რომ პარალელურად გვხვდება საჭალებოთ ფორმებიც და მათი გამოყენება უფრო ხშირია მაგ: საჭალებოთ მევემზადე (აჭარ.ვანაძეები); საჭალებოთ მევეტანთ... (აჭარ. საციხური).

სა-ო კონფიქსი დაერთვის ზედსართავსაც:

ეგ არ ჩეიცვა ჯერ სადიდოა (აჭარ. ვანაძეები).

სა-ო, სა-ე: სა-ო, სა-ე დაერთვის ასევე რთულფუძიან სიტყვებსაც:

ეგ მე მომე საგულდაგულოთ შევნახავ (აჭარ. აგარა).

ამ სიხლეთში ვინ მეიცალა საპურმარილოთ (აჭარ. აგარა);

ეს კლავისა კიარა საგულმკერდეა (აჭარ. ვანაძეები);

სა- პრეფიქსი და მასთან ერთად სხვადასხვა სუფიქსი დანიშნულების სახელებს აწარმოებს. ტოპონიმებშიც მათ თითქმის იგივე დანიშნულება — თვისების გამოხატვის ფუნქცია აქვს, რომელიც ხშირად სიმრავლესაც უკავშირდება“ (ზურაბიშვილი, 1961: 153). რჩება შთაბეჭდილება, რომ სა- პრეფიქსიან კონფიქსებში დანიშნულებას სწორედ პრეფიქსი გამოხატავს, მასთან მიერთებულ სუფიქსს კი დანიშნულების მნიშვნელობა არ უკავშირდება (შდრ. გოგოლაშვილი, 2011: 233).

აკ. შანიძე სა-ე და სა-ო პრეფიქს-სუფიქსებს აიგივებს (შანიძე, 1973:136). გ. ახვლედიანის დაკვირვებით, თანასწორ პირობებში სა-ე-ს (ე.ი ე-ს) სუბსტანტივობისაკენ აქვს მიდრეკილება, სა-ო-ს (ე. ი ო-ს) კი--ადიექტივობისაკენ, რამდენადაც -ო ქართულში იხმარება ზედსართავის საწარმოებელ სუფიქსად, -ე კი - სუბსტანტივის მაწარმოებელია (ახვლედიანი, 1923: 58-59).

ჩანს, სა-ე და სა-ო კონფიქსებს თავდაპირველად საერთო ფუნქცია არ უნდა ჰქონოდა. სა- პრეფიქსი, როგორც აღვნიშნეთ, დანიშნულებას გამოხატავდა, -ე და -ო სუფიქსები კი განსხვავებული ფუნქციის მატარებლები იყვნენ.

სა-ურ//სა-ულ:

ეს სასამურადა (სა- სამ- ურ-ა-ა) ორთაბათუმი, დუუკრა'და, თქვენ ისამოთ'ნა (შავშ. 439: ჩაქ.); ამ შემთხვევაში ორმაგი სუფიქსური წარმოებაა.

ემეი თუ გაკეთებული გაქ, სანათურ ვეტყვით (შავშ. 450: ნიო.);

მაგას მეორე კაცი რათ უნდა, ერთი საბეჭურია (აჭარ. აგარა);

შენზე სანძიმური საქმე არ იზამს (აჭარ. აგარა);

საყელური დუუგრიხე ჰამა პაწაი მოვდა (აჭარ. ვანაძეები).

საგვერდული გამუა პილლაი და მემრე ბუდე (აჭარ. ვანაძეები).

შეიძლება დავასკვნათ, რომ სა-ე კონფიქსი უმეტესად დანიშნულების სახელების მაწარმოებელია, სა-ო კონფიქსი კი დანიშნულება-განკუთვნებისა.

სა-ო იგივეა მნიშვნელობით, რაც სა-ე, ოღონდ ამას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისგან აწარმოებს სახელებს.

1. 6. წინა ვითარების სახელები: წინა ვითარების სახელთა საწარმოებლად გვაქვს ნა-არ და ნა-ევ აფიქსიანი წარმოება, „რომლებიც ერთია ფუნქციით, მაგრამ ერთფუძესთან შეიძლება ერთი წარმოება იყოს დამკვიდრებული, მეორესთან — მეორე: „ქმარ“ სიტყვისაგან ნა-ქმარ-ევ-ი ითქმის (და არა ნა-ქმარ-ალ-ი), მაგრამ ცოლისაგან - ნა-ცოლ-არ-ი... (შანიძე, 1973: 133). დიალექტებში ნაცოლარის გვერდით ნა-ცოლ-ევ-იც გვხვდება. რატომ ნა-არ და ნა-ევ? ორივე აფიქსისათვის პრეფიქსი (ნა-) საერთოა, სუფიქსი კი —სხვადასხვა (-ევ, -არ). ცალკე აღებული -ევ და -არ სუფიქსები სახელებთან განსხვავებული ფუნქციის მატარებელნი არიან.

ქართულში გვხვდება წინავითარების სახელების პარალელური წარმოება: ნაზამთრი//ნაზამთრალი//ნაზამთრევი, ნასისხლი//ნასისხლარი//ნასისხლევი, ნაქალაქარი //ნაქალაქევი, ნაზაგარი//ნაზაგევი... (გოგოლაშვილი... 2011: 235).

სამხრულში წინა ვითარების სახელები იწარმოება ნა-ევ, ნა-არ აფიქსებით, ვითარება ასეთია:

ნა-ევ:

ესა ნაფურნევია (შავშ. 416: სვირ.);

ნაფურნევი აგარული ძაილაა (შავშ. 464: დას.);

ნაფურნევის ზედედან (შავშ. 484);

ნაფურნევეზე დავთესოთ ბევრი მუა (აჭარ. მეხალაშვილები);
ნაახორევი სუქანი ალიგია (აჭარ. ვანაძეები);
ნაახორევი დამჩა სხვა გავზარე (აჭარ. მეხალაშვილები);
ახლა ნასახლეგია დარჩენილი, აქ სახლები იყო (აჭარ. მეხალაშვილები);
ნაპურევიც არი, ნასახლევიც (კრებ. IX: 220);
ცოტა იწით დავთესოთ ნაბოსტნეგია (აჭარ. ვანაძეები);
ნაქლაქევი ადგილია ზომო ქურას (ჩვენებ. 298:ზ. ქურა);
არის შემთხვევები როდესაც **ნა-ევ** კონფიქსის პარალელურად **ნა-ალ** გვხვდება:
ნაახორალზე აღარ მინდა ისევ ახორის დადგმა (აჭარ. ვანაძეები);
ნაბოსტნალია, ადრე თუთუნ ბოსტანი იყო აქ (აჭარ. მეკვიძეები); ეს შემთხვევა **ნა-არ** კონფიქსის ფონეტიკური პროცესის შედეგი უნდა იყოს.

-ევ სუფიქსის ოდინდელი ფუნქცია იგრძნობა -ევ-ან სუფიქსიან სახელებშიც, როდესაც პარალელური ფორმები დასტურდება: **ბოსლევანი//ბოსლევი...**

მსგავს ფორმებში თითქოს ჩანს -ევ სუფიქსის უძველესი ფუნქცია, აღნიშნოს მრავლობითობა.

მ. ფაღავას მოსაზრებით, ამ მიმართულებით კვლევა უნდა გაგრძელდეს და დეტალურად აღიწეროს -ევ სუფიქსის კვალი ქართულში (ფაღავა, 2015).

ნა-არ//ნა-ალ:

ნა-არ აფიქსები დაერთვის სიტყვებს და აღნიშნავს ადგილს, სადაც იყო ნაგებობა, მაგრამ მისგან მხოლოს ნანგრევებიღაა დარჩენილი:

ნაქილისარი არი, მარა რავა გაწავლო (შავშ. 379: ბაზგ.);

აველ ნაციხვარაზე (შავშ. 472);

ნასახლარი გახდა (ჩვენებ. 211: ხობ.);

ნაქილისვარი, ნაფეტვარაი, ერთიც არი რაბათში (შავშ. 399);

ნაქილისვარია და ქილისაი იმტომ ჰქვია (აჭარ. აგარა);

ნაქილისარია მაქ მართო დარჩენილი (აჭარ. საციხური).

ნაქილისარზე იყენ ვინცხაი ურცხუები ამოსული (აჭარ. საციხური).

ნა -არ//ნა-ალ:

ნასაყდრალი ალიგია დარჩენილი, სხვა აფერი აღარ ეტყობა (აჭარ. აგარა);

ეს რა არის და ნაფურნალია (აჭარ, დიდაჭარა).

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ნა-ევ** კონფიქსის ნაცვლად გვხვდება **ნა-ალ**, ასევე გვაქვს **-ევ** სუფიქსის წარმოების ადრინდელი წესის დადასტურების შემთხვევები-აღნიშნოს მრავლობითობა.

გვხვდება ასევე **ნა-არ** აფიქსებთ ნაწარმოები სახელები.

1. 7. ხელობის სახელთა წარმოება. ხელობის გამოსახატავად გვაქვს ორი წყვილი აფიქსი: **მე-ე** და **მე-ურ** (შანიძე, 1973: 135).

სპეციალურ ლიტერატურაში **მე-ე** და **მე-ურ** მაწარმოებლიან ჯგუფს ხელობისა და პროფესიის სახელებს უწოდებენ (შანიძე, 1973: 135; ჩიქობავა, 1942: 167).

სამხრულ კილოებშიც ჩვეულებრივად გამოიყენება **მე-ე** და **მე-ურ** აფიქსები. **მე-ე** კონფიქსი დაერთვის ფუძეს და გამოხატავს რისამე კეთებაში დახელოვნებულ პირს, სპეციალისტს:

მებაღე ბახში წავა, მესაქონლე საქონელჩი (აჭარ. ვანაძეები);

მაგიდან კაცი არ დადგება, ანჯახ მეთიკნე გამუა (აჭარ. ღორჯომი; შდრ. მეთიკნე ძიძიგური, 105: ქრესტ.);

ევ ლამაზი მეთხეა, მაგასთან ლაპარიკი ზედმეტია (აჭარ. მებალაშვილები; შდრ. იმერ. მენტხე, ძოწენიძე, ლექსები);

მემთეც ეს არი და მებარეც სხვა ვინმე არ ჰყავს (აჭარ. ვანაძეები; შდრ. ხევსურული-მემთე, ასეთივე მნიშვნელობითაა ხევსურულშიც);

მე-ურ:

მაგარი მეჭვირთულია, ზოვლი დიდი ჭვირთების წამოღება იცის (აჭარ. საციხური; შდრ. თუშური-მეტვირთული ხუბ.: 118);

მემთევი (<მემთეური) არ მყავს და ჰანა წევდე (აჭარ. ვანაძეები);

მეტყეური რომ ხარ ტყეშინა იყო, აქ ხომ არა (აჭარ. მეკვიძეები);

ძალიან მეკენტურია, ამას მე რამე ვერ შივაჭამე (აჭარ. ვანაძეები);

შეიძლება დავასკვნათ: ძირითადი მაწარმოებელია **მე-ე** კონფიქსი, მაგრამ გვხვდება **მე-ურ** მაწარმოებლიანი ფორმებიც, რომელთა დიდი ნაწილი ძველ ქართულში ჩანს ჩამოყალიბებული: **მეტყეური, მეკენტური...**

1. 8. გეოგრაფიული სახელები: სამხრულ კილოებში პროდუქტიულია გეოგრაფიულ სახელთა სუფიქსური წარმოება. ქართულ სუფიქსთაგან გამოიყენება: -ეთ, -ით, -ოთ, -უთ, -ათ, -თა, -ა, -ურ//-ულ, -არ//-ალ, -ილ, -ელ, -ოლ, -ან, -ომ, -ებ, -ობ//-ოფ, -ანთ//–ენტ, -ოვან, -იან, -ნალ, -ფხე, -უნა, -იმ, -ევ, -ობ//-უხ//-ხ.

ჩამოთვლილ სუფიქსთაგან ზოგი უფრო ხშირად გამოიყენება, ზოგი შედარებით ნაკლებად.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრული კილოების ნაწილი თურქულ ენაზე საუბრობს (თურქეთის რესპუბლიკაში შედის), მაინც დღემდე შემონახულია ქართული წარმოების აფიქსები, რაც კარგად ვლინდება გეოგრაფიულ სახელთა წარმოების დროს (ფაღავა, 2016).

სამხრულ კილოებში გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოიყენება სუფიქსი -ეთ, რომლის ვარიანტია ით.

„-ეთ სუფიქსი უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელთა ფუძეს: ტბ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, ნოგოზ-ეთ-ი... განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელები, რომლებისაგან იმავე ეთ-ის საშუალებით გეოგრაფიული სახელები კეთდება: ხევსურ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, სპარს-ეთ-ი... ამავე სუფიქსს ვხედავთ ქვეყნის მხარეთა სახელებში: აღმოსავლ-ეთ-ი, დასავლ-ეთ-ი, ჩრდილო-ეთ-ი, სამხრ-ეთ-ი“ (ფაღავა, 2015).

სამხრულ კილოებში -ეთ სუფიქსი გამოხატავს კრებითობას ან მრავლობითობას, მაგალითები:

სოფლებია: ხობლევი, მაჩხატეთი, წეთილეთი, შოლტიხევი, ქოქლიეთი, სვრვანი, დავითეთი, ზაქიეთი, თეთრაკეთი, ხევწრილი, ბაზგირეთი (ჩვენებ. 194: ხობ.);

ლომსიანეთი წყალსმიერის უბანია (ჩვენებ. 239: შოლტ.);

მახსოვს მაჰალეები სოფლისა: ქურდიკეთი, მიქელეთი, ხოჯიენთი, ბათიენთი, თათუენთი, ქოჩიენთი, ქეიენთი, სომეხეთი (ჩვენებ. 241: შოლტ.);

ბაზგირეთი მაჭახილზე ახლოა (ჩვენებ. 246: ბაზგ.).

მაჩხათეთის ადგილებია: დიდლეუ, დიდგულიხევ, კარჩხალეთ ხევ, საინითავ, ზიზანავრ, კაკაბავრი, ჯავრიეთი, გზელავ ზირი (ჩვენებ. 257: მაჩხ.);

მაჰალეები ზოგი ვიციით: დუდუბეთი, ზუბიეთი, კოკვერეთი (ჩვენებ. 192: ხობ.);

ხოხლევის მეჰელეებია: *მესხიეთი, გორგიეთი, ქომიენთი, ჯენიგლიენთი, ლომიეთი, ხევრიენთი, პალჯიენთი* (ჩვენებ. 195: ხობ.);

სოფლებია: *ელიახევი, ქორიეთი, ჭილათი, მახათეთი, კუპრეთი, ბინათი, გუდასხევი* (ჩენებ. 178: ქობ.);

ადგილების სახელები გითხრა? ზოგი აღარ მახსოვან, ესენია: *ქედიყანა, ბარისხევი, ლიტრევი, ონოკეთკარი, ვეჟანკეთი, კევეგი, ქუაბაგი* (ჩვენებ. 178: ქობ.);

არის სოფლები: *ბარდოითი, სოროხევი, ნაცარქეთქეთი, შამანთელო, სანეხვე, დაღარული, მოჭიეთი, სამარილო* (ჩვენებ. 176: ქობ.).

ასევე, ეთ სუფიქსით ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელები შავშურში: *ბაზგირეთი, ივეთი, მაჩხატეთი, მიქელეთი, ტბეთი, წეთილეთი, წითვეთი, ოქრობაგეთი, ასალმეთი, გოგოლეთი, ვაკეთი, თაუზეთი, თეთროზეთი, ნადირეთი, ორონიკეთი, პერანეთი, სუანეთი, უკანეთი, ფიქალეთი, ციალეთი, ხილვეთი, ბარდეთი...* (ცეცხლაძე, 2004: 37; 2011:319).

კლარჯული ადგილებია: *ზეგარაგასქური, ბადიმოდული, ხეჭერეთი, პოტოჭური, წყაროთუალი* (ჩვენებ. 307: ბაშ.);

მერე მოდის საფუტკრეთი (ჩვენებ. 337: მინდ.).

გველის ადგილებია: *ბახტიეთი, კვირიკეთი, ქერიეთი, გუგუნავი, მულელეთი, წასანაქირავი, ნასაქათმევი, სატურიეთი* (ჩვენებ. 308: ბაშ.);

დურჩას ადგილებია: *ხაჭიკეთი, თეხჩიეთი, ნაფეტვარი, საქულეთი, კალოგვეთი* (ჩვენებ. 308: ბაშ.);

იქვერი ადგილებიც ვიცი: *კაკიეთი, ჯავნარეთი, ჯღელიეთი, პაპნავეთი, დოლაბეთი, ნასელავი, ნაპურავი* (ჩვენებ. 310: ქლასკ.);

ქლასკურის მაჰალებია: *წიქვავრი, თეთრიეთი, ჯირეკველი, დელიკეთი* (ჩვენებ. 321: ქლასკ.);

აგრეთვე -ეთ სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებია კლარჯულში: *გადამ-ეთი, გოროშეთი, მაწალახეთი, ჯობარეთი, მახულეთი, წეთილეთი, სუქელეთი, ქურციკეთი, წინწკალეთი, ქამელეთი, ფიჩხეთი, იფხრიეთი, შულლიეთი, ქვამჩირეთი, ქვამჩირეთი, კაპარჭეთი, კორიდეთი, ქობეკეთი, კოკოლეთი, ტბეთი,*

ფოროსეთი, გოგლიეთი, ჩხალეთი, საბარეთი, მურჯიკეთი, აბლესენეთი, მუსლეთი, ქითანეთი, მასხეთი, დუდუმეთი, კარავეთი, არავეთი, ჯერეთი.

აჭარულ დიალექტში: *ლაკლაკეთი, ტომაშეთი, ძამლეთი/ზამლეთი, ცინარეთი, ბელლეთი, ტბეთი, ქაშვეთი, კორომხეთი, არაკეთი, ჩიქუნეთი, აკვანეთი, ბაბაქეთი, ბრევეთი, გელიარჩვეთი, გორიეთი, გომშარეთი, გუდალეთი, თეთრიეთი, რიყეთი, კუნჭულეთი, მოფრინეთი, საქავრეთი, მიგურეთი... (ნიჟარაძე, 1969: 209-210).*

-ურ: სამხრული კილოებში -ურ სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები მრავლადაა, რამდენიმე ათეულს აღწევს:

უკანათური კაცია ქართული (ჩვენებ. 171: ჩევრ.);

ადგილის სახელებია: *წყაროტანა, გვიანურ, ბოსტანახევ* (ჩვენებ. 195: ხობ.);

ადგილის სახელებია: *ასკილუანი, ჯავრიეთი, დოღლანური* (ჩვენებ. 266: მან.);

იმა თუთყური ქვია (ჩვენებ. 287: აგ.);

საქართი, საბადურთი, სათიმახო, ლექთური (ჩვენებ. 278: იფხ.);

ადგილებია: *ბასილური, აბაშიეთი* (ჩვენებ. 284: აგ.);

ქლასკურის მაჰალებია: *ხინიკური, გორგავლი, დელიკეთი* (ჩვენებ. 321: ქლასკ.).

ბაშქოის ადგილებია: *ზეგარაგასქური, პოტოჭური, წყაროთუალი* (ჩვენებ. 307: ბაშ.).

ადგილის სახელებია: *მუშაური, ასმაური, ზინეური, სუმური, გალახურა, ბუჯური, ჯანათური, კუფატაური, გალაზაური, ხანაჯაური, სონაური, ზაქური, ბისკინათური, გუგუცური, კამკასური, ჭიკატური, გუნათური, ოსანათური, აჰირონური, ბურღაური, ბურღაურში, ბოღაური, ნანაური, მინაური, ჩაკითური, ნუთეხანური.*

-ურ სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები აჭარულში: *კალოთურაი* (ბათაძეები), *ზებეჭური* (ბათაძეები), *ჯავახეთურაი* (ახალდაბა), *ბელტური* (ახალდაბა), *დოღაბურები* (აგარა), *აფასადგმური* (ადაძეები), *ადაბურები* (მახალაკიძეები), *ბეშური* (მახალაკიძეები), *ნაღებავრი* (<ნეღებაური, მეკვიძეები), *დავლურები* (მეხალაშვილები), *შაინურები* (მეხალაშვილები), *მომწიკიდური* (კარაპეტი), *ნატბოური* (ლაკლაკეთი), *ლომანაური* (ლომანაური), *ლომგულავრი* (<ლომგულაური, ლომანაური), *ათენავრი* (<ათენაური, ზემოხევი),

ოჩხამური (ზემოხევი), იაკობაური (იაკობაური), ახიაური (იაკობაური), ლაბაშური (კალოთა), ბელთური (დღვანი), ბუთური (ვარჯანაული), კიკლაური (ვაშაყმაძეები), საყანური (ვერნები), შაილური (დიდაჭარა), გოგილაური (<გოგილაური, დიდაჭარა), სადაბური (დიაკონიძეები), აფასადგმური (გორგაძეები), კინკლაური (<კინკლაური, გორგაძეები), კობლაური (<კობლაური, გორგაძეები), მესხაური (გორგაძეები), გოგინაური (გოგინაური), შიშნიაური (<შიშნიაური, გოგინაური), საბადური (გელაძეები), გოჩიტური (გორგაძეები), კობახურა (ბოძაური), ბოძაური (ბოძაური), ბოღაური (საციხური), გაბოსტანური (მოფრინეთი), ნატბოური (მოფრინეთი), თომფოშაური (<თომფოშაური, მოფრინეთი), საბადურები (ბეგოშვილები), მოძმახური (ბათაძეები).

სამხრულ კილოების გეოგრაფიულ სახელებში -ურ სუფიქსის გვერდით იხმარება მისი ფონეტიკური ვარიანტი -ულ:

ნარნიკაული, ბარათეულა, დახატულა, კორუჯულა, ძანცული//ზანცული, მურღული, ჭერული (შავშ.), ჭერულა (აჭარ.), ჭერული (კლარჯ.), ჩაკიდული, არნაული, გურიტაული, კორზული<კორძული, ორთული, დაჭერული, პეტრული, კორსული, ჯანსული.

-ურა//ულა:

თაბელურა, თაბიკურა, ჭერულა...

-ა სუფიქსი საკმაოდ გავრცელებულია გეოგრაფიულ სახელებთან, ის დაერთვის მარტივ ფუძეს და დამოუკიდებელი მაწარმოებელია, არის შემთხვევები როდესაც გვხვდება სხვა სუფიქსებთან (-ეთ, ნარ, ოვან) ერთადაც და მეორე მაწარმოებლის ფუნქცია აქვს:

ტიტველაჲ სერი (შავშ. 443); გვალაჲ ჭალა (შავშ. 444; მ); აკვანა სერი (საციხ.) გვერდა ყანა (აგარა) მანგალა ვაკე (დანისპ.), ბოსტანა (ნამონასტ.), ონაგირა (აგარა), ბოკელა (საციხ.), ავაზანა (ნამონასტ.), აგრეთვე: გიდელა, ჩდილაჲ, კიდობანაჲ, ედრანა, კამარა, კამარა, ჭიდილა//ჩიდილა, კარჩხალა, ბაცა, კარსნია, სოლიანა, კორდოლა, ბორჩხა//ფორჩხა, დამპალა, თარლა, არხვა, ომანა, ფათიკაჲ//პატიკაჲ, ჭიმინდრა, ქორნელა//კორნელა, ზიფია//სიპია, ნაჭია, ნაჯვია, ქართულა...

-ა სუფიქსი აგრეთვე დაერთვის თხზულ სახელებსაც:

თხიფება, დიდხევა, გულდიდა, თხილაგვერდა, კინაწილა, ქვაკაცა, თოვლაგვერდა, კალოპირა...

-იან: -იან სუფიქსი დასტურდება ყოლა-ქონების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებში:

ანწლიანი, ნეგოიანი, ბალიანი, ეკლიანი, წიტლიანი, აფლიანი, გოდორიანი, ჭალიანი, ნარიანი, ფხავსიანი, მოცვიანი, ყვეროიანი, ჭკნავიანი, გოხიანი, სოლიანი, კენჭიანი, მორჩვიანი, ზმერხლიანი...

-იან მაწარმოებელი გეოგრაფიულ სახელებში ზოგჯერ კრებითობას მიუთითებს: *ჭკნავიანი (<ჭკნაცნარი), კენჭიანი (<კენჭნარი)...*

-იან მაწარმოებელი აგრეთვე გვხვდება -ებ სუფიქსით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებთანაც:

მოცვიანები, ლეკებიანი, მერცხლიანები...

-ებ: -ებ სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები სამხრულ კილოებში შედარებით მცირეა, თუმცა სხვა სამხრული კილოებისგან განსხვავებით მეტია ზემო აჭარულში.

კლარჯულში პროფ. მამია ფალავა ასახელებს -ებ სუფიქსიან შემდეგ ტოპონიმებს: *კალოები, ახორები, ისკები, ვენახები, ნალიები, სახლები, ახოები, არხები, ვერანა ბალები.*

აჭარულში დადასტურებული: *ახოები, ასკილები, ავაზნები, გიდელები თავრაჯულები, კაკლები, ონაგირები, კორდები, კიდობნები, ვენახები...*

კლარჯეთის ტოპონიმიაზე მსჯელობისას პროფ. მამია ფალავა შენიშნავს, რომ „-ებ სუფიქსი ძირითადად რა ჯგუფის სახელთა სიმრავლეს გამოხატავს, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაერთვის იგი საკუთარ სახელს (გვარს) - გოგიძიები, რაც ახალი მოვლენა უნდა იყოს. გვარის სიმრავლე კლარჯეთის ტოპონიმიაში უპირატესად გამოიხატება -ეთ სუფიქსით (შდრ. გოგი-ეთ-ი)“ (კლარჯეთი, 2016: 621).

გვარებზე -ებ სუფიქსის დართვით გეოგრაფიულ სახელთა წარმოება ჩვეულებრივია აჭარულში: *მეხალაშვილები, ვანაძიები, ქარცივაძიები, ქიძინიძიები,*

მახალაკიძეები, მეკვიძიები, გორგაძეები, ცეცხლაძეები, პაქსაძეები, შავაძიები, მაკარაშვილები, წულუკიძეები, ხუციაშვილები...

პროფ. მამია ფალავას ზემოთ აღნიშნული მოსაზრებას ამყარებს ის, რომ აჭარულში ზოგ ტოპონიმს ერთვის ორმაგი აფიქსი, რომელთაგან მეორე -ებ სუფიქსია (შესაძლოა, შედარებით გვიან გაჩენილი), პირველი კი - ძირითადად -ეთ:

თეთრიეთები, მარიამეთები, ჯიქეთები, გვალათები, ადამურები, ჭერულები, ჩიხურები, თენნარები, ლეკნარები, მაწაქნარები...

სამხრულ კილოთა მასალების მიხედვით დერივატად გამოყენებული პრეფიქსები რაოდენობით ცოტაა, შესაბამისად, არცთუ პროდუქტული.

პრეფიქსი-დერივატი ან ცალკე იხმარება, ან სუფიქსთან ერთად: მ-, მა-, მო-, უ-, სა-, ნა-, მი-, სი-, მე-...

ოდენპრეფიქსული წარმოების სახელთა დიდი წილი სამხრულში გეოგრაფიულ სახელებზე მოდის და ისიც შედარებით მცირეა, ასეა საქართველოს სხვა რეგიონებშიც. ზემოთ აღნიშნულ პრეფიქსთაგან პროდუქტიულია სა- და ნა-პრეფიქსები.

სა-პრეფიქსიანი სახელები: *საწუმში* (აჭარ. ნამონასტრევი), *სათიბი* (აჭარ. ნენია), *სახბოვრია* (აჭარ. აგარა), *საბერწი* (აჭარ. დღვანი), *სასკირი* (აჭარ. ნამონასტრევი), *სახტომი* (კლარჯ. კორიდეთი), *სასვენი* (აჭარ. აგარა), *სასვენი* (კლარჯ. ჯმერკი), *სასვენი* (კლარჯ. ზ.ქლასკური), *საწური* (აჭარ. ჭვანა), *საწყარო* (აჭარ. ვაშლოვანი), *საულლი* (აჭარ. კობალთა), *სატური* (კლარჯ. სინკოთი), *საჭური* (აჭარ. მეხალაშვილები), *სარეკი* (აჭარ. ქიძინიძეები), *საბულლო* (აჭარ. თაგო), *საჩდილი* (აჭარ. ელელიძეები), *საცხვირი* (აჭარ. ჯაბნიძეები). *საჟდომი* (კლარჯ. დურჩა).

პროფ. მ. ფალავა აღნიშნავს, რომ სახტომ-სა და საჟდომ-ში შესაძლებელია ვინმემ სა-ომ პრეფიქს-სუფიქსი გამოყოს, მაგრამ ეს არასწორი იქნება. აღნიშნული აფიქსები (სა- და -ომ) ერთი ფუნქციის მაწარმოებლად ვერ ჩაითვლება, რამდენადაც სა-დანაშნულების აღმნიშვნელი პრეფიქსია, -ომ კი – მიმღობის მაწარმოებელი. აქვე ვიტყვით, რომ საქართველოს სხვა კუთხეებში დასტურდება პარალელური წარმოების შემთხვევებიც: სახტომი-სახტომელი, საფენი - საფენელი, სასვენი - სასვენელი, საჟდომი - საჟდომელი, სატური(ა) - სატურე... პარალელურ ფორმებში

სა-ელ, სა-ე კონფიქსები ერთიანად გაიაზრება და დანიშნულებას აღნიშნავს. (ფალავა, 2015).

ნა-პრეფიქსიანი სახელები: *ნაკაფი* (აჭარ. აგარა), *ნაკაფი* (აჭარ. სტეფანაშვილები), *ნაფლატი* (კლარჯ. კორიდეთი), *ნაფლატი* (კლარჯ. გველი), *ნაფლატი* (კლარჯ. ჩხალეთი), *ნაფლატი* (აჭარ. მეკვიძეები), *ნაფლატი* (აჭარ კვატია), *ნაფლათი* (კლარჯ. დურჩა), *ნახშუმი* (აჭარ. ტაკვიძეები), *ნახშუნი* (აჭარ. ბუთურავლი), *ნაღვარი* (კლარჯ. კორიდეთი), *ნაგაზი* (აჭარ. დარჩიძეები), *ნაჩეხი* (აჭარ. კობალავრი), *ნათიბი* (აჭარ შუბანი), *ნაგუთნი* (აჭარ. შუბანი), *ნაყავრები* (აჭარ. კვატია), *ნაორმანი* (კლარჯ. გოროშეთი), *ნაბარგი* (აჭარ. ქედლები), *ნალევი* (აჭარ. აგარა), *ნახრაკი* (კლარჯ. გველი), *ნათაკრი* (აჭარ. გორგაძეები), *ნახიზნი* (აჭარ. დარჩიძეები), *ნატეხი* (აჭარ. დუაძეები), *ნადოჩხირი* (კლარჯ. ზ. ქლასკური), *ნასაბუზი* (კლარჯ. კარჩხაკა), *ნაფლატი* (აჭარ. საციხური).

შეიძლება დავასკვნათ, რომ გეოგრაფიულ სახელთა პროდუქტიული მაწარმოებელი -*ეთ* სუფიქსია.

პრეფიქსთაგან კი პროდუქტულია *სა-* და *ნა-* პრეფიქსები.

1. 9. ხარისხის სახელთა წარმოება. ქართულში ხარისხის სამი ფორმა არსებობს: **დადებითი** (დიდი), **უფროობითი** (უდიდესი) და **ოდნაობითი** მოდილო. უფროობითსა და ოდნაობით სახელებს თავ-თავისი მაწარმოებელი აქვს; ესენია: *უ-ეს* და *მო-ო* (შანიძე, 1973: 140).

სამხრულ კილოებში **ოდნაობითი ხარისხის** საწარმოებლად *მო-ო* აფიქსის გარდა გვხვდება *წა-ო* აფიქსიც.

მო-ო: ოდნაობითი ხარისხის აღსანიშნავად *მო-ო* აფიქსები დაერთვის ვითარებით ზედსართავ სახელებს:

მოთეთრო მომე, ციცასთვინ მინდა (აჭარ. აგარა);

მოშავო ბაღვია, თუა სხვა აფერი არ უნდა (აჭარ. ღორჯომი);

ხბო მაკლია, მობრეშოა (აჭარ. ვანაძეები);

ლამაზათ ხარ, რაცხა მოყვითლო ფერი გაქ (აჭარ. საციხური);

რაცხა ჰიქმეთი მობეჩოა, მე ვეფერი ვერ მივხდი (აჭარ. ვანაძეები);

მობლავყოა მაგიდან აფერი არ გამუა (აჭარ. აგარა);

ხომ არ გაბეჩდი, ეგ რათ მინდა, ეს ისეგავ მოშტეროა (აჭარ. ნამონასტრევი)...

მო-ო კონფიქსი დაერთვის თურქულ ფუძეს და აწარმოებს ოდნაობითი ხარისხის ზედსართავ სახელებს:

ოტურაი მოსულა **მოსერსემო** (ჩვენებ. 49: ინეგ.);

მოშახო კაცი იყო და ალაჯინებდა (ჩვენებ. 37: ინეგ.);

ბათუმ ჩასულან ერთი **მოსეფილო** და ერთი ფენა კაცი (ჩვენებ. 128: ჰილ.);

ისიც **მოსეფილო** ყოფილა ზავალი (ჩვენებ. 136: სტამბ.)...

წა-ო: ოდნაობითი ხარისხის ფორმათა საწარმოებლად სამხრულ კილოებში თითო-ოროლა შემთხვევაში **წა-ო** კონფიქსიც გვხვდება:

კაიო ამბოფ ჰამა, პაწაი **წაუზდელოც** არი (აჭარ. ნამონასტრევი);

მე თუხი წითელი მინდა, ეგ არ მინდა **წაწითლოა** (აჭარ. საციხური, მდრ. კახური-წაწითლო; მარტ. იმნაიშ. 116);

შენ უმახე ჭკვიანი და ეგ პაწაი **წაიმფროა** (აჭარ. ვანაძეები);

მერავიცი რაფერია, რაფერი და **წაბეჩო, წაზირკლო, წაბუშო** (აჭარ. ვანაძეები)...

უ-ეს: იშვიათად, მაგრამ რამდენიმე ფორმაში გვხვდება **უ-ეს** კონფიქსი: **ურღმესი, უშორესი** (ნოღაიდელი, 1960: 32).

მაშასადამე სამხრულ მეტყველებაში ჩვეულებრივ დასტურდება ოდნაობითი ხარისხის ფორმები **მო-ო** და **წა-ო** აფიქსებით ნაწარმოები, რაც შეეხება უფროობითი ხარისხის ფორმებს, იშვიათია და მას ენაცვლება აღწერითი წარმოება.

1. 10. კნინობით სახელთა წარმოება. კნინობითი ფორმის წარმოება სალიტერატურო ქართულში მაინცდამაინც გავრცელებული არ არის მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მაწარმოებელი გვაქვს: **ა, ივ, ილ, უკ, უნ**. ბევრ მათგანს უფრო გადმონაშთის სახე აქვს, ვიდრე ცოცხალი მაწარმოებლისა (შანიძე, 1973: 120).

სამხრული კილოებში ეს პრინციპი ნაკლებად ვრცელდება, რადგან საკმაოდ მდიდარია კნინობით სახელთა მაწარმოებლებით, ზოგი მათგანი ფართოდაა გავრცელებული, ზოგის ხმარება კი უფრო შეზღუდულია.

-ა: -ა სუფიქსი უმთავრესად ადამიანის საკუთარ სახელებს დაერთვის, იშვიათად საზოგადოსაც, მაგ. **არჩილაფ, უსუფაფ, ხასანაფ** (ნიჟ. ზ. აჭ. 32).

ლეკვა, ლეკვა, ლეკვა, ჰა წევდა აჯაფ არსა აღარ ჩამს (აჭარ. ლორჯომი, შდრ. მთარაჭული- ლეკვა, ძიძ. 86);

ჩემი **ლომა** ხარ, ჩემი **ლომა** (აჭარ. ვანაძეები);

ე ჩვენი **აყლაყულა** ჰა მიდის? (აჭარ. დიდაჭარა, შდრ. გურული- აყლაყულა, ჟღენტი, 1936: 65);

-იკო:

ჩემო **ბიძიკოვ**, თუალებში კოცნით გიკითხავ, რას საფიროფ, რავა ხარ? (ჩვენებ. 86);

დედიკო, მომიცადე ცოტა (აჭარ. აგარა);

ძამიკო, ჩემო **ძამიკო** რაფერ მემენატრე(აჭარ. მეკვიძეები);

ჩემთან მოი ჩემო **ძმაიკო** (აჭარ.ვანაძეები);

შოთიკოს არ შია ნეტად (აჭარ. მეკვიძეები);

ანიკო, **ანიკო** ვუძახე და ხმა აღარ მომცა (აჭარ. ლორჯომი);

ჩემ მაზლ რას ვუძახი და **ტადიკოს** (აჭარ. მეხალაშვილები)...

იკ-ა:

დეიკავე ჩვენი **ვარიკა** (აჭარ. აგარა);

მოდის, მოდის **მარიკა** (აჭარ. საციხური);

ჯერ ვერ ლაპარიკობდა, ახლა ძალიან **ტიკტიკაია** (აჭარ. ვანაძეები)...

-უკ-ა:

ჯარუკა ხარ შენ, პაწაი... (ჩვენებ. 34);

ვინ არის და ჩემი **ქმარუკა** (აჭარ. აგარა);

ამენდა ჩემი **სახლუკა** (აჭარ. ვანაძეები);

გამომიხედე, ჰადარი **ზაზუკა** (აჭარ. ლორჯომი);

ჩვენი ძროხა დარჩა **ბერწუკა** (აჭარ. მეკვიძეები)...

-უნ-ა:

ჭადუნა მინდა როის გამუაცხოფ (აჭარ. ვანაძეები);

დადუნა, ჰა ხარ ამდენი ხანია? (აჭარ. აგ.);

კაკუუ, **კაკუნა** არ გესმიის (აჭარ. მეკვიძეები);

ციცუნა ჰა წახველ, ჰა დეიკარქე? (აჭარ. ლორჯომი);

შენ რა ვითხრა ახლა, კაცი ხარ თუ კაცუნად თუ კაცმაცუნად? (აჭარ. ვანაძეები)...

-ულ-ა:

ძალიან მახელეებს ე ჩვენი დედულად (აჭარ. ლორჯომი);

ცოტა ნელია ნენულად, ნელი (აჭარ. ვანაძეები)...

იკ-ან-ა:

ჩეიცვი ნულარ ხარ ტიტლიკანად (აჭარ. ვანაძეები, შდრ. ქიზიყური-ტიტლიკანა; დიალ. 221);

შიშლიკანად გამოსულა გარეთ (აჭარ. მეკვიძეები);

გვხვდება აგრეთვე ტიტლიყანად და შიშლიყანად ფორმებიც.

იკ-ელ-ა:

მარიკელად მოდის, მიორები არ ჩამან (აჭარ. მეკვიძეები, შდრ. მთარაჭული-მარიკელა, ძიძ. 153);

ზურიკელად ჩემი შვილია (აჭარ. ვანაძეები)...

-უკ-ელ-ა:

მომი ჩემო ძროხუკელავ, მომი (აჭარ. ვანაძეები);

მიყვარს ჩემი ბიჭუკელა, ძალიან მიყვარს (აჭარ. მეხალაშვილები)...

-ურ-ა:

ეგ ძალლი ჭაკურაია (აჭარ. საციხური, შდრ. ფშაური-ჭაკურა, ჭინჭ. ლექსიკ.);

ჭაკურად ძალლი მინდა კაია საქონლისთვინ (აჭარ. ვანაძეები)...

-ატ-ა:

წვიტი ყურები გაქ, ყურჭატად ხარ (აჭარ. ვანაძეები);

ცხვრიები გვყავდა ყურჭატად ჯიში ჰქონდენ (აჭარ. ნამონასტრევი)...

-უტ-ან-ა:

ჭუჭრუტანად აქ გაკეთებელი და იქიდან უჭიტინებს (აჭარ. საციხური, შდრ. წუწრუტანა-ქიზიყურში, დიალ. 221; ჭუჭრუტანა- მთიულური, კაიშ. 205);

-უჭ-ან-ა:

კუჭუჭანაი უყვარს ძალიან (აჭარ. მეკვიძეები, შდრ. კურუჭანა-ქიზიყი, მენტეშ. ქიზიყ.);

კუჭუჭანა, კუჭუჭანა, სავარცხალა, ნარცხინურცხა (აჭარ. ნამონასტრევი)...

-უჭ-ი:

ჰად არი ჩემი ინდიური ტყაპუჭი? (<ტყავუჭი, ტყავისგან დამზადებული ჩასაცმელი). (აჭარ. საციხური, შდრ. ტყაპუჭი- ქიზიყურში, მენტემ. ქიზიყ. ტყაპუჭი- მთიულური, კაიმ. მთიულ. 90);

მომეც ეგ პაწაი კაუჭი (აჭარ. ვანაძეები)...

-უხ-ან-ა:

დაბერდი ბებრუხანაჲ ხარ, რაღა დროი შენი სმარი (აჭარ. ნამონასტრევი);
პარალელურად გვხვდება ბებრუხუნა ფორმაც.

-ახ-ი:

მაგაზე არ დეილაპარიკნება, მეგ არი კაპარწახი (აჭარ. ვანაძეები);

იმფერი ჰიქმეთი ციცაია, რაცხა დაცეცილი კაპარწახი (აჭარ. ნამონასტრევი)...

-ობ-ი:

ე ყანა რამნა გათოხნოს ბითევი გოროხია (აჭარ. აგარა);

ყანა მოხნეს და გოროხი დარჩა გასათოხნელი (აჭარ. საციხური)...

-აჯ-ან-ა:

ჰეფეიჯა ახტაჯანაჲ ციციები არიან (აჭარ. ვანაძეები);

ახტაჯანაჲ ნუ ხარ მოგკლავ (აჭარ. საციხური)...

საინტერესო ფორმაა -ერ-ი დაბოლოების მნიშვნელობა სიტყვაში ხაპერი. ხაპი გოგრის მნიშვნელობით გამოიყენება, მაგრამ -ერი ფორმის დართვის შემდეგ მას ეცვლება მნიშვნელობა.

ნუ მიშლი ნერვებს არ გიგიხეთქო ხაპერი (თავი) (აჭარ. აგარა);

ასე ცარიელი რაფერ გაქ ეგ უტვინო ხაპერი (აჭარ. ვანაძეები).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამხრულ კილოებში კნინობითი სახელების წარმოება საკმაოდ მრავალფეროვანია. ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელი -ა სუფიქსია, რომელიც საკუთარ სახელებსაც დაერთვის და საზოგადოსაც.

1. 11. მცენარეთა კრებულის სახელთა წარმოება. მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელ მაწარმოებლად ქართულში მოიპოვება სუფიქსი -ნარ (რაე-ნარევ ფუძესთან დისიმილ. -ნალ), რომელიც დაერთვის მცენარის ფუძეს და აღნიშნავს

ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე (შანიძე, 1973:144).

სამხრულ კილოებშიც **-ნარ** სუფიქსი გამოიყენება მცენარეთა კრებულის აღსანიშნავად, მაგრამ ზოგჯერ **-ნარ** სუფიქსი ერთვის სხვა სახელებსაც და მიუთითებს ადგილზე, სადაც მრავლად მოიპოვება ფუძით აღნიშნული საგანი; მაგ: **კენჭნარი, ქვავნარი.**

-ნარ:

თხინნარი (ასიმ. თხილნარი) ჭალა დამჩა მოსათიბელი (აჭარ. ნამონასტრევი);

ფიჭნარი (< ფიჭვნარი) სერზე ვიყავ შენ რომ დიმიძახე (აჭარ. საციხური);

წიფნარი ღელეში მოვშქარ შარშან და ჰალა იქ მაქ, არ ამომიტანია (აჭარ. ნამონასტრევი);

თენნარი (<თელნარი, თელა-ერთგვარი მცენარე) მაქ ასაღებელი სამი დღეა (აჭარ. აგარა);

ლეკნარი ტყეში წევდეთ, იქ იმფო ლამაზი გზარი (აჭარ. ლორჯომი, შდრ. ლეჩხუმური-ლეკნარი; ალავიძე, ლეჩხ. 147);

ჩიქვნარი ადგილია ასე წასული ეს ტყე სულ (აჭარ. ვანაძეები, შდრ. იმერული-ჩიქვნარი; ძოწ. ლექს.);

ბაძგნარი (ეკალ-ბარდებიანი ადგილი) ალიგია, ფეხ ვერ შიადგამ მაქა (აჭარ. მეკვიძეები, შდრ. იმერული-ბაძგნარი (იგივე მნიშვნელობით) ქავთ. იმერ. ლექსიკ);

მათოთნარი (ერთგვარი მცენარე-მათოთი) ჭალიდან მუალ (აჭარ. აგარა);

ჯირეკნალი გევვარე, გადაღმა ვარ გადასული (აჭარ. საციხური);

წყალი მითხარ ვერხვნალასი, სხა არცერთი არ მინდა (აჭარ. აგარა);

ზორტნალად გადაღმა ალიგს ჰქვია, ეს სახადი ალიგებია (აჭარ. ნამონასტრევი);

ბარდნალია მეთქი გითხარ და არ დიმიჯერე (აჭარ. საციხური, შდრ. იმერულში-ბარდნალი; ქავთ. იმერ. ლექს.);

-ურ გამოვლენილია **-ნარ**-ის ფუნქციით: **მალლაური** (ჯაჯან. აჭარ.).

მაშასადამე მცენარეთა კრებულის აღსანიშნავად სამხრულში ძირითადად გამოიყენება **-ნარ** (**-ნალ**) სუფიქსი.

სამხრული დიალექტებში მოქმედი სიტყვაწარმოებითი მოდელი არსებით სხვაობას არ გვიჩვენებს: აქ იგივე აფიქსები მოქმედებს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფონეტიკურ სახესხვაობას და უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებს) და ძირითადად იმგვარივე შინაარსის სახელებს აწარმოებს.

სამხრულ დიალექტთა მონაცემების გათვალისწინება ხშირად გვეხმარება უძველესი სიტყვაწარმოებითი ყალიბების გამოვლენაში.

სიტყვაწარმოების მექანიზმის თვალსაზრისით საინტერესოა სხვადასხვა პროცესთა გამოვლენის, აფიქსთა მონაცვლეობის შემთხვევები.

სახელთა წარმოქმნისას საწარმოებელ ფუძეზე ამა თუ იმ სუფიქსის დართვა ხშირად ამოსავალ ფუძეში ცვლილებას იწვევს. იკვეცება ან იკუმშება ფუძისეული ხმოვანი, იკარგება მთელი მარცვალი, ჩნდება ახალი ბგერა, ხოლო ზოგჯერ ცვლილებას განიცდის თვით აფიქსიც, არის შემთხვევები როდესაც ორმაგი წარმოებაც გვაქვს.

თავი II

ქართულ-თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები სამხრულ კილოებში

სამხრულ მეტყველებაში საერთოდ (შავშურში, კლარჯულში, ტაოურში, აჭარულში) არის ქართული და თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომლებშიც წარმოჩნდება ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობა, ეს საკითხი შეისწავლა მ. ბარამიძემ კლარჯული დიალექტისა და ასეთი ლექსიკის სამი ჯგუფი გამოყო:

1. თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა შესაბამისი ძირეულებიც თურქულია ან სხვა ენიდანაა შემოსული თურქულში (თურქიზმები).

2. ქართულ ძირეულთაგან თურქული სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები. თურქულ ძირეულთაგან ქართული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები.

2. 1. სამხრული ლექსიკის გარკვეულ ნაწილს შეადგენს თურქიზმები - თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა შესაბამისი ძირეულებიც თურქულია ან სხვა ენიდანაა შესული თურქულში.

-ლი:

-ლი სუფიქსი დაერთვის თურქულ სიტყვებს და მნიშვნელობით უტოლდება ქართულ -იან სუფიქსს:

გურჯი ქალი მეტი **ყიიმეთლია** (თ. Kıymetli - ძვირფასი, ღირებული) თურქიეში (ჩვენებ. 157: სტამბ.);

ყიმეთლი ხალხი ვართ (ჩვენებ. 153: სტამბ.);

იმფო **ყიმეთლი** გავხდი (ჩვენებ. 51: ინეგ.);

ყუელაი მისი მემლექეთის **ყიმეთლი** აშიას ანახვებდა (ჩვენებ.131: ანკ.);

ამან ი ქვეყანა არ იცის, ამდუნიას ამფერი **ყიამეთლია** (არ. Kıamet- სამყაროს დასასრული; უბედურება, გაჭირვება) (აჭარ. ვანაძეები);

ას წელსა თუე მიკლია, ძალიან **იაშლი** (თ. yaş – ასაკი, ხნოვანება) ვარ (ჩვენებ.159: აჰმ.);

ჩუენი დედეი ძალიან **იაშლია** (ჩვენებ. 37. ინეგ.);

ჩემი **იაშლი** იქნები (კლარჯ. ადაგ.);

თუ **იაშლია**, თუ დედეა, „მოდო“ ვეტყვი (კლარჯ. ისკ.);

ოზდაათი **ყირათლი** (თ. Kıratlı- მოთეთრო ფერის ცხენი) ცხენით გევდა (ჩვენებ.150: ბაზგ.);

ყირათლია, ყირათით საქმობს (ჩვენებ.92: ქონ.);

ჩემი ბაბოიც ძალიან **ყირათლი** იყო, ზედმეტს აფერ გკადრებდა (აჭარ. მეკვიძეები);

იელლი (თ. Yel- ქარი, რევმატული ტკივილი) თხილ გვაქ (ჩვენებ.104: ქონ.);

იელლი-იელლი გვეყო და გვევლით გაზაფხულზე (აჭარ. ვანაძეები);

ბორჯლი (თ. Borçlı- მევაღე) ვართ, ისტარსა მოი, გამიხარდება (ჩვენებ.77: ინეგ.);

ზაათინდელი (წინანდელი, ადრინდელი არ. **ზათი**-zaten//zati-წინათ, მთლიანად, საერთოდ,) ნათქუამია (ჩვენებ. 37: ინეგ);

ნიშანლი (თ. nişan - ნიშანი, კვალი; ნიშნობა, დაწინდვა, ბელგის მიცემა) ვართ (ჩვენებ.132: ბახჩ.);

ერთი **ნიშანლია** ახლა (ჩვენებ.321: ქლას.);

ჩემ **ნიშანლის** ვენაცვალე (ჩვენებ. 57: ინეგ.);

კარქა ხანია **ნიშანლია** ესა (აჭარ. მეკვიძეები);

ჩემი ასიეი რა **ხისიმჯანლია** (თ. Hisim-canli-ნათესაობის მოყვარე) (ჩვენებ.77: ინეგ.);

წამოიდოდა **იარალი** (yaralı-დაჭრილი) დათვი ხეას წააქცევდა (ჩვენებ.100: ქონ.);

მე რომ დევნახე **იარალ-ფარალი** იყო (აჭარ. ვანაძეები);

მისულა **ტავშანლი** (tavşan-კურდღელი) შვერში (ჩვენებ. 60: ინეგ.);

უნდანან **ფარალი** (სპ. para-ფული) ნიშან-დუგუნი იქმენ (ჩვენებ. 321: ქლას.);

ჰურიევ, შენ **ფარალი** ხარ (კლარჯ. კირნ.);

მე რომ დევნახე **იარალ-ფარალი** იყო (აჭარ. ვანაძეები);

საქმე **ბერეჟეთლი** (თ. bereget - ხვავი, ბარაქა) იცის (ჩვენებ. 338: მინდ.);

მემრე იასლული **ბერეჟეთლი** კეთდება (ჩვენებ. 336: აკ.);

ემექლი (თ. emek (ği) - შრომა, მუშაობა) ვარ (ჩვენებ. 336: აკ.);

იალლი (თ. yag - ერბო, ცხიმი) ყველი ეტყვიან, კაიმალიან ყველს (კლარჯ. 585);

ეგ საჭმელი არ მინდა ძალიან **იალლია** (აჭარ. ვანაძეები);

მაგან ძალიან **იალლი** საჭმელი იცის (აჭარ. მეკვიძეები);

მთა **ჩამურლი** (თ. çamur - ტალახი, ტალახიანი) ყოფილა (კლარჯ. ისკები);

შანსლი (თ. şans - ბედი, შესაძლებლობა, შანსი, მოხერხებული) ქალი ხარ (კლარჯ. ერენქ.);

შანსლი კაცი ხარ (კლარჯ. ერენქ.);

მურღული დელე რაფერი **რენქლია** (რენგლია)(თ. Renk- ფერი, შეფერილობა, ფერიანი) ხედავ? (ჩვენებ. 311: გურბ.);

ხუთი **ოდალი** (თ. oda - ოთახი, ოთახიანი) სახლი გქონებია? (კლარჯ. ზ. მარადიდი);

ასი **ოყალი** (თ. okka - ოყა, წონის ერთეული) ქვაბი ყიდევდა იმან გუშინეზე ბათუმ (კლარჯ. მარადიდი);

დელიყანლი (თ. Delikanlı-ახალგაზრდა კაცი) კაცები არიან (კლარჯ. ზ. მარადიდი);

ვინცხა გითხოვს, გოგოვ, **ნამუთლი** ჯანუმე (კლარჯ. ზ. მარადიდი);

ქიმეთლი (kıymetli-ძვირფასი, ღირებული, მნიშვნელოვანი) არიან და თამაშობენ (კლარჯ. ზ. მარადიდი);

რაჰამეთლი (თ. Rahmetli-გარდაცვლილი, იმ ქვეყნად მყოფი, ცხოვებული) მამამთილმა იცოდა (კლარჯ. ზ. მარადიდი);

რეჰმეთლი ჩემი დედამთილი კაი იყო (აჭარ. ვანაძეები);

რეჰმეთლი გახდა ასე მალე, ჯერ რა დროი მაგი რეჰმეთლობაარი (აჭარ. მეკვიძეები);

იქინჯი თუნელი გამეიარეთ? (კლარჯ. ზ. მარადიდი).

ჯი|ჯე|ჯა|ჩა|ჩე ქართული მაწარმოებლების **-ურ//-ულ**, მე-ე აფიქსების შესაბამისია:

-ჯი:

მუსტაფაი ყოფილა ჭედლისანი, **დემირჯი** (თ. demir - რკინა, მჭედელი) (ჩვენებ. 159: აჰმ.);

იმაში ფირინჯინა ჩაყარო, იქნება **სულთაჯი** (ჩვენებ. 180: ჩევრ.);

ორმოზდაათი სენე **ჩაილჯი** ვარი (ჩვენებ. 195: ხობ.);

ჰალჯი (არ. hal- 1.ძალა, ღონე, შეძლება, 2. უსიამოვნება გასაჭირი, მძიმე მდგომარეობაში ყოფნა) კაცი იყო (მეთაფლე//თაფლაძე) (ჩვენებ. 195: ხობ.);

ვიციტ **ბირინჯი** გაფხეკა (ჩვენებ. 195: ხობ.);

უდუუჭრელი **ფურუნჯია** (furuncu- პურის მცხოვბელი) დაჭრილი-ჩირი (ჩვენებ. 206: ხობ.);

პაწაი ფურუნი ქონია **სუმენჯი** დედისა, შიან ოთხი-ექვსი სომინი ძვილაი გამოცხუებოდა (ჩვენებ. 60: ინეგ.);

ამ კაცისთვინ უთქმიან **სუმუნჯი** დედეი (ჩვენებ. 59: ინეგ.);

სურუნჯი (surunj-წინაკა) ბიბერი მოვა (კლარჯ. ზ. მარად.);

ღმერთსა ჩუენ ღიბადეთზე, თქუენ ლოცვა-კითხვაზე **იხტიაჯი** (ihtiaç-გაჭირვება, გასაჭირი, საჭიროება) არ აქ (ჩვენებ.72: ინეგ.);

ლექსავჯი (მელექსე, ლექსის მთქმელი) არიან იმის ბაღვები (ჩვენებ. 83: ინეგ.);

მემრე **იქინჯი** (ıqıncı-მეორე) შესვალვენ და ქირეჯ წუუსმენ (ჩვენებ. 92: თუფ.);

დედედ **ყარაჯი** (karaca-შავი, შავგრემანი) ყაიას იმამი იყო (ჩვენებ. 104: თუფ.);

ჩანჩხალველებიდან ერთი **ორმანჯი** (ormancı-მეტყვევე, ტყის მცველი) ნურიაია (ჩვენებ. 113: ედ.);

მემედაი **ორმანჯი** იყო (ჩვენებ. ბახჩ.);

ნურია **ორმანჯიმ** ეთი სირა ტრაბახობა დეიწყო (ჩვენებ.113: ედ.);

ვნახეთ ერთი **ფალჯი** (falçı-მკითხავი, მარჩიელი), კოფეზე ექყირებოდა (ჩვენებ. 113: ედ.);

იაღჯი (yağcı-მლიქვნელი, ქლესა) ინსანია (ჩვენებ. 28: ინეგ.);

ფურუნჯის (furuncu-პურის მცხოვბელი) უთქვამს სამასი წლის ფარა არიო (ჩვენებ. 29: ინეგ.);

ერთი **შახჯი** (şakacı-ხუმარა, ცელქი) ნენეი იყო (ჩვენებ. 33: ინეგ.);

შახჯი იყო, დაგრეხილი ლაპარაკი იცოდა (ჩვენებ. 37: ინეგ.);

ჩემი დედეი ძალიან **შახჯი** ყოფილა (აჭარ. მეკვიძეები);

უსეინი **ტათლიჯი** (tatlıcı-ტკბილეულის გამკეთებელი) არ არი (ჩვენებ. 40: ინეგ.);

ჰიზმეთჯი (hızmetçi-მსახური, მოსამსახურე დამლაგებელი შდრ. აჭარული **ხიზმეთქარი**) თურქულა, არაბულა ქოლე (შავშ. ჩვენებ. გვ. 129: ჰილ.);

მეზერჯები (mezarçı-მესაფლავე) მეგონაო (ჩვენებ. 122: ხოხ.);

მეზერჯი (fancar-ჭარხალი, მხალეული, ფანჯარჯობა- მხალეულის მკრეფავი) ილლანა დაჰჰაჰო ჯანაშაზე (აჭარ. მეკვიძეები);

ფანჯარჯი (fancar-ჭარხალი, მხალეული, ფანჯარჯობა- მხალეულის მკრეფავი) მეფხალეა, ფხალის მომკრეფელი (ჩვენებ. 339: მინდ.);

ხოჯა ჩემი მეზობელია, **აბანჯი** (თ. yaban - ველური, გარეული; უცხო, უცხოელი) არ არი (კლარჯ. ჯივ.);

კოლვებ უკბენიან, **აბანჯები** ნახენ (კლარჯ. გურბ.);

აბანჯი მემლექეთში გოგო არ მიცე (კლარჯ. ქართ.);

ბაღჯიმ (თ. bache - ბაღი, მებაღე) უთხრა, ჰა მიხვალო (კლარჯ. კირნ.);

კითხა მეგემ დერდები, რომენ და ანდეს გემჯიმ და **ბაღჯიმ** (კლარჯ. კირნ.);

ჰექიაჯი (თ. hikaye - ზღაპარი, მეზღაპრე) ერთი სოფელი არი აქა (კლარჯ. ბუჯ.).

მარიჯები (თ. yari - ნახევარი, მონახევრე, მოიჯარე) მყავან, ისინი საქმობენ (კლარჯ. მარად.);

დემირჩები (თ. demir - რკინა, მჭედელი) სოფელში მყავდენ (კლარჯ. ბაგ.);

ეგ **დემურჯის** საქმეა, მე მაქვერები ჰიდანნა ვიცოდე (აჭარ. მეკვიძეები);

იქინჯი თუნელი გამეიარეთ (კლარჯ. ზ. მარადიდი);

ერთი მელიმი, **ბემინჯი** სინბსე-ერთი მელიმი (კლარჯ. ზ. მარად.).

-ჯი რთულფუძიან სახელებთან:

ქეფინსოიჯი ნუ ხარ, გეიმეტე პაწაი (აჭარ. აგარა);

ქეფინსოიჯია ძალიან მაგიდან აფერი არ იყიდვება (აჭარ. ღორჯომი).

-ჯა// -ჯე:

გურჯიჯა (თ. g rc - ქართველი, ქართულად) გევგონეთ მემლექეთური (ჩვენებ. 33: ინეგ.);

თურქია ადვილად მობრუნდება, **გურჯიჯა** ჩეთინია (კლარჯ. გურბ.);

გურჯიჯა იქნება, ბუჭუნჭველა ოია (ჩვენებ. 28: ინეგ.);

გურჯიჯა წერავს (კლარჯ. ისკ.);

მებადიშებს **გურჯიჯე** ველაპარიკები, **გურჯიჯე** ნუელაპარიკებო (კლარჯ. ხ.);

გურჯიჯე სიმღერა არ ვიცი (კრებ. IX: 209);

სამოცდათხუთმეტი წლისა გახდა, **ეფეიჯა** (efeice-საკმაოდ, ბლომად, საფუძვლიანად, ძალიან) იაშლია (ჩვენებ. 57: ინეგ.);

მაშალლა, **ჰეფეიჯა** გაზდილა (აჭარ. ვანაძეები);

ჰეფეიჯა მოყრილა გვეყოფა (აჭარ. მეკვიძეები);

ჰეფეიჯა მოგიყრია, მალე აამსოფ (აჭარ. ვანაძეები);

ჰეფეიჯა ვიყავ ახლა გეყოფიან (აჭარ. ღორჯომი);

ახლა **ოყათარჯა** (okadarca-ძლივს, ძლივსძლივობით) მარტვობა გახრეტილი (ჩვენებ. 97: თუფ.);

ყოსხოჯა გაზდილხარ, გეითხუები (აჭარ. ვანაძეები);

იქ ყველამფერი დედწავლებენ: **ინგლისჯე** (inglizce-ინგლისური ენა), **ალმანჯა** (almanca-გერმანული ენა), იქ ქართულად არ ვლაპარიკოფ (კლარჯ. ზ. მარადიდი);

-ჩი სუფიქსი გვხვდება -ჯი სუფიქსის პარალელურად, რაც ფონეტიკური პროცესი უნდა იყოს.

ნობეთჩი ვართ ჰაფთაში ერთ დღეს (შავშ. ჩვენებ. გვ. 37: ინეგლო);

იაბანჩი არ არიან ისინი (შავშ. ჩვენებ. გვ. 123: მეზიოთი);

ხულელები **იაბანჩები** არიან მარტო (შავშ. ჩვენებ. გვ. 92: თუფექჩი);

ერთი ამ **ბარაქჩი** ყაზა იქნა და მომიკტა (კლარჯ. ზ. მარადიდი).

ჩა:

მარა ვერც **თურქჩა** ლაპარაკობენ კარქა (შავშ. ჩვენებ. გვ. 33: ინეგლო);

არაბჩა ეხუეწებიან ღმერთსა (შავშ. ჩვენებ. გვ. 42: ინეგლო);

ჩე:

ამან **ლაზჩე** იცოდა და ამან გურჯიჯე დეიწავლა (კლარჯ. ზ. მარადიდი);

ჩემი შვილმა გურჯიჯე იციან, **თურქჩეც** (კლარჯ. ზ. მარადიდი).

-**სუზ** სუფიქსი სამხრულ მეტყველებაში გამოხატავს უქონლობას:

შენთანაი **მერხემეთსუზი** (merhemetsiz-შეუბრალებელი, არაგულმოწყალე, არაკეთილშობილი, დაუნდობელი) ვერც ვაალი გახდება და ვერც ჩობანიო (ჩვენებ. 73: ინეგ.);

ჯაჰილი, **ბილგისუზი** (bilgisiz-უცოდინარი, უვიცი, გაუთვითცნობიერებელი) შვილები არ დატიოთ (ჩვენებ. 75: ინეგ.);

რაჰათსუზი (თ. rahat - მოსვენება, სიმშვიდე, არაჯანმრთელი, სუსტი, უჯანო) ავადევილი ვარ (კლარჯ. ენერქ.);

ბევრში თუ **რაჰათსუზი** გახდება (ჩვენებ. 77: ინეგ.);

არ გავათხვებ, ქრისტიანითუა, **ჯანსუზი** (თ. can - სული, სიცოცხლე, ცხოვრება, არსებობა) თუა, არ მივცემ (კლარჯ. ავანა);

ამა აფერი არ შუუძლია, **ჯანსუზია** (აჰარ. მეკეიძეები);

თუალები უბლენდება **ჯანსუზია** (ჩვენებ. 83: ინეგ.);

ახსუზი (ახსი-ამაყი თავმომწონე, დამოუკიდებელი, თვითნება) არ დარჩეს (ჩვენებ. 91: თუფ.);

ჩემი ბაბოიც **ხუისუზია** (huisuz-ცუდი ზნისა, უხასიათო, მოჩხუბარი) (ჩვენებ. 103: თუფ.);

ძალიან ხუისუზია, მაგაზე არ დეილაპარიკნება (აჭარ. ღორჯომი);

მაგასთან აფერზე არ მიისლება, ძალიან ხუისუზია (აჭარ. ღორჯომი);

ხეირსუზი (heyrısız-ჯანმრთელობა შერყეული დასუსტებული) გელინი ყავდა (ჩვენებ. 141: სტამბ.);

ხეირსუზია, მეგ საქმეს არ გიგიკეთებს, თუგინდა ათასი უცადო მაგას (აჭარ. ღორჯომი);

შენიდან აფეერი არ გამუა, **ხეირსუზი** ხარ **ხეირსუზი** (აჭარ. მეკეძეები);

ლამაზი დეილაპარიკე **ედევსუზი** (არ. Edep-ზრდილობიანობა,თავაზიანობა, edepsız-უზრდელი, არათავაზიანი) ნუ ხარ, რაცხანა გაეგონო ვინცხას ნათქვამი განა?! (აჭარ. ვანაძეები);

ინსანი **ემეგსუზი** (emek-ამაგი, შრომა, emegsız-უამაგო, არაფრისგამკეთებელი) არნა იყო, ვინცხას რაცხაშინა გამუადგე (აჭარ. ვანაძეები);

უწიწარი **ედევსუზი**, **თუხსუზი** ხარ (აჭარ. მეკეძეები);

სხვანაირი **დემსუზია** (აჭარ. მეკეძეები).

-**სუზ** სუფიქსის პარალელურად იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება -**სიზ** სუფიქსი:

სუზ//სიზ:

ხირსიზი ვიცი მარა რა ზორი მქონდა (ჩვენებ. 82: ინეგ.);

ინსანი **ხირსიზი** არნა იყო (აჭარ. მეკეძეები);

ედევსიზია ისა..... (ჩვენებ. 27: ინეგ.);

ედევსიზი ხარ, **ედევსიზი** და ეგ არი (აჭარ. ვანაძეები);

-**ლულ//ლ:**

იმისი შავი მიწა, **მეზელული** ნური გუუხადე (ჩვენებ. 74: ინეგ.);

მოზდო გოგვებ მოწონებიან **გენილული** (ჩვენებ. 79: ინეგ.);

იეშილულებში თუალინა გაახილო (ჩვენებ. 75: ინეგ.);

ლამაზული კაია ჯანუმ (ჩვენებ. 262: მაჩხ);

დიდი **ტამაზლულია** (ჩვენებ. 315: ქართ.);

მუსლიმანული ყოფილა (შავშ. 406: უ.);

გიგიკეთავ **ბაღლული** (კლარჯ. IX: 156);

თეთლული მივცეთ (კრებ. IX: 175);
ნუ გინდა მაქ სალლული (კრებ. IX: 156);
მივატეხე ბაჯული, შენი ბაბოს ოჯალი (კრებ. IX: 158);
იასლული არ მიჭამია (აჭარ. აგარა);
ეს ყიამეთლული ასე იქნება (აჭარ. ვანაძეები);
ბაშლული ჯერ არ ჩამს (აჭარ. მეკვიძეები);
ახლა ორთალული ავსილია (კლარჯ. ზ. მარადიდი);
ერთი იუზული მომიტანენ (კლარჯ. ზ. მარადიდი);
ყეისული მეტი იყო (კლარჯ. ზ. მარადიდი);
ამა დარამაზი იყო, ბოზული იყო ისე იყო (კლარჯ. ზ. მარადიდი).

2. 2. ქართულ ძირეულთაგან თურქული სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები.
სამხრულ მეტყველებაში საერთოდ ცოტაა თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა ძირეული მასალა ქართულია, მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს:

კალა-კალაიჯი (მკალავი): კალაიჯს მიცემს, მოკალავს (კლარჯ. იბრ.);

ნადი-ნადჯი (ნადის, მონაწილე): ნადშიც იტყოდენ, ნადჯები იტყოდენ (კლარჯ. ბაშქოძე);

ძალიან ჭიბონჯი იყო (ჩვენებ. 160: აჰმ.);

ჩემი ტაიად ჭიბონჯი იყო (აჭარ. მეკვიძეები);

წისქვილჯი სირაზე შეიყუანდა ხალხ (ჩვენებ. 46: ინეგ.);

აჯიქლი სიმღერაჯია (ჩვენებ. 85: ინეგ.);

ე რა ზოვლი სიმღერაჯია (აჭარ. ვანაძეები).

მევდა აქორდეონჯი მევდა (ჩვენებ. 228: თეთრ.);

აქორდეონჯი, დუუკარი ერთი ხორომი (ჩვენებ. 289: უ.);

2. 3. ქართული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა შესაბამისი ძირეულები თურქულია.

სამხრულ კილოებში ქართული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა შესაბამისი ძირეულები თურქულია, საკმაოდ გავრცელებული პროცესია და შემდეგნაირად იწარმოება:

-იან: -იან სუფიქსი დაერთვის თურქულ სიტყვებს და ჩვეულებრივად აწარმოებს მქონებლობას:

აბდესიანი იქნები, მეტი კაია (შავშ. 415: სვირ.);

სულ აბდესიანი რომ იყო, აფერი არ მოგივა (აჭარ. ვანაძეები);

თქვენსავევ კარქა მერაყებიანი ინსნები არ მოსულან ქი (შავშ. 406: უ.);

ამ ბოლოხან მერაყიანი გავხდი (აჭარ. ღორჯომი);

ზივიანი ლეჩეგი რა ლამაზათ გიხდება (შავშ. 523: ხობ.);

ჰერსიანი არიან თუქშები (შავშ. 391);

ჰერსიანი ხარ ძალიან, ჰერსიანი (აჭარ. მეკვიძეები);

ამილეთიანი ბაღვი (ჩვენებ. 40: ბურ.);

ჩიჩეგებიანი, მასკლავიანი, თუარესავით განათლებული, ღმერთმა ის იერი მისცეს (ჩვენებ. 76: ბურ.);

საბრიანი'ნა იყო (ჩვენებ. 29: ბურ.);

საბრიანი ქალი ჰყავს, რამეს არ იტყვის (აჭარ. ღორჯომი);

თხილი გვაქ...თხილი ყაბულიანი (კლარჯ. იბრ.);

ფენა ჰერსიანია, ჩემ ღარჭ მიერია (ჩვენებ. 203: ხობლ.);

მაგაზე არ ეიყოლება ძალიან ჰერსიანია (აჭარ. მეკვიძეები);

ინათიანი ხარა? ახლა გუუძელ ამასა (ჩვენებ. 40: ინეგ.);

დანახული მყავს ბეილებიანი იყო (შავშ. ჩვენებ. გვ. 109: თუქფ.);

გახახული ბერეკეთიანია ბალი (ჩვენებ. 109: თუქფ.);

ყიიმიანი ფიდა ვიცით (ჩვენებ. 40: ინეგ.);

რათ ვაქნევ იმის საქმეს, რამაზნიანი ვარ (ჩვენებ. 287; აგ.);

გუშინ მოკდა ჯენნეთიანი (აჭარ. სოფ. ვანაძეები);

მაგან ბევრი ჰალი იცის ძალიან ჰევესიანია (აჭარ. აგარა);

მაგაზე არ ეიყოლება ძალიან ჰერსიანია (აჭარ. მეკვიძეები);

მალე სწავლობს ძალიან იზნიანია (აჭარ. ვანაძეები).

-იან სუფიქსი თურქული სიტყვების რთულფუძიან სახელებთან:

მველათ ისე იყო, ქალი ყველაი ყირმიზფემტამლიანი იარებოდა (აჭარ. საციხური);

არ მეიხვევება ჩემზე, **ახვრიფეშტამლიანი** ვარ (აჭარ. ვანაძეები);
რა ლამაზი **სიხმასირმიანი** ქალია(აჭარ. მეკვიძეები);
ყარაყონდახია მაგას რამეში ვერ გამეიყენე (აჭარ. ვანაძეები);
ინსანი **ყაირათიანი**‘ნა იყო, აბა უყარათო რათ მინდა (აჭარ ღორჯომი);
ყარაყუმიანი ზაათი იმფო გემრიელი იყო (აჭარ. აგარა).
გვაქვს შემთხვევები, როდესაც რთულ სიტყვებში საწყისი ქართულია, ხოლო მომდევნო თურქული:

ყურიყედიტია მაგას ვეფერს გააგონე (აჭარ. ვანაძეები);
ყურიყაფიანივით თავი აქ მაგას (აჭარ. მეკვიძეები);
-ობა: სუფიქსი დაერთვის თურქულ სახელებს და (ისევე როგორც ქართულ ფუძეებზე დართვის დროს) აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს:

ბაღვი გეიზარდა იეთიმობაში (ჩვენებ. 142: სტამბ.);

იასაღობა იყო, გვეშინოდა (ჩვენებ. 145: სტამბ.);

სერბესობას რა ჯობს (ჩვენებ. 195: ხობ.);

ყერიზობით უკითხავან (ჩვენებ. 208: ხობ.);

ასკრობას ვუცდი (ჩვენებ. 228: თეთრ.);

კალოობა, ხარმანობა ქვია ამასა (ჩვენებ. 262: მაჩხატ.);

ამ კაც **იუზბაშობა** მიეცითო (ჩვენებ. 42: ინეგ.);

აჯელობით გამომაგზავნეს ბეგებმაო (ჩვენებ. 42: ინეგ.);

მიეწყინეს სახლში დედაბრის **ოგჯობა** (ჩვენებ. 138: სტამბ.);

ხალხსნა დაანახოს **ევლიობა** (ჩვენებ. 137: სტამბ.);

იმასა ბეწვისისხო სიბაყლე არ მუუტანია **მუხტობაში** (ჩვენებ. 133: ბახჩ.);

ოზდაათი წელიწადი აათავა **ორმანჯობაში** (ჩვენებ. 132: ბახჩ.);

დედაბერსაც ვუთხარი **იბრეთობა** წამკიდაო (ჩვენებ. 48: ინეგ.);

ქალთან შემპება **ფოშიობას** იქს (ჩვენებ. 50: ინეგ.);

ბევრი გოია არ კადრულობს **გურჯობასა** (ჩვენებ. 50: ინეგ.);

ზაათი იმფო **ინსნობა** ქონიან ჩუენ ძუელებსა (ჩვენებ. 51: ინეგ.);

იაიალაჯობას იჯებოდნენ (ჩვენებ. 60: ინეგ.);

ნაჩარობას რომ იქ მაშინ ღმერთ გამულდები (ჩვენებ. 69: ინეგ.);

არვის ყულობა არ ვუზამოთ (ჩვენებ. 72: ინეგ.);
 ყულობა, ინსნობა და ღიბადეთი ღმერთს უზამეთ (ჩვენებ. 72: ინეგ.);
 შენ ვაალობისა რომა დიპლომა მომეცი (ჩვენებ. 73: ინეგ.);
 რა წარეა ყურბეთობა (ჩვენებ. 77: ინეგ.);
 ცოდვა არიო,- შახაჯობა მალმალე (ჩვენებ. 79: ინეგ.);
 იმას უკანია იუნანობა არ არი (ჩვენებ. 97: თუქ.);
 მასობაში ესკრობა გამოვდა (ჩვენებ. 97: თუქ.);
 იუზაშობის პენსიეს აქ დებულობდა (ჩვენებ. 103: თუქ.);
 ოგჯობას მოგცემენ რა კაია?! (ჩვენებ. 105: თუქ.);
 თემბლობა არი ხალხისა (ჩვენებ. 306: ბუჯ.);
 ზაფხულ-ზაფხულ იალაჯობა ვიჯებით (ჩვენებ. 315: ხებ.);
 უწინი ტყოდენ, ჯაზობა არიო (კლარჯ. ქლასკ.);
 თემბლობა არიხალხისა (ჩვენებ. 306: ბუჯ.);
 გენჯობაში ვისამებდით, ახლადავბერდი (კლარჯ. ისკები);
 გენჯობაში ავჯობას ვიქნევდით (ჩვენებ. 306: ბუჯ.);
 რათუნდა საიბობა? (ჩვენებ. 307: ბუჯ.);
 ძალიმომყავს, დუგუნობა მაქ (ჩვენებ. 310: ქლასკ.);
 ხარმანობა რომ მექნება, შენ იმა მეტყვი, რომ არ წეხვიდეო (კლარჯ. კირნ.);
 ზამთარში ხაზირობა იჯებიან (კლარჯ. იბრ.);
 ჰაზირობა დევწყოთ თუამ ველარ მუასწრობთ ამელამ (აჭარ. ღორჯომი);
 ბექრობა - (დაუქორწინებლობა):
 ბექრობაში დილიდან საღამომდე მისამია (კლარჯ. ისკები);
 ახლა რაღათმინდა, გენჯობაში მყოლოდა (აჭარ. ღორჯომი);
 მაგაზე არ დეიჯერება ბევრი ჯაზობა იცის (აჭარ. ვანაძეები);
 იეთიმობაშია გაზდილი საცოდვავი (აჭარ. ვანაძეები);
 ახლა მახანჯობა აღარ არი... (შავშ. 2011: 379);
 მოვდა დოსტობა ვქნათო...(შავშ. 2011: 412);
 ამა არ იცოდა არაფერი, მაშინდელი ემიობა იმტე...(შავშ. 2011: 368);
 ბევრი ეეთიმობა გამოვწიე... (შავშ. 2011: 368);

ძალანჩი დუნია, გავაქციეთ **გენჯობა**... (შავშ. 2011: 373);

ბევრი **ყერიბობა** გამოვწიე, ნენეჯან, ბევრი... (შავშ. 2011: 368);

მუუჟდე და **ქოლობა**, **ხიზმეთქრობა** ვქნა?!... (შავშ. 2011: 374);

ჩვენში **ფუხრობა** მეტია (შავშ. 385: ხევწ.);

მე ძალიან **ფუხრობაში** ვარ გაზდილი (აჭარ. მეკვიძეები);

მაგ სალულმა თუ **ხოჯიობა** იცისავო, დაგიდებ წინ და გალოცვისო შენო...(კრებ. VIII: 34);

კაი **გელინობა** ქნაო... (კრებ. VIII: 181);

შელიგობა იქნებოდა და... (კრებ. VIII: 98);

მაგას **ინსნობა** არ ჰქვია (აჭარ. მინთაძეები);

ინსანი რომ ხარ, **ინსნობა**‘ნა ქნა, საქონელი კი არნა იყო (აჭარ. მეკვიძეები);

მე **ფუხრობაში** ვარ გაზდილი (აჭარ. მეკვიძეები);

ყურბნობა რომ მუა, მაშინ ნუ მოგინდება სმა (აჭარ. მეკვიძეები);

მე გერჩექ გებნევი, შენ **ჰექიაჯობა** დეიწყე (აჭარ. ვანაძეები);

მთებზე ბევრი ნავალი ვარ, **ჩობნობას** ვიჯებოდი (კლარჯ. ისკ.);

იეთიმობა, **ყერიბობა**, **უპატრონობა** ძალიან ჩათინია, ღმერთმა არნა დიგიწეროს (აჭარ. მახალაშვილები);

ძალიან **ჩათინობაში** ვარ დაბერებული (აჭარ. მეკვიძეები).

-ობა სუფიქსი ასევე თურქულ ფუძეებზე დართვის დროს წარმოგვიდგება მრავლობითობის აღსანიშნავად:

ჩემ ბაბოს **ხოჯიობა** (ხოჯიები) არ უყვარდა, დეინახევდა და მეორე თერეფზე წევდოდა, ერიდებოდა (აჭარ. ვანაძეები).

-ობა დაერთვის -ჯი, -ლი სუფიქსიან სახელებს:

სუნნეთჯი-ის, ვინც ასრულებს წინადაცვეთას. **სუნნეთჯობა** (წინადაცვეთა): **სუნნეთჯობას** იჯებოდა (ჩვენებ. 310: ქლას.);

ნიშანლი (დაწინდული, დანიშნული), **ნიშანლობა** - დანიშვნა, დაწინდვა: **ნიშანლობა** იყო, ენწინ დეენიშნავდენ (ჩვენებ. 311: მარად.);

მერაყობა (დარდი): ჩემი **მერაყობა** მე დამჩა (კლარჯ. ჯივანი);

სერსემობა (სისულელე): უწინ კაჲ იყო, მეტი **სერსემობა** იყო (კლარჯ. ჯივანი);

ყაფალობა (დახურვა): უწინიყო **ყაფალობა**, ახლა ყველგან მეიდანია (კლარჯ. გურბინი);

ფირალობა შამოვდა ამ ბოლოხან მოდაში (აჭარ. მეკეიძეები);

-ურ: **-ურ** სუფიქსი ჩვეულებრივად წარმომავლობის სიტყვებს დაერთვის:

ძალიან მიყუარან **მემლექეთური** ჩემი ნათესავები (ჩვენებ. 55: ინეგ.);

იმანა **მემლექეთური** სიმღერები იცოდა (ჩვენებ. 62: ინეგ.);

ბარსამი რამე მითხარ **მემლექეთური** (ჩვენებ. 98: თუფ.);

მე მუაქაშუნე ეს! მუაქაშუნე **გევზური** ლაპარაკია (ჩვენებ. 209: ხობ.);

თქვენ **მუსლიმურაი** ბრძანდებით? (შავშ. 404: უ.);

ინსნური იყავ, ცემა მოგიწევს (აჭარ. აგარა);

ჰიქმეთური თქმა იცის (აჭარ. ვანაძეები);

არ შჭამს **მეკენტურია** (აჭარ. მეხალაშვილები);

მე **გურჯული** დრამი ვიცი (კლარჯ. ბაშქოძე);

გურჯულა იმღერებენ (კლარჯ. ბუჯური);

თქვენი და ჩვენი **გურჯული** არ ებმება (კლარჯ. გურბინი);

დართვიხან იმღერებენ თურქია, **გურჯულ** არ იმღერებენ (კლარჯ. გურბინი);

ცოტა ვიწავლე **გურჯული** (კლარჯ. ავანა);

ნახვარი **გურჯულად** მოტრიალებულია (კლარჯ. ჯივანი);

ჩვენი, აქევრი, **თურქული** ჩაია (კლარჯ. ისკები);

შენ მეემური ხარ, ამდენი რაცხიები იცი (ლარჯ. ზ. მარად.)

-ულ:

აგერ ამ აეთის **გურჯულა**, ქართულა თქმა ასე არი (ჩვენებ. 72: ინეგ.);

სერსემულ საქმეს რომ იზამ, ჭკვიანი ვინნა გითხრას (აჭარ. მეკეიძეები);

-არ: გვხვდება იშვიათად **-არ** მაწარმოებელი სუფიქსიც:

ერთი **ჰუქუმდარი** ყოფილა (ჩვენებ. 26: ინეგ.).

ა:

ეს ძალიან **გევეზაა** მარა არ წეგეკარება (ჩვენებ. 79: ინეგ.);

თეთრი **თორომანაი** ციცაი მყავს (ჩვენებ. 50: ინეგ.);

ჩინგანა ინსნები არიან (ჩვენებ. 51: ინეგ.);

ლერწ მუუსხამს დიდი ქესტანაჲ ხაპი (ჩვენებ. თუქ.);
 დავთესე ხაპი ცალკე, ცალკე-ქესტანაჲ (აჭარ. აგარა);
 ეგ კაცი იყო თუ? ეგ იყო ერთი ჩონგორანაჲ (აჭარ. ღორჯომი);
 თურქული სიტყვები ქართული მაწარმოებლით (შედარებით მცირე მაგრამ
 მაინც) სამხრულში გვაქვს აფიქსური წარმოებისაც:
მო-ო: მო-ო კონფიქსი აწარმოებს თურქულ ზედსართავ სახელებს:
 ოტურაი მოსულა მოსერსემო (ჩვენებ. 49: ინეგ.);
 მოშახო კაცი იყო და აღაჯინებდა (ჩვენებ. 37: ინეგ.);
 ბათუმ ჩასულან ერთი მოსეფილო და ერთი ფენა კაცი (ჩვენებ. 128: ჰილ.);
 ისიც მოსეფილო ყოფილა ზავალი (ჩვენებ. 136: სტამბ.);
უ-ო: უ-ო კონფიქსი აწარმოებს თურქული წარმოშობის უქონლობის სახელებს:
 ეის უჯინსოა ახისხალემიდან ყავს ანაი (ჩვენებ. 85: ინეგ.);
 უჰაზმეთოთ სიცოცხლე რაცხამდონეზე კაია (ჩვენებ. 71: ინეგ.);
 ჰესაბში გავაკეთებთ უყენეჯროთ (ჩვენებ. 58: ინეგ.);
 უყისმეთოთ არ წებვიდე (ჩვენებ. 43: ინეგ.);
 უყათულო შავაგდოთო სხუა მემლექეთში გადავაგზავნოთო (ჩვენებ. 108: თუქ.);
 ჩემი დედამთილი უვახტოთ იყო (ჩვენებ. 99: თუქ.);
 გინდა თაბუთით ჩადე, გინდა ისე, უთაბუთოთ (ჩვენებ. 71: ინეგ.);
 გაღმა გევდოდა-გამოვდოდა უარხათაშოთ (ჩვენებ. 134: ბახჩ.);
 უდუგუნო იქნება ახლანდელი გენჯები? (შავშ. 446:);
 უბისმილო წყალ გადაასხმი, ფერებ მოვლიან (კრებ. IX: 164);
 იყბლიან ქალი მუუკტება, უიყბლიან ცხენი მუუკტება (კრებ. IX: 169);
 ჰესაბიშ გავაკეთებთ, უყენეჯროთ (ჩვენებ. 58: ინეგ.);
 უაბდესო ფებ გარეთ არ გაადგამს (აჭარ. საციხური);
 უფემტამლო ქალ სახჩი ვინ შამუშეგებდა უწინ (აჭარ. ვანამეები);
 უსობო სახლი ბლაცურია (აჭარ. აგარა);
 უთესპო ჰა მოდიოდი აქ (აჭარ. ვანამეები);
 უმოსაფირო ჩვენ ებზედი არ დავრჩებით (აჭარ. ვანამეები).

სა-ო, სა-ე: სა-ო, სა-ე კონფიქსი დაერთვის თურქული წარმოშობის სიტყვებს და მისგან აწარმოებს დანიშნულების სახელებს:

საჯენნეთო გახდება (შავშ. 482);

ავათ გახდა და მოკდა საჯენნეთო (ჩვენებ. 112: ხობ.);

ამა საჯენნეთო ინსნებმა მოკდენიხან სულის სიმწარე ვერნა მიხდენ (ჩვენებ. 74: ინეგ.);

ბაირამ დღე მოკდა, საჯენნეთო გახდა (ჩვენებ. 132: ბახჩ.);

მენაც სამუსაფიროთ ვარ წასული მეთქი (ჩვენებ. 271: მაჩხატ.);

სასამო ყეიდი დუუკარ (ჩვენებ. 289: უ.);

რაცხა სასამო დუუკარ, დადგენ ხალხი (აჭარ. საციხური);

ერთიც სულის მიცემაცდა საჯეჰენემო არი (ჩვენებ. 75: ინეგ.);

საჯეჰენნებოს პირზე ეტყობავო (აჭარ. ღორჯომი);

საფრეჟო მქონდა (ჩვენებ. 106: თუქ.);

სა-ე:

საზიბილე ვიყიდე (აჭარ. მეხალაშვილები);

სახორგე ადგილია, მაქ დაცვა უნდანან საქონელს (აჭარ. ვანაძეები);

საგუგუმეა ესა (ჩვენებ. 204: ხობ.);

საგუგუმე სარძიეშია მაქ არ დააწყო გუგუმეები (აჭარ. ღორჯომი).

სი-ე:

ტყეს დიდი ყიიმეთი აქ, სიზენგინეა (ჩვენებ. 266: მაჩხატ.);

სიფუხრე იყო მაშინა (ჩვენებ. 122: მეზ.);

ცოცხი და წყალი აფაქებს სიზიბილესა (ჩვენებ. 38: ინეგ.);

ბევრი სიფუხრე გავწიევით, მარა ამსოლოდში კარგა ვართ (ჩვენებ. 41: ინეგ.);

სიზაიფე კაია დიდუანათ ლაპარიკი მეც ვიცი (ჩვენებ. 91: თუფ.).

სიგენჯეში გახსნილიყო ჰუდუდი, ვოლაი წევდოდი (ჩვენებ. 99: თუფ.);

ყველანაირი სიგენჯეში გინდა ინსანს, რომ დაბერდები აფერი აღარ გინდა მაშინ (აჭარ. ვანაძეები);

სიგენჯეშიც ინსან ნაჩარი სიტყვა არ მუუხტება (ჩვენებ. 73: ინეგ.);

სილამაზე, სიჩიჩეგე, ცოცხლობა იქ არი, კაცო (ჩვენებ. 41: ინეგ.);

სა-ალ:

საბიძალი აღარ აქ და ახალათ გამუადგი (აქარ. მეკეიბეები).

გვაქეს შემთხვევები როცა **სა-ო** კონფიქსის პარალელურად გვხვდება **სა-ურ**:

სასამურაჲ მუსიკა გუუშვით დედენა ვაცეკვო (აქარ. ვანაძეები).

სამხრულ მეტყველებაში არის ქართული და თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომლებშიც წარმოჩნდება ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობა, ასეთი ლექსიკის სხვადასხვა ჯგუფი გამოიყოფა: ა) თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა შესაბამისი ძირეულებიც თურქულია ან სხვა ენიდანაა შემოსული თურქულში. ბ) ქართულ ძირეულთაგან თურქული სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები. გ) თურქულ ძირეულთაგან თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები.

ქართულ ძირეულთაგან თურქული სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები ნაკლებად გვხვდება, მაგრამ მრავლადაა ქართული აფიქსებით ნაწარმოები თურქული სიტყვები.

თავი III

კომპოზიციები

სამხრული სიტყვაწარმოების ერთი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილი კომპოზიტია. რთული სახელები ჩვეულებრივ მსაზღვრელ-საზღვრულებია, წყობა ხან პოსტპოზიური, ხანაც პრეპოზიციური.

სამხრულ კილოებში კომპოზიტების სხვადასხვა ჯგუფი დასტურდება. გვხვდება გაორკეცებულ ფუძიანი კომპოზიტები, ხშირია სხვადასხვაფუძიანი კომპოზიტი, გვხვდება ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები...

სამხრულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება ვიმსჯელოთ სახელთა წარმოქმნაზე კომპოზიციის გზით. ამ თვალსაზრისით, შეიძლება შევხვდეთ არსებითი სახელისა და არსებითი სახელის; ზედსართავისა + არსებითი სახელის, სახელისა და სახელზმნის შეერთებით ფუძეთა წარმოქმნის შემთხვევებს.

3.1. გაორკეცებულფუძიანი კომპოზიტები: გაორკეცებულია არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი და ასევე ნაზმნარი სახელები:

გაორკეცებულია არსებითი სახელი:

ასე წამოი ჭალა-ჭალა შევვაროთ (აჭარ. აგარა);

ზაფხულ-ზაფხულ იაიალაჯობა ვიჯებით (ჩვენებ. 315: ხებ.);

მეც ზაფხულ-ზაფხულ ვიარები აქ (ჩვენებ. 366: ქუაბით.);

სოფელ-სოფელ იარებოდა მეგემ (ჩვენებ. 25: ბურ.);

ღორ-ღორი ბაღვები არიან მემედასი (აჭარ. ვანაძეები);

გაორკეცებულია ზედსართავი სახელები:

ერიშტეც სილიორსავენ ხას-ხასინა დაჭრა, წმინდა-წმინდა (ჩვენებ. 306: ქ. ქურა);
წმინდა-წმინდა ინჰყევი აქ ძალიან (აჭარ. ღორჯომი);
წრილ-წრილი ჭუჭულეები მყავს ჯერ (აჭარ. მეკეიძეები);
ბევრი ქოქი აქუან, ჭკვიან-ჭკვიანიც არიან (ჩვენებ. 61: ბურ.);
პაწაი-პაწაი ვიცოდი ადრე ახლა იმგო გავტეხე ენა (ჩვენებ. 360: ქუაბით.);
საჭმელები ნაირ-ნაირი გვაქ, შენ რა გინდა ეგ მითხარ (აჭარ. მეხალაშვილები);
ნაირ-ნაირი ლობიაი მაქ დათესილი (აჭარ. ღორჯომი);
მეითხოვენ სუფრაზე აირი-აირი საჭმელებ (ჩვენებ. 335: აკრ.);
გაორკეცებულია რიცხვითი სახელი:
ხუთ-ხუთი სული გყვავს (აჭარ. მეხალაშვილები);
სამ-სამი რეისიც ევტანოთ და აღარ უნდა (აჭარ. აგარა);
ბევრ-ბევრი უნდა ყველამფერი სოი (აჭარ. ღორჯომი);
ვოთხ-ვოთხი (ბურსა), თორმეტ-თორმეტი (ბურსა).
გაორკეცებულია ნაცვალსახელი:
ამითვინ გვინდოდა კერძობა ჩვენ-ჩვენათ ყოფნაო(შავშ. ჩვენებ. გვ. 45: ბურსა);
შენ-შენათ იყავ, ჩვენ-ჩვენათ ვიქნებით და მორჩება ყველამფერი (აჭარ.
ვანაძეები);
გაორკეცებულია ნაზმნარი სახელები:
ცურვი-ცურვით ჩევდეთ ამერიკაშიო (შავშ. ჩვენებ. გვ. 32: ბურსა);
ორი წელიწადი სვენებ-სვენებით უვლიან (შავშ. ჩვენებ. გვ. 32 ბურსა);
გორვა-გორვაში მოკდა რომ შეიტყო სიკდილის ამბავი (აჭარ. ვანაძეები);
წყევლა-წყევლით მუარდა და იბრეთები მალირსა (აჭარ. მეკეიძეები);
ჟდომა- ჟდომაში იარიები გუუჩდა (აჭარ. მეკეიძეები);
ბანცალ-ბანცალ გამეიარა (აჭარ. მეკეიძეები);
ჭამა-ჭამაში გავსკდით (აჭარ. აგარა);
თელი დღეა ლაპარიკ-ლაპარიკში დეიხოცნენ (აჭარ. აგარა);
გაორკეცებულფუძიანი კომპოზიტები თურქული ფუძეებით:
ყერი-ყერში მოკდა, აღარ ვიცი (შავშ. ჩვენებ. გვ. 248: ბაზგირეთი);

ჭახე ვაშლინა დაჭრა დილიმ-დილიმ, დააყარონა მოხარშული ლობიო (კლარჯ. ჩვენებ. გვ. 305: ქვემო ქურა);

ერიშტეც სილიორსავენ ხას-ხასინა დაჭრა, წმინდა-წმინდა (კლარჯ. ჩვენებ. გვ. 306: ქვემო ქურა);

ძუელი გვარები ჰემენ-ჰემენ დეივიწყეს (კლარჯ. ჩვენებ. გვ. 336: აკრია);

ბეთ-ბეთ პარკებ მოხარშევდენ (კლარჯ. ჩვენებ. გვ. 341: ჰაირიე);

ფაშალია ჩეშიტ-ჩეშიტი არი (კლარჯ. ჩვენებ. გვ. 344: ჰაირიე);

ქლიავიც ჩეშიტ-ჩეშიტია (შავშ. ჩვენებ. გვ. 22: ბურსა);

თულლი-თულლი რამიები მუუტანეს (აჰარ. მეხალაშვილები);

დავიმოწმებთ კომპოზიტებს კონტექსტის გარაშე: ყირმიზ-ყირმიზ (ბურსა), ჩეშიტ-ჩეშიტი (ბურსა), ჰამან-ჰამან (ბურსა), ეწი-ეწი (მაჩხატეთი), ჯუმა-ჯუმა (სტამბოლი), ხამდან-ხამდან (ქობაგი), უგმან-უგმან (ქობაგი), საღამ-საღამ (ბურსა), ცოცხალ- ცოცხალ (ბურსა), კრიახ-კრიახ (ბურსა), ქენარ-ქენარ მოთიფ-მოთიფნა (ბურსა), ასე-ასე (ბურსა), ლამაზ-ლამაზ (ბურსა), ჭრელ-ჭრელი (აჰმედიე), ჭყიპინ-ჭყიპინ (ბურსა), მაღალ-მაღალი (ბურსა), მალ-მალ (მანატბა), ნელ-ნელ (ხობლევი), მალე-მალე (ხობლევი), უკან-უკან (ხობლევი), ბლორინ- ბლორინით (ბურსა), თეთრ-თეთრი (ბურსა), ჯანლი-ჯანლი (ბურსა), ღელე-ღელე (სტამბოლი), ახლა-ახლა (ბურსა), წმინდა- წმინდა (ქობაგი), თხელ-თხელ (ბაზგირეთი), წურილ-წურილ (შოლტიხევი), ზუელ-ზუელი (შოლტიხევი), უსულ-უსულ (ხობლევი), რუ-რუ (ხობლევი), კონწოლ-კონწოლ (ხობლევი), ათ-ათი (ხობლევი), ჩეშით-ჩეშითი (წეთილეთი).

გორვა-გორვაში (მეკეიძეები), ლოცვა-ლოცვით (ვანაძეები), წყევლა-წყევლით (ვანაძეები), ტუნკლი-ტუნკლი (აგარა), ბარბაც-ბარბაც (მეკეიძეები), ჟდომა-ჯდომით (ვანაძეები), სირა-სირა (ვანაძეები), ნაირ-ნაირი (ღორჯომი), წმინდა-წმინდა (ღორჯომი), დიდვან-დიდვანი (ღორჯომი), რუ-რუ (აგარა), ღელე-ღელე (აგარა), კოჭალ-კოჭალ (აგარა), წრილ-წრილი (ღორჯომი), ჭყიპინ-ჭყიპინით (ღორჯომი), მალე-მალე (ღორჯომი).

3.2. ასონანსური კომპოზიტები: ა. შანიძემ ასონანსი უწოდა სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, ასევე ზეპირ მეტყველებაში გავრცელებულ მოვლენას -

სიტყვის განმეორებას წინა თანხმოვნის შეცვლით (საჭმელი-მაჭმელი, ღელე-მელე, ხათრი-მათრი...) და მიუთითა, რომ იგი უნდა განვასხვავოთ ბგერათა გაორკეცებისაგან.

ასონანსი მიჩნეულია მხატვრული გამოსახვის ისეთ საშუალებად, რომელიც ახლოს დგას ალიტერაციასთან.

ბ. ჯორბენაძე სიტყვის განმეორებას წინა თანხმოვნის შეცვლით გადაბგერებას უწოდებს და თავის წიგნში „ქართული დიალექტოლოგია“ ასახელებს ფუმეგაორკეცებულ კომპოზიტებში 105 თანხმოვნისა და ხმოვნის გადაბგერების რამდენიმე მაგალითს: დათვი-მათვი, სისხლი-მისხლი... ბაღან-ბუღანა (იმერხ.). გადაბგერება საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა სპარსულსა და თურქულ ენებში, არაბულშიც. მაგალითად, თურქულში არის: Kitapmitap (Kitap = წიგნი), Kalem-malem (Kalem = კალამი), Araba-maraba (Araba = მანქანა), Salata-malata (Salata = სალათა), Ev-mev (Ev = სახლი)... იმერხეველთა მეტყველებაში ასონანსის არსებობას ნ. მარი თურქულის გავლენით ხსნიდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გადაბგერება დამახასიათებელია საკუთრივ ქართული სალიტერატურო ენის, დიალექტებისა და ზეპირი მეტყველებისთვისაც. ამ მოვლენის შედეგად მიღებულ სიტყვაში პირველი სიტყვის საწყის ბგერას შეიძლება ჩაენაცვლოს მ/ზ ბგერები: ბ: ალია-ბალია, იწილო-ბიწილო, თათული-ბათული... მ: ევკალიპტი-მევკალიპტი, ხაჭაპური-მაჭაპური... გადაბგერების გავრცელების არეალი საკმოდ მრავალფეროვანია. იგი უხვადაა ქართულ ფოლკლორში: ა) შელოცვების ენაში: „აღისასა, მალისასა, მე გილოცავ თვალისასა...“ „აშინა, მაშინა, გულო, რამ შეგაშინა...“ ბ) ლექსებში: „ალათასა-მალათასა, ხელი ჩაკარ კალათასა, ამეილე ვორი კვერცხი, ღმერთი მოქცემს ბარაქასა“... გ) ზღაპრებში: „ალიართალი-ბალიართალი, ზოგი ტყვილია, ზოგი – მართალი“...

განსაკუთრებით გავრცელებულია გადაბგერება სამხრულ კილოებში. ფართოდ არის გავრცელებული ისეთი ასონანსური კომპოზიტები, რომელთა მეორე კომპონენტში შეცვლილია პირველი ნაწილის პირველი მარცვლის პირველი თანხმოვანი:

ბელელში შეინახევდენ ჩირ-მირ (შავშ. ბურსა); ჩირი-მირი არ ვიცი (აჭარ. აგარა); ახლოს ჭალაში-მალაში იბუება (შავშ. ბურსა); ჭალაში-მალაში ვერ წავალ (აჭარ. ნამონასტრევი); კაცი-მაცი არ იცოდა გერახუნებოდა ყველგან ყუელამფერ (შავშ.

ბურსა); **კაცი-მაცი** ვინცხაინა იცოდე განა (აჭარ. ვანაძეები); **გადაღმა-გადმოღმა** კორდებია, ცივი წყლები (შავშ. ბურსა); გარეთაი **ყინი-მინი** სულ გუმში იყო (შავშ. ბურსა); **დიდ-მიდ** არ დუუჯერებენ (შავშ. ბურსა); **დიდი-მიდი** არ მაინტერესებს მე ჩემი ვიცი (აჭარ. ღორჯომი); ფიცრებზე რომ **წყალი-მალი** მეესხმება გაბაყლიანდება (შავშ. ბურსა); **წყალი-მალი** ნუ მოგინდა ახლა მეგ დრო აღარ არი (აჭარ. საციხური); აქავრმაც გედეიქცნენ **ჯული- მული** აღარ იციან (შავშ. ბურსა); მაგ ლამაზი **ლაჩაქი- მაჩაქი** ვინ მოგიტანაო (შავშ. ბურსა); სახლი უკან **ერო-მერო** (შავშ. სტამბოლი); იმათ **გელი-მელი** ვერ მეეწევა (შავშ. ქობაგი); **სელამი-მელამი** არ მინდა (შავშ. ხევწრული); **ჰახი-მახი** არ ვიცი (შავშ. ხობლევი); ასე **ფათათა-ფუთათას** ნუ გვეყურები ჯიგრიანი ვართ (შავშ. ხობლევი); **ცემა-მემა** იოხტურ (შავშ. ხობლევი); **შექერ-მექერ** მაწონ გუურევთ (შავშ. ხობლევი); **შალ-მალ** არ ქსოვენ (შავშ. ხობლევი).

დელე-მელე აქ არაა (კლარჯ. ერენქოძე); **ძილ-მილ** მუუთლიდენ (კლარჯ. ჯივანი); **ხარები-მარები** ყავან (კლარჯ. ბუჯური); **თოფი-მოფი** აყრიან (კლარჯ. მარადიდი); **ტან-მანი** ბანებენ (კლარჯ. იბრიქი); **ხახვი-მახვი**, თელი ვურთავ იმტე (კლარჯ. იბრიქი); ბურსას **ქალები-მალები** იარებიან (კლარჯ. ქართლა); **სიმღერა- მიმღერა** არ მიმღერია (კლარჯ. ქართლა); ღორმა **სიმინდი-მიმინდი** გაათავებდა (კლარჯ. ჰამიდიე); **ნეხვი-მეხვი** წასმია (იქვე); ეს **ხე-მე**, კარი-დოლაბი... (იქვე); ასე **ფერხული-მერხული** იქნება (იქვე); არგებენ (-რგავენ) ახლა **ვარდი-მარდი**, ძველად არ იყო (კლარჯ. სირეთიე); აქ მაშინ **სახლი-მახლი** არ ყოფილა (კლარჯ. ნუსრეთიე); **ბათუმი-მათუმი**, **არხვანი-მარხვანი** თელი მუუვლიან (კლარჯ. ერენქოძე); **საჭმელი- მაჭმელი** მოთავდებოდა (კლარჯ. მარადიდი); ახლა **შაკიკი-მაკიკი** არ იციან (კლარჯ. ერენქოძე); დომუზებმა **თხილი-მილი** ჭამდენ (კლარჯ. მარადიდი); ნენედ იკითხევდა-და: ჭიაო, ჭიაო, **ჭახევ-მახევ**... (კლარჯ. ადაგული); **კაცი მოკდება, პენსია-მენსია** ქალ დარჩება (კლარჯ. დევსქელი)...

შეცვლილია პირველი კომპონენტის დასაწყისი ორი თანხმომავანი ერთით:

ქვაბიკარი-მაბიკარი (კლარჯ. ისკები); **ქვედაი-მედაი** არ უნდა ყველაი საქნელია (აჭარ. ვანაძეები);

ასონანსური კომპოზიტის ნაწილები თურქულია:

წევდეთ, **თორბა-მორბა** მოვტანოთ (კლარჯ. ბასქოდ); **თორბა**, თ. torba — ტომარა, პარკი.

ჩორბა-მორბას გვაჭმევენ სხვა რანა გაჭამონ (აჭარ. აგარა);

ყაბი-მაბი აღარ უნდა ერთისოი გეყოფა (აჭარ. მეკეიძეები);

უწინდელ დროს **ყაბი-მაბი** არ იყო (ქართლა); **ყაბი**, თ. kab — ჭურჭელი.

ტაიები-მაიები ყოფილან გურჯისტანში (გურბინი). **ტაი**, თ. dayi — ბიძა, დედისძმა.

ადრე იყო **ტაიები-მაიები, ემიები-მემიები**, ყველაინა მეგეყვანა, ბლაცური იყო ზოვლი (აჭარ. ვანაძეები);

მემრესავაშ, **ხარბი-მარბი**, აქავრობა გუყვიან (ბაშქოდ). **ხარბი**, თ. harbi — ომი.

ამისი **ხოჯა-მოჯა** შეგჭამს ზათი, ერთი წაი და მეიყვაი ვინცხაია (აჭარ. მეხალაშვილები);

ხოჯამა-მოჯამა ყურანს უკითხავს (იბრიქი). **ხოჯა**, თ. hoca — მასწავლებელი, მოძღვარი.

შეცვლილია პირველი მარცვლის ხმოვანი:

მაფია-მუფია რაცხა ბევრი ყოფილა (დევსქელი);

ყლანწი-ყლუნწი იარება, პირი ძირ არ დუყვიან (აჭარ. მეკეიძეები);

კაცები არ სძიან, ზოგი - **ყლაპ-ყლუპ** (გურბინი);

ბლანძლი-ბლუნძლი მოდის სწორეთ ვერ გეიარს (აჭარ. საციხური);

ართვინიდან გამოსულან **ლარჭი-ლურჭები** (ალოვა);

ლარჭი-ლურჭა დეახუჭეს, ისეწამოსულან (ალოვა);

თექ-თუქი სახლი დარჩება (ერენქოდ). **თექი**, ერთი, კენტი, აქ: თითო-ოროლა.

პირველ მარცვალს ემატება თავკიდური თანხმოვანი:

ეშია-მეშია, ჩასაცმელი, გუმიში, ფარა მოკრიფა წეილო.(შავშ. ბაზგირეთი);

ეზიეთით-მეზიეთით ჩამოსულან (ალოვა). ერთი **აღმა-დაღმა**, ყვითელი წყალი წამოდინდება (შავშ. ბურსა).

ასეთ კომპოზიტებში ჩვეულებრივ, როგორც წესი, ორკეცდება სახელები. ასევე იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება ზმნის გაორკეცება:

ემიჯების ქალის გოგო გააქციეს (მოიტაცეს), ჰამა ჰუქუმეთმა (მთავრობამ) აართვეს-მართვეს (კლარჯ. ისკები)...

ასონანსური კომპოზიტები შეისწავლა რ. სალინაძემ. მისი აზრით, „მსგავს ფორმათა არსებობა ქართულში გვავარაუდებინებს საერთოენობრივი კანონზომიერების შედეგად გაჩენილ მოვლენას სხვადასხვა სისტემის ენებში, თუმცა ისიც საფიქრებელია, რომ კლარჯეთელ ქართველთა მეტყველებაში ეს მოვლენა კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა თურქული ენის გავლენით (შდრ. ნ. მარის მოსაზრება)“ (სალინაძე, 2018: 104).

3.3. ნაირფუძიანი კომპოზიტები. ნაირფუძიანი კომპოზიტების კომპონენტებად სხვადასხვა ფუძეა. ბევრია არსებითი სახელებით შედგენილი ორცნებიანი კომპოზიტი. თანხმოვანფუძიანი პირველი კომპონენტი უმეტესად ფუძის სახითაა:

*ნალ-მუხი მაქ (ქლასკური); მოქმელი განმარტავს: ნალი და მუხი (ღურსმანი).
ნალ-მუხი მუაჭრევიე (აჭარ. საციხური).*

კარ-მიდამო იქნება, კალოიქნება (ხება);

ზამთარ-ზაფხულ აქ ვერ ვიქნები (აჭარ. ვანაძეები);

ზამთარ-ზაფხულ აქ ვარ (ისკები); [მ]თა-ბარი იმათიდან დაწავლილი გვექონდა (ისკები);

თა-ბარში გაწყვეტილი ვარ სიარულში (აჭარ. მეკვიძეები).

გვხვდება სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა შეერთებით მიღებული კომპოზიტები:

რიცხვითი სახელი და არსებითი:

ექსპირ ეს'ნა ჩეკითხო (კლარჯ. ჯივანი).

არსებითი და ზმნიზედა:

თავდაღმა მივლოდა (კლარჯ. ისკები); თავდაღმა'ნა დააყუდო და მიხდება გემოს (აჭარ. ვანაძეები); თავდაღმა'და გეარო (კლარჯ. ისკები)...

კომპოზიტთა სხვა სახეებთან შედარებით ბევრია მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები:

აქვერობაში არი, გოგოშვილია (კლარჯ. იბრიქი); ქლიავებიარი, წყალქლიავა (კლარჯ. ბუჯური); ჩვენ დიდნენებმა გაზარდიხან გურჯული არ გველაპარიკებოდა (ისკები); ძროხას პირნათელას, ბუკნათელას ვეტყვით (კლარჯ. ადაგული)...

მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები უმეტესად გეოგრაფიული სახელებია. გვხვდება როგორც ატრიბუტული, ისე გენეტიური მსაზღვრელის შემცველი ტოპონიმები (ბარამიძე, 2014: 37-38). ატრიბუტულ მსაზღვრელიანებში არის როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული რიგისა:

წითელმიწა (კლარჯ. ხება); წითელმიწა (აჭ. საციხური); გვალჭალა (აჭ. აგარა); ვაკეყანა, ქვადედოფალა (კლარჯ. ქლასკური); ვაკეყანა (აჭ. აგარა) ქვადიდი (ისკები). მთქმელი განმარტავს: „დიდიქვაყოფილა, სახელიდუურქმიან“; დიდყანა, დიდალაზანი, ორალაზანი (კლარჯ. ქართლა), შავყვერი//შაყვერი, წყალოქრო>წალოქრი: „ლამაზი წყალი მოვა იმ ღერში და იმიტომ“ (მარადიდი), დიდელე, გბელყანა (კლარჯ. ბორჩხა)...

პირველი კომპონენტი არის გენეტიური მსაზღვრელი, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული -ს, მეორე კომპონენტი ჩვეულებრივ არის თავი, ძირი, პირი, კარი, ჭალა, ქერდი...

ბოსტნებითავი (კლარჯ. ქართლა); გვერდათავი (აჭ. აგარა); საგობრითავი (აჭ. აგარა); წყაროთავი (აჭ. ბოკალთა); ახოთავი (აჭ. კორტოხი); დაფენილიხიდითავი (აჭ. იაკობაური); ჭელითავი, ხიდითავი (კლარჯ. ბორჩხა), ქვაბითავი (ავანა, ისკები), რუსთავი (აჭ. აგარა); ჩანჩხითავი (კლარჯ. ქლასკური), კატრიძირი, კილდიძირი, ბლიძირი (ქართლა), აბდულუმოსძირი (აჭ. კალოთა); დიდალმართიძირი (აჭ. კალოთა); ქედიძირი (კლარჯ. იბრიქი), რკოძირი (კლარჯ. ქლასკური), საქონდრიაკილდიძირი (აჭ. ვანაძეები); კილდიძირი (აჭ. საციხური); კომბალაძირი (აჭ. თავო); ცაცხვიძირი (ადაგული), მღრიკარი (ჯივანი), ჩახრიკარი (<ჩარხიკარი) (თხილაზორი) ლომიკეთი<ლომიქედი (ისკები), ხარაბაქედი (აჭ. ადაძეები); საქორიქედი (აჭ. ვანაძეები); ლელიპირი (ავანა), პატარაჭალა (აჭ. ბოკალთა); ფირყეთის ჭალა (აჭ. ბოკალთა); თელებიჭალა (აჭ. კალოთა); გაღმაჭალა (აჭ. კორტოხი); სერიჭალა (აჭ. აგარა); დათვიჭალა (კლარჯ. დევსქელი), კატრისერი (კლარჯ. ქართლა);

მეორე კომპონენტად გვხვდება ფეხი:

ჯორიფები (კლარჯ. ქლასკური). ჯორიფები სათიბია ზემოაჭარაშიც (სიხარულიძე, 1958: 129).

ზოგიერთი კომპოზიტიური გეოგრაფიული სახელის ერთ-ერთი ნაწილი თავის მხრივ წარმოქმნილი სახელია:

კოკოლეთხევი (კლარჯ. ბუჯური), საქორიქედი (აჭარ. გელაურა), საქორიქედი (კლარჯ. ბორჩხა), უღელტეხილაჲ, ყანაველა (კლარჯ. მარადიდი), უღელტეხილი (აჭ. აგარა); ზღვანთხევი (კლარჯ. ქართლა)...

სამხრულ კილოებში კომპოზიტების სხვადასხვა ჯგუფი დასტურდება. გვხვდება გაორკეცებულ ფუძიანი კომპოზიტები, ხშირია სხვადასხვაფუძიანი კომპოზიტი, გვხვდება ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები...

სამხრულ მასალაზე დაყრდნობით საინტერესო მასალა გვაქვს სახელთა წარმოქმნაზე კომპოზიციის გზით. ამ თვალსაზრისით, შეიძლება შევხვდეთ არსებითი სახელისა და არსებითი სახელის; ზედსართავისა + არსებითი სახელის, სახელისა და სახელზმნის შეერთებით ფუძეთა წარმოქმნის შემთხვევებს.

გვხვდება სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა შეერთებით მიღებული კომპოზიტები, რიცხვითი სახელი და არსებითი, არსებითი და ზმნიზედა, დასტურდება ზმნური ფორმებით შედგენილი კომპოზიტებიც. კომპოზიტთა სხვა სახეებთან შედარებით ბევრია მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები.

მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები უმეტესად გეოგრაფიული სახელებია. გვხვდება როგორც ატრიბუტული, ისე გენეტიური მსაზღვრელის შემცველი კომპოზიტები. ატრიბუტულ მსაზღვრელიანებში არის როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული რიგისა.

თავი IV

სახელზმნის წარმოება

სახელზმნა განეკუთვნება უპირო ზმნებს ანუ უულლებელს. სახელზმნა სახელის ნიშნებსაც ატარებს და ზმნისასაც, მისი ადგილი მაინც უფრო ზმნათა სისტემაშია, ვიდრე სახელისაში, იმიტომ რომ ზმნასთან მას აერთიანებს ლექსიკური შინაარსი, წარმოება და გამოყენება მეამე სერიის ფორმათათვის (შანიძე, 1973: 557).

სახელზმნა ორგვარია საწყისი და მიმღეობა: საწყისი ჰქვია ზმნის უულლებელ ფორმას, რომელიც ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია ულლების კატეგორიათაგან განყენებულად, ის ბრუნვიანი სიტყვაა, მაგრამ მრავლობითის ფორმებს ვერ აწარმოებს, ხოლო მიმღეობა ჰქვია ზმნის უულლებელ ფორმას, რომელიც იბრუნვის და წინადადებაში უმეტესად ისეა გამოყენებული, როგორც ზედსართავი (შანიძე, 1973: 558-567).

სამხრულ კილოებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხი სახელზმნაა, რომელიც გამოირჩევა სხვადასხვა თავისებურებებით.

სამხრულ კილოებში საყურადღებოა საწყისისა და მიმღეობის ფორმათა წარმოების თავისებურებები.

4.1. საწყისის წარმოება.

ერთთემიან და ფუძედრეკად ზმნათა საწყისებში პირიან ზმნათაგან გადმოყოლილია ვ (დრიკვა, გლიჯვა, ფლითვა, წერვა...). გავრცელებულია შემდეგი ტიპის ფორმები: თევზაობა, გორაობა, ცურაობა ... პარალელურად გვაქვს: ბურთავი, გორავი, ჭიდავი, თევზავი...

მ. ბარამიძემ დაადასტურა კლარჯულში ლაპარიკავს ზმნის შესატყვისი საწყისი ლაპარიკვა: თქვენსავით ლაპარიკვა არ ვიცით; აგნებენ მარა ლაპარიკვა

არ იციან; ჩვენებურვი ლაპარაკვა ვერ ვაგნეფ; თქვენი ლაპარიკი ლამაზია; აქაური ლაპარიკი დეიშურია. ერთსა და იმავე წინადადებაში: ლაპარიკვა-ლაპარიკში გეიხსნა.

ავ თემის ნიშნის ვ გადაყვება საწყისშიც წერს, ლაპარაკობს ზმნებს: გურჯულად წერვა არ იყო, მარტო ლაპარიკვა იყო (კრებ.IX: 160); იცით თუ სამვა? (იქვე. 204).

სამხრული მეტყველება ყურადღებას იქცევს საწყისთა თავისებური წარმოებით.

ჩვეულებრივ ნასახელარ ზმნათათვის საწყისის ფუნქციას ასრულებს სახელი, რომლისგანაც ნაწარმოებია ზმნა, მაგ.: თამაშობს ზმნისთვის საწყისია - თამაში, ქეიფობს - ქეიფი და ა.შ. სამხრულში კი ნასახელ ზმნათა საწყისი იწარმოება ისე, როგორც ძირეული ზმნებისა - ფუმეზე -ა სუფისქსის დართვით: ქეიფ-ობ-ს - ქეიფობა, ღალატ-ობ-ს - ღალატობა:

იყო ქეიფობა, სმა, ჭამა. (ნოდ. 132. ქედა);

ვის გუუგონია დილამდინ ქეიფობა (აჭარ. ღორჯომი);

არ მქონია ღალატობა (ნოდ.54. შუახ.);

ჩვენთან ღალატობა არ იციან (კლარჯ. კრებ. VI. 246).

გააგდეს სამობა, გაზენგინდენ (კლარჯ. კრებ. VI. 268);

მე არ მიყუარდა მღერობა (კლარჯ. კრებ. VI: 267);

ოსმალნი და რუსის ხარბი ჩხუბობა იყო (ნიგ.153);

საშუალი გვარის ზმნათა (აქ: გორაობს, ცურაობს) საწყისებია: გორაობა, ცურაობა ან გორავი, ცურავი, ბურთავი ანდა ჭიდავი:

მარტო გორაობა, გორაობა, ეს არი თამაში? (აჭარ. ვანაძეები);

ჩემი ბადიშიც ათამაშეთ, იცის მაგან ბურთავი (აჭარ. ვანაძეები);

არიცის მაგან ბურთავი თუ რა არი? (იქვე);

ჩემი ბიჭი, ამის მამამისი ისაა, ჭიდავში რომაა (შუახ.);

ჩვენი ბაღვი ორი წელწადია დადის ჭიდავში (აჭარ. დიდაჭარა);

ცურვი-ცურვით ჩევდა იგზე (იქვე).

არიშ შემთხვევები როდესაც **ჭიდაობის** ნაცვლად **ჭედნა** გვაქვს. **დაჭერის** მაგივრად - **დაჭერვა**, **მარხვის** ნაცვლად - **მარხულობა**:

ხარების ჭედნა იყო მაისში (შავშ. ივ); ბულიების ჭედნა რაფერ ვერ დეინახე (აჭარ. ვანაძეები); რომ მოსულიყო დეგენახა მაგათი ჭედნა (აჭარ. საციხური);

უკნიდან იანაღს დაჭერვა უნდა (შავშ. უ); ხელი მოდება მაართო რაარი დაჭირვა უნდა (აჭარ. მეკვიძეები); პაწახან თუ ქცალია ხელობი დაჭირვა მინდა (აჭარ. ღორჯომი);

ხშირია საწყისის ფორმები, რომლებშიც **ნ** არის ჩართული: ჰამა, **გათხოვნა** მადლია; **გათხოვნა** სხვაზე აკრძალულია (კლარჯ. კრებ. VI 246).

სიკვდილის პარალელურია მოკდენა, მოკდომა:

ბელქიდა მოკდენამდე ჩეზიან?(შავშ. უ);

ამათ მოკდენა აღარ დუუნახვან თუ რა არი? (აჭარ. ვანაძეები);

ამათი მოკდენა ყიამეთია ძაიან ბრალი არიან (აჭარ. მეკვიძეები);

ლუყმან ექიმს მოკდომა უმეა უქნია (შავშ. უ);

4.2. მიმღეობის წარმოება.

სამხრულ მეტყველებაში გვხვდება საკმაოდ თავისებური ფორმები მიმღეობის წარმოებაში. შემონახულია არქაული ფორმები: **საგდოლი, საფრთხოლი/საფრთხული, საქსოლი...**

ნარცხი, მიმღეობის ურედუქციო ფუძე, გავრცელებულია ძველსა და საშუალო ქართულში, მაჭახლისა და ჭოროხის ხეობის მკვიდრთა მეტყველებაში, ეს ფორმა, როგორც არქაიზმი, პორველად შ. ნიქარაძემ გამოყო. აჭარულში ის ნიშნავს ხილის, ბოსტნეულის ნახარშს. ის სხვა დიალექტებშიცაა და ნიშნავს ჯამის, კოვზის, ჭურჭლის მონარეცხს (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017: 27).

სიტყვა **მორბედი** სემანტიკით რამდენადმე განსხვავებულია ძველი ქართულის მორბედისგან (მორბენალი) საოჯახო საქმეების მკეთებელს ნიშნავს: ამხელა ბაღანა ახლა **მორბედია** შენთვინ, ყველაფერს გიგიკეთებს სახში (ქობ.). სამხრულში, კერძოდ, მუჰაჯირთა მეტყველებაში ის მოსამსახურესაც ნიშნავს: სახში ვერაფერ ვერ გაკეთებებ მაგას, სხვისი **მორბედია** მუდამ.

არქაიზმია **მოდგამიც** (ძვ.:მოზიარე, თანამოსაქმე, თანამოაზრე), რომელიც შემონახულია ქიზიყურშიც და გუთნეულში შეამხანაგებულს ნიშნავს, ქართულში კი- ხვნაში მონაწილეს ხარით ან სახვნელით.

სამხრულ მეტყველებას დაუცავს ასევე მიმღეობის არქაული ფორმები, რომლებიც საწყისის ფუძისგანაა ნაწარმოები: **აღდგომილი, დაჟდომილი**.

სამხრულ მეტყველებაში უხვად გამოვლინდა მიმღეობის პარალელური ფორმებიც: **თხვარი//თხველი//მთხველი...** კერძოდ, გვხვდება ა) პრეფიქსური და სუფიქსური ნაწარმოების მიმღეობურ ფორმათა მონაცვლეობა: *ჩემი მოქსოვნილი ნაცვამი აქუნ შაბანას, შენსიდას, ჯემალას; ეს ნაქსუარი პაწად სიხი იყოს, კაია; სულაც არ მემეწონა შენი ნაქსუარი; ნაქსუარი ლამაზი'ნა იყოს თუ იქნება, თუარადა არ მინდა სულ (ფალავა, ცეცხლაძე, 2017).*

ასეთი ფორმების მონაცვლეობა სამხრულ მეტყველებაში თვით ერთ წინადადებაშიც გვხვდება: დევნახე დაწერილი, **ნაწერავი...**

ბ)პრეფიქსული და პრეფიქს-სუფიქსური მონაცვლეობა: **ნასაქმი// ნასაქმური; ნაცოდნი და ნაცოდნელი... ნაცოდნელი** ინსანი კადა...

გ) სუფიქსთა შენაცვლება: განსაკუთრებით საინტერესოა **-ილ** და **-ულ** სუფიქსიან ფორმათა მონაცვლეობა. ა. შანიძე გამიჯნავდა მათი ხმარების შემთხვევებსაც, მაგრამ მათი მონაცვლეობა მეტად საინტერესო ენობრივი ფაქტია, რომელიც ბადებს კითხვას: ხომ არაა ისინი სხვადასხვა დიალექტური წრიდან შემოსატანი? უფრო საინტერესოა ამ მონაცვლეობის გამოვლენა ერთი დიალექტის შიგნით.

სამხრულ დიალექტში **-ილ** სუფიქსი ცვლის **-ულ-ს**: მაგალითად: *ბათუმის ფარა არის შიგან ჩადებილი (ჩვენებ. 179); მოხარშილ ქათმებ ჩუუწყობთ (იქვე,117); მეორე სახში შევდა, რომე სასადილო ხორცებია დამზადილი.*

გვაქვს ასევე შებრუნებული შეთხვევები, როდესაც **ულ-**ი ენაცვლება **-ილ-ს**: *გახეხული ბერექეთიანია ბალი (იქვე, 414); გახახული ტყემალი'ნა დაასხა (აჭარ. საციხური)...*

ასევე გვაქვს ფორმები სადაც **ნ** არის ჩართული: *გახახული ქვაბი მომიტანე (აჭარ. ვანაძეები); ჰა დიგიწყვია ე გახახული გუგუმები (იქვე).*

ზოგჯერ -ილ და -ულ სუფიქსიანი ფორმები ერთმანეთის გვერდით გვხვდება: **დაბადილი//დაბადული, დაძრილი//დაძრული, შეკერებული//შეკერილი.**

მოვიყვანთ მაგალითებს: *კარები დაძრილი იყო; ჯამები დაძრული იყო (ინ.); ქათმები კარი დაძრილი დამხდეს რომ მუალ (აჭარ. ვანაძეები); კარები მეიარეთ აჯაფ დაძრულია? (იქვე).*

კითხავდა სახელებსა: *-რომელ წელში იყო დაბადილი, იმასაც კითხავდა (ჩვენებ. 238); იმისი ბაღები ჩვენ უკან დაბადული არიან (იქვე, 38).*

დაძინულ-ში თემის ნიშანი არ რეალიზდება: *სამასი წელიწადია დაძინული ვყოფილვართო (ჩვენებ. 29).*

შერგობილ-ში -ებ თემის ნიშნის ნაცვლად **-ობ** გვაქვს და **-ულ** მაწარმოებლის მაგივრად **-ილ**: *ჩვენ ძილი შერგობილი არ გუაქ იმი ბარობაი (ჩვენებ. 77).*

აქვე გვხვდება **ჭამადი** ტიპის მიმღეობები, რომლებიც ჯერ კიდევ არაა გაარსებითებული, ე.ი. გასუბსტანტივების პროცესი აქ არაა დასრულებული: შეჭამადი კიტრი//ლობიო.

სამხრულ მეტყველებაში გამოვლინა **მ-ო** კონფიქსიანი მიმღეობებიც: **გამხილო, მოხმარო, მომფერო**: *თვალგამხილო რომ იქნება, მოძებნის (ჩვენებ. 160); ინსანი თვალგამხილო მიყვარს (აჭ. ვანაძეები); პაწაი თვალგამხილო'ნა იყო (აჭარ. ლორჯომი); ისინი ჩუენი გამრიგო არიან (ძირითადი ოჯახიდან გამოყოფილი) (ჩვენებ. 160); ე ჩუენი გამრიგო ბაღვია (აჭარ. ლორჯომი); ეს კაცი ჩემი მომხმაროა (ჩვენებ. 510); ძალიან მომფერო კაცი იყო (ჩვენებ. 510); უკანასკნელი მაგალითი აჭარულში მიმსგავსებულის მნიშვნელობით გვხვდება: მაგფერი არა მე რომ მქონდა იმის მომფერო მინდა (აჭარ. აგარა)*

მომფერო'ს გვერდით სამხრულ მეტყველებაში **მომფერეც** გვაქვს, **მ-ე** კონფიქსიანი მიმღეობა: მათი ქალები ჩვენსავით **მომფერე** არ არიან (ჩვენებ. 510). ეს უკანასკნელი ისეთივე წარმოებისაა როგორებიცაა: **მძლე, მრე, მლე, შემწე** და მოხერხებულს ნიშნავს. ამავე წარმოებისაა **მომჭმე**'ც (კარგი მჭამელი); მომჭმე ფორმა გვხვდება **მონჭმე**-ს სახითაც: ე რა ძალიან მონჭმე ყოფილა გო, რამე აღან დუუტეგია სუფრაზე (აჭარ. მეხალაშვილები).

სამხრულში, კერძოდ, მუჰაჯირთა საუბარში გამოვლინდა მიმღობის იშვიათი ფორმები: **მსტავლობელი** და **მსწავლებელი** (ნასწავლი, განსწავლული): *ამ მობძანებულ დიდ მსტავლობელ ხანუმსა ხათრინა უუშენო (ჩვენებ, 57); ამ ჯამეზე ერთი დიდი მსწავლებელი ხოჯა აკეთებებდა მეგემ მისი ფართა (ჩვენებ. 59).*

კიდევ უფრო საინტერესოა ფორმები: **მომკდენარი** და **მიმხდენარი** (მიხვედრილი). ეს ფორმები უკეთ გადმოსცემენ შინაარსს: *მომკდენარია ცოდვა თუამ ჩვენ რა გვინდა (აჭარ. მეკეიძეები); ჩუენზე წინ მომკდენარი ინსნები არ დეივიწყოთ (ჩვენებ.74); მაგას რა უნდა რომ ელაპარიკები და მიმხდენარია (აჭარ. საციხური); ინსანი პაწაი მიმხდენარი'ნა იყო (აჭარ. ვანაძეები); მინხდანართით მინხდენარია, მარა ვეფერი ვუმველე მაინც (აჭარ ღორჯომი); პაწა ომარად ტამდაბალი კაცი იყო, მარა ჭკვინი იყო დიდი, მიმხდენარი, მომფერე, დამფასებელი დიდი-პაწასი (ჩვენებ. 44).*

განსაკუთრებით საინტერესოა უარყოფითი, რომლებიც ორგვარადაა ნაწარმოები:

ძალიან ხშირია სამხრულ კილოებში წართქმით ფორმაზე უ პრეფიქსის დართვით: *უაშენებული, უდაწერილი: უშეკერილი არ წევალ (ჩვენებ. 87); უაშენებული ქუემ არ დეიჟდუმლება (იქვე); ქობ უგაკეთებული ნენეი ჰანა წეიყვანო (იქვე); უდაწოლილი ერთ ლამეს გაათენებ (იქვე); ამის უდაწერილი ვერსად ვერ წახუალ (იქვე); უამობრუნებული გააცურვონს, შაქემენ რანა ქნა, ათი ბადვი ეყოლა ქალს და მაინც ლამაზია (ჩვენებ. 36); უგაქანებული მივალ ჩემ სოფელში (ჩვენებ. 51); უგუმბარისას აკეთებენ შუბურსა (ჩვენებ.244); ულოცავი თუ არი კაცი და ქალი, ძაღლი და ღორი მაზე კაი არი (ჩვენებ. 272); უდუჭრელი ფურუნჯია, დაჭრილი-ჩირი (ჩვენებ. 206);*

ამ ფორმებს უ პრეფიქსი ზმნისწინის შემდეგ კი არ დაერთვის, არამედ წინ. საინტერესოა ფორმები: *უამობრუნებელი, უათავებელი. მეგ უამობრუნებული გააცურვონა, თვარემ... ჭამი უათავებელი ერთჯელ ადგა (ინეგ.).* ეს უკანასკნელი ფორმები არ დასტურდება აჭარულ დიალექტებში.

სამხრულში გვხვდება ფორმები: **უგუმუცლელი**, **უდუუნახველი**, **უგუდუურჩენელი**: წინწინ **უდუუნახველი** წაყვებოდა (ჩვენებ. 321); **უგუუტანელი** გავხდით (ჩვენებ. 51); **უგუუწყობილობა** არ მიყვარს (ჩვენებ. 38); **უმუუხარშველ** რომ დანაყვენ იმით კეთდება ფაფა (ჩვენებ.269); **უგუუცოხნელს** წიწიბი ჰქვია (ჩვენებ.213); **უდუუზახველი** საზედავენა იყვეს (ჩვენებ.206); **კაა** გინდა, **უგუმუცლეელინა** გახსოვდეს (ედ.); **უგუდუურჩენელს** გადაარჩენდა, იმფერი ქალი იყო ჩემი ნენად (ჩვენებ. 123); ხორცი **უდუუჭრელი** შეინახა ბუზდოლაბში (იქვე); შურუბსა **უგუუხმარისს** აკეთებენ (იმ.); რაფე ამოვდა ამ დერიდან **უდუუბნეველი**? (თ.ქ.); **უდუუნახავი** წევდენო (ჩვენებ.260); ჰიჩ **უდუუნახველი** მივეცი (ჩვენებ. 47) **უდუუღველი** რა ნახა ამ დუნიაზე? (იქვე); ამ თუელზე ხასანაი **უდუუქორწილიბელი** არ დეიტევა (იქვე); **უდუუქორწინებელი** იყო (ჩვენებ. 215).

ზემო დასახელებული ტიპის ფორმები დასტურდება ზემოაქარულშიც: *ამდენ პატივცემას რაფერ ვერ ხედავს, მაა უდუუნახველი, მაა (შუახ.); ამხელა ნაჭარი უდუუჭრელი რაფერ იჭმება (იქვე).* გავრცელებული უარყოფითი მიმღეობების ორმაგი ფორმები: *უდუუღებელი, უმუუსლეელი (აჭარ. დიდაჭარა): უდუუნახველია მაგი, ვერავის პატივისცემას ვერ ხედავს (შუახ.); ჩემთან უმუუსლეელი არ დადგეთ (იქვე)...*

ამგვარ წარმოებას არ იცნობს ქვემოაქარული მეტყველება, განსაკუთრებით-ქობულეთური.

სამხრულ კილოებში მიმღეობის საწარმოებლად გამოიყენება ზმნის მარტივი ფუძე: **გავსილი**, **მოსწრილი**, **დამწიფებული**... შემონახულია არქაული ფორმები: **ნათხზენი**, **მე(ნ)ცარი** (მ. ცინცაძე); **სარწყული**, **საგდოლი** (ლიგიდა), **ნაზარდულუ**, **სამყოფისი**, **მოდგამი**, **მორბედი**...

საგდოლი ჩამოსწიე და გეიღებავო (შუახ.); ჩემი ნახზენია მაგი (ქედა); სამყოფისი ორ კაცს არ მუუვდოდა სიმინდი და ლობიად (აჭ.).

ზემოაქარულში დავადასტურეთ მიმღეობის იშვიათი ფორმა **ნაზარდული** (იგივეა რაც წანაზარდი): *რაცხა ნაზარდული აქ, რა არის ვერ მივხდი (აჭარ. მეკვიძეები); ეგ ამის ფესვიდან ნაზარდულია (აჭარ. ღორჯომი).*

არქაიზმებია საწყისის ფუძიდან ნაწარმოები მიმღობები: **განდობილი, დაჟდომილი, გამოცხობილი...** ავ თემისნიშნიან ზმნათა მიმღობებში შენარჩუნებულია ვ: **დახურვილი, დახურღვილი.** არქაიზმია გავლა საწყისის შესატყვისი გარეზაც.

აქვე დასტურდება **სახვედურიც**, რაც ხვედრს, წილს, კუთვნილს ნიშნავს. „*ჩემი სახვედური, რაც მეკუთვნის, მომეცი და სხვას რას ეძებ შენ*“ (ნიჟარაძე, 1971:316).

სამხრულ მეტყველებაში მიმღობის საწარმოებლად უპირატესობა ენიჭება პრეფიქს-სუფიქსიან ნაცვლად სუფიქსიანისა: **დამჭირველი, მცოდნელი...** ამავე რიგისაა საობიექტო მიმღობანი: **შესაკერელი და დასაკლელი: შესაკერელი დამჩა მისი ფისტანი (კლარჯ. კრებ. VI.274); დასაჯდომელი არი, ხედავ, თუ? (იქვე, 269).**

„პრეფიქსული წარმოების გაარსებითებული მიმღობა ნათესავი აქ წარმოდგენილია **მონათეს** ფორმით, რომლიც დიალექტიზმად მიგვაჩნია, რადგან ეს სიტყვა არ დასტურდება არც ძველ ქართულში და არც ახალში“ (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017: 254).

ზოგჯერ გვხვდება სუპლექტური წარმოებაც: **თებზე ბევრი ნავლილი ვარ (კლარჯ. კრებ. VI. 274); იქ ნაკითხული კაცებიც იყვნენ (კრებ. IX: 150); ნაკითხულსა და ნავლილში** პრეფიქსიცა გვაქვს და სუფიქსიც და ორივე ნამყო დროზე მიუთითებს.

იშვიათი ფორმაა **ღეჭებული**, მის ზმნურ ფუძეში თემის ებ ნიშანი სალიტერატურო ქართულში არ დასტურდება, კლარჯულში ზმნაშიცაა და მიმღობაშიც: **კევი ღეჭებდა, ღეჭებული გადაყლურწებდა...** (ფაღავა, ცეცხლაძე, 2017: 254).

სამხრულ კილოებში ასევე ბევრია **მიმღობის** თავისებური და არქაული ფორმა. არქაიზმებია **პრეფიქსული წარმოების** და მ-ე, მე-ე, მო-ე აფიქსებიანი მიმღობები: **მოლოცავი'ნა იყო (შავშ. 373); ჩვენი გამგნე იყო (იქვე. 379); გურჯიცნა იყოს გამჭრე (შავშ. 379); ჩვენი გენჯები არ არიან მოლოცავე, მოკითხავე (მან); ლოცვა-კითხვა გენჯებს არ უყვარან მოზდებსაც (მან).**

თავისებურია **მ-არ, მ-არე** აფიქსებიანი ფორმებიც: **მშობიარი ქალი შემოვა (წეთ.); ცხელი წყალი ამოდის, მდულღვარე (ჩაქ).**

სამხრულ კილოებში მრავლადაა მოქმედებითი გვარის მიმღობის წარმოების ფორმები: ბევრი ქართული **გამომგონებელი** სხუა რამიებიც იყო (ჩვენებ.236); ნედლი ხის **მომჭრელი**, კაცის კისრის **მომჭრელიაო** (ჩვენებ. 266); **გამგნებელი** კაცი იყო (იქვე, 268); **გამჩენელს** ესმის ყველას სათქმელი (იქვე,275); შენ ხარ მილღეთის **დამპურებელი** (იქვე); უკან წასასლელი გზაც აღარ ქონდნენ (ჩვენებ. 141); კაცი ყოფილა ძლიერი **შუუშინებელი** (იქვე,142); ჩავაყაროთ **გასასუფთებელი** პური (ჩვენებ.45); გამხდარა დიდი **მსტავლობელი** (ჩვენებ. 48); ღმერთია შენი **მშველელი** (იქვე,140); სამოთხის ქომქზე ამყოფე, მწერავ-მკითხავი, **დამყურებელი** (იქვე,275); ჯამის **გამკეთებელი** კაცი მეგემ რაცხა სუემდა (იქვე,59); იცნა ჯირითში კაცის **წამქცეველი** (იქვე,26).

სამხრულ კილოებში ასევე ხშირ მაგალითებს შევხვდებით ვნებითი გვარის მიმღობის წარმოებისას: ახლა **ოყათარჯა მეტყობა გახრეტილი** (ჩვენებ.97); **უთხრომია მისი გადახდენილი** (ჩვენებ. 49); **მუაყარონა დანაყილი კაკალი** (ჩვენებ. 59); **მეხუთე კლასი მაქ გათავებული** (ჩვენებ. 26); **დუუნახვებია გაკეთებული ჯამე** (ჩვენებ. 59); **ყველა სულიერი იყო შეყვანილი** (იქვე); **თა-ბარი იმათიდან გვექონდა დასწავლილი** (ჩვენებ.61); **იქ მოწველილ ძესა, გაკეთებულ იალსა** (იქვე); **ყდა ტყავისა იყო გადაკრული** (ჩვენებ. 236); **მოშიშარი ვარ (მაჩხ)**; **ორი დღეა ახემებული ვარო** (ჩვენებ. 210); **ბევრი მსაქმებელი დაჰა ბევრ იღებენ (ჩაქ.)**; წარმოების **ჯენევიზების სამცხოვრო არი** (იქვე 403); **რომ გახდიათ, სახმარო კასრს გააკეთებენ (ჩაქ)**; **გახედა, რომ სხვა ქალების ნათქვამურაჲ არ იყო, იამა** (იქვე, 503).

უფრო თავისებურია აორისტის ფუძისგან ნაწარმოები სუფიქსური მიმღობები. აქ მოსალოდნელი ებ თემის ნიშანი არ გვხვდება: დავიწყებულის ნაცვლად გვაქვს **დავიწყნული**, ადუღებულის მაგივრად- **ადუღული**, გაცინებულის ნაცვლად კი- **გაცინული**.

ზოგი სიტყვები დავიწყნული გვაქ (შავშ.379); ჩაასხამ **ადუღულ წყალს** (იქვე 369.); **საქმიდან მოხვალ მოღალული** (იქვე 371); **გაცინული გამოვიდა (შავშ. 426)**; ასე ხელში **დაჭირული რა'ნა ისაქმოო** (იქვე, 377).

მ-არ კონფიქსიანი მიმღობის ნაცვლად -ილ სუფიქსიანი გვაქვს: პერანგი ზედ ჩაწვილიყო (შავშ.368).

იმვითად დაკარგულია -ებ თემისნიშნისეული თანხმოვანი: *გათხვეული არ ვიყავ (შავშ. 437).*

სამხრულში გვხვდება ორმაგი წარმოების უარყობითი მიმღებებიც: *უმუსლოელია, კვახეა (შავშ. 449); მზის უღუუნახველი ვახმობთ (მან.); უგოვლეელი რომ იქნება, იმა აჭმენენ (ჩაქ.).*

ავადევი არქაული ფორმა ჩანს, რადგან -ეულ სუფიქსიანი მიმღებები (სირცხვილეული, ნეტრეული, რისხვეული...) გვხვდებოდა ძველ ქართულში: *მე ავადეელი ვარ (იქვე, 494).*

გამგნე მ-ე კონფიქსიანი ფორმაა. **გავიწყუნულ** ფორმა იმითაა საინტერესო, რომ მასში კარგად ჩანს შესაბამისი საწყისი - დავიწყუნა; **მოღალულიც** ფორმაა და ურედუქციო ფუძისაგანაა ნაწარმოები, თანაც დღეს ის -ილ სუფიქსიანია; სამცხოვრო' სამცხოვრებელს, საცხოვრისს ნიშნავს; **მოლოცავი** პრეფიქსული წარმოების ფორმაა, მლოცველია. **უგოვლეელი** დავრდომილი ავადმყოფია, რომელსაც გავლა არ შეუძლია. ამ ფორმაში ფინექტიკური ცვლილებებია მომხდარი (უგაუვლეელი).

სამხრულ კილოებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხი სახელზმნაა, რომელიც გამოირჩევა სხვადასხვა თავისებურებებით.

სამხრულ კილოებში საყურადღებოა საწყისისა და მიმღობის ფორმათა წარმოების თავისებურებები.

ერთთემიან და ფუძედრეკად ზმნათა საწყისებში პირიან ზმნათაგან გადმოყოლილია ვ (**დრიკვა, გლიჯვა, ფლითვა, წერვა...**). გავრცელებულია შემდეგი ტიპის ფორმები: **თევზაობა, გორაობა, ცურაობა ...** პარალელურად გვაქვს: **ბურთავი, გორავი, ჭიდავი, თევზავი...**

ყურადღებას იქცევს საწყისთა თვისებური წარმოებით: **ნასახელარ ზმნათა საწყისს დაერთვის ობა: ქეიფობა, ღალატობა.**

სამხრულ მეტყველებას დაუცავს მიმღობის არქაული ფორმები, რომლებიც საწყისის ფუძისგანაა ნაწარმოები: **აღდგომილი, დაჟდომილი**

დასკვნები

1. სიტყვაწარმოება ერთ- ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად და მისი ლექსიკურ-სემანტიკური დაჯგუფება საენათმეცნიერო დისციპლინის- ლექსიკოლოგიის ამოცანაა.

2. სამხრულ კილოებში წარმოქმნილ სახელებს აწარმოებს პრეფიქსები, სუფიქსები და პრეფიქს-სუფიქსები. გარდა აღნიშნული დიფერენციაციისა, შინაარსის მიხედვით წარმოქმნილ სახელებში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: კნინობითი, ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, აბსტრაქტული, დანიშნულებისა, წინა ვითარებისა, ხელობისა, რიგობითი და წილობითი, გეოგრაფიული, ხარისხისა და სხვა.

3. სამხრულ კილოებში სიტყვაწარმოებითი მოდელი სალიტერატურო ქართულთან მიმართებით არსებით სხვაობას არ გვიჩვენებს: აქ იგივე აფიქსები მოქმედებს (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფონეტიკურ სახესხვაობებს და უცხო აფიქსურ წარმოებას) და ძირითადად იმგვარივე შინაარსის სახელებს აწარმოებს, როგორც გავრცელებულია საერთო ქართულში. უნდა აღინიშნოს, რომ სამხრული კილოების მონაცემების გათვალისწინება ხშირად გვხმარება უძველესი სიტყვაწარმოებითი ყალიბების გამოვლენაში.

4. ქონების სახელთა ყველაზე აქტიური მაწარმოებელია **-იან** სუფიქსი, რომელიც დაერთვის, როგორც ქართული წარმოშობის სახელებს, ასევე უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვებსაც. **-იან** სუფიქსი აქტიური მაწარმოებელია ქონების სახელებისა, როგორც მარტივფუძიან, ასევე რთულფუძიან სიტყვებთან, ასევე დაერთვის არსებით, ზედსართას, რიცხვითსა და ნაცვალსახელებს და აწარმოებს მქონებლობას.

-იან სუფიქსი იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება **სა-ო** კონფიქსის ნაცვლადაც: **ინტერესიანი...**

სამხრული კილოებში (კერძოდ აჭარულ დიალექტში) -იან სუფიქსით ნაწარმოები მქონებლობის აღმნიშვნელ სახელთა პარალელურად -ოვან (ოან-უან) სუფიქსიანი ფორმებიც გვხვდება, ასევე -იან სუფიქსის ნაცვლად- იერ სუფიქსი გამოიყენება: ტვინიერი, ჭკუიერი...

რაც შეეხება ქონების სახელთა მაწარმოებელ -ა სუფიქსს, ეს სამხრულ კილოებში აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ცხოველთა, მცენარეთა სახელებს, აღნიშნავს ამა თუ იმ მქონებლობას, რომელიმე ნიშნის მიხედვით რაიმესთან მსგავსებას.

5. სამხრულ კილოებში უქონლობის მაწარმოებელი სახელები, უ-ო და უ-ურ მაწარმოებლებით გვხვდება.

უ-ო აფიქსიანი წარმოება უ-ურ აფიქსთან შედარებით მრავალრიცხოვანი და გავრცელებულია და ის დაერთვის ნებისმიერ ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს.

უ-ურ მაწარმოებლის დართვა განსაზღვრულ პირობებს მოითხოვს სამხრულ კილოებში: ა) დაერთვის უმარცვლო ან ერთმარცვლიან ქართული წარმოების სახელებს. ბ) ხმოვანფუძიანთაგან დაერთვის მხოლოდ ა, ე ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს, როგორც აღვნიშნეთ უ-ურ კონფიქსით ნაწარმოები უქონლობის სახელები მცირეა.

6. წარმომავლობის სახელების წარმოება სამხრულ კილოებში საკმაოდ თავისებურია სალიტერატურო ენისგან განსხვავებით.

წარმომავლობის სახელებს სამხრულ კილოებში აწარმოებს -ელ და -ურ სუფიქსები. ამ სუფიქსთა განაწილების წესი, რომ -ელ სუფიქსი ადამიანთა წარმომავლობას აღნიშნავს, ხოლო -ურ სუფიქსი არაადამიანთა წარმომავლობას, სამხრულში მტკიცე არ არის: -ელ სუფიქსით აღინიშნება რა ჯგუფის საგანთა წარმომავლობაც, ხოლო -ურ// -ულ სუფიქსით - ვინ ჯგუფის სახელთა სადაურობაც, დასტურდება შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე მაგალითში ერთ შემთხვევაში -ელ სუფიქსი, ხოლო მეორე შემთხვევაში -ურ გვხვდება. ასევე უნდა აღინიშნოს რომ -ეთ, -ელ სუფიქსების ნაცვლადაც -ურ სუფიქსი გამოიყენება.

7. აბსტრაქტულ სახელთა გაანალიზების დროს სამხრულ კილოებში დამტკიცდა, რომ -ობა სუფიქსი ყველაზე აქტიური, ცოცხალი და მოქმედი მაწარმოებელია. ის დაერთვის ყოველგვარ სახელს, როგორც ქართულს ასევე

უცხოურ წარმომავლობისას, მარტივსაც და ნაწარმოებსაც, ასევე ხმოვანსა და თანხმოვანზე დაბოლოებულს.

-**ობა** სუფიქსი ასევე დაერთვის **-ეულ** სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს, მოქმედების აღმნიშვნელ სახელთაგან აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს, ორმაგ წარმოებას ქმნის **სი-ე** კონფიქსით ნაწარმოებ სახელებთან, ასევე გვხვდება **სა-ე** კონფიქსით ნაწარმოებ სახელებთან, ზედსართავ სახელებთან დაართვის დროს სახელს წარმოგვიდგენს ზმნიზედის მნიშვნელობით.

-**ება** სუფიქსი გაცილებით მცირეა **-ობა** სუფიქსთან შედარებით და ძირითადად თვისების აღმნიშვნელ სახელებს დაერთვის და აწარმოებს განყენებული შინაარსის სახელებს. **-ება** სუფიქსის ნაცვლად გვხვდება **-ვ** სუფიქსი: **დაბადვა...**

8. სამხრულ კილოებში დანიშნულების სახელების გაანალიზების დროს შეიძლება დავასკვნათ, რომ **სა-ე** კონფიქსი უმეტესად დანიშნულების სახელების მაწარმოებელია, **სა-ო** კონფიქსი კი დანიშნულება-განკუთვნებისა.

სა-ო იგივეა მნიშვნელობით, რაც **სა-ე**, ოღონდ ამას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისგან აწარმოებს სახელებს.

9. წინა ვითარების სახელთა წარმოების დროს აღსანიშნავია ის თავისებურება, რომ **ნა-ევ** კონფიქსის ნაცვლად გვხვდება **ნა-ალ**, ასევე გვაქვს **-ევ** სუფიქსის წარმოების ადრინდელი წესის დადასტურების შემთხვევებიც.

10. ხელობის სახელთა ძირითადი მაწარმოებელია **მე-ე** კონფიქსი, მაგრამ გვხვდება **მე-ურ** მაწარმოებლიანი ფორმებიც, რომელთა დიდი ნაწილი ძველქართულში ჩანს ჩამოყალიბებული.

მე-ე და **მე-ურ** კონფიქსები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფუძეთა შერჩევის პრინციპით: **მე-ურ** დაერთვის ერთმარცვლიანებს, ხოლო **მე-ე** შეუზღუდავად, როგორც ქართული, ასევე უცხოური წარმოშობის სიტყვებს.

11. სამხრულ კილოებში ხარისხის სახელთა წარმოება გვიჩვენებს, რომ ხარისხის სახელთა ისეთი წარმოება გვაქვს, რაც დამახასიათებელია, როგორც ქართული ენის დიალექტებისთვის, ასევე დამახასიათებელი მოვლენაა სალიტერატურო ენისთვის.

12. სამხრულ კილოებში ყველაზე პროდუქტიულია გეოგრაფიულ სახელთა წარმოება სუფიქსური წარმოების თვალსაზრისით, ზოგიერთი სუფიქსი ხშირად

გამოიყენება, ზოგი შედარებით ნაკლებად. გეოგრაფიულ სახელეთა წარმოებისას ყველაზე პროდუქტიული მაწარმოებელი უმთავრესად -**ეთ** სუფიქსია.

გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლები გვხვდება როგორც ქართულ ფუძეებთან ასევე თურქულ ფუძეებთანაც.

13. სამხრულ მეტყველებაში ჩვეულებრივ დასტურდება ოდნობითი ხარისხის ფორმები **მო-ო** და **წა-ო** აფიქსებით ნაწარმოები, რაც შეეხება უფროობითი ხარისხის ფორმებს, იშვიათია და მას ენაცვლება აღწერითი წარმოება.

14. კნინობითი სახელების წარმოება საკმაოდ მრავალფეროვანია სამხრულ კილოებში, ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელი კნინობით სახელებში -**ა** სუფიქსია, რომელიც აკუთარ სახელებსაც დაერთვის საზოგადოსაც.

15. სამხრულ კილოებში გამოიყენება მცენარეთა კრებულის აღსანიშნავად -**ნარ** სუფიქსი, მაგრამ ეს წესი ყოველთვის დაცული არ არის, რადგან -**ნარ** სუფიქსი ზოგჯერ სხვა სახელებსაც დაერთვის და მიუთითებს ადგილზე, სადაც მრავლად მოიპოვება ფუძით აღნიშნული საგანი; მაგ: **კენჭნარი, ქვანარი**.

ასევე გვხვდება -**ნარ** სუფიქსის პარალელურად -**ნალ** სუფიქსი დისიმილაციის ნიადაგზე.

16. სამხრულ მეტყველებაში არის ქართული და თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომლებშიც წარმოჩნდება ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობა, ასეთი ლექსიკის სხვადასხვა ჯგუფი გამოიყოფა: ა) თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, რომელთა შესაბამისი ძირეულებიც თურქულია ან სხვა ენიდანაა შემოსული თურქულში. ბ) ქართულ ძირეულთაგან თურქული სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები. გ) თურქულ ძირეულთაგან თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები, სადაც პირველი ჯგუფის სიტყვები წმინდა თურქიზმებია.

ქართულ ძირეულთაგან თურქული სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები ნაკლებად გვხვდება, მაგრამ მრავლადაა ქართული აფიქსებით ნაწარმოები თურქული სიტყვები.

17. სამხრულ კილოებში კომპოზიტების სხვადასხვა ჯგუფი დასტურდება. გვხვდება გაორკეცებულ ფუძიანი კომპოზიტები, ხშირია სხვადასხვაფუძიანი კომპოზიტი, გვხვდება ატრიბუტული და სუბსტანტიური მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები.

კომპოზიტთა შემადგენელ ნაწილებად გვხვდება სხვადასხვა მეტყველების ნაწილი. შეიძლება შევხვდეთ არსებითი სახელისა და არსებითი სახელის; ზედსართავისა და არსებითი სახელის, სახელისა და სახელზმნის შეერთებით ახალ ფუძეთა წარმოქმნის შემთხვევებს.

კომპოზიტთა სხვა სახეებთან შედარებით ბევრია მსაზღვრელ-საზღვრულისაგან მომდინარე კომპოზიტები. ასეთი კომპოზიტები უმეტესად გეოგრაფიული სახელებია. გვხვდება როგორც ატრიბუტული, ისე გენეტიური მსაზღვრელის შემცველი კომპოზიტები. ატრიბუტულ მსაზღვრელიანებში არის როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული რიგისა.

18. სამხრულ კილოებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხი სახელზმნაა, რომელიც გამოირჩევა სხვადასხვა თავისებურებებით.

სამხრულ კილოებში საყურადღებოა საწყისისა და მიმღობის ფორმათა წარმოების თავისებურებები.

ერთთემიან და ფუძედრეკად ზმნათა საწყისებში პირიან ზმნათაგან გადმოყოლილია ვ (დრიკვა, გლიჯვა, ფლითვა, წერვა...). გავრცელებულია შემდეგი ტიპის ფორმები: თევზაობა, გორაობა, ცურაობა ... პარალელურად გვაქვს: ბურთავი, გორავი, ჭიდავი, თევზავი...

ყურადღებას იქცევს საწყისთა თვისებური წარმოებით: ნასახელარ ზმნათა საწყისს დაერთვის ობა: ქეიფობა, ღალატობა.

სამხრულ მეტყველებას დაუცავს მიმღობის არქაული ფორმები, რომლებიც საწყისის ფუძისგანაა ნაწარმოები: აღდგომილი, დაჟდომილი.

სამხრულ მეტყველებაში უხვად გამოვლინდა მიღობის პარალელური ფორმებიც: თხვარი//თხველი//მთხველი... კერძოდ, გვხვდება: პრეფიქსური და სუფიქსური ნაწარმოების მიმღობურ ფორმათა მონაცვლეობა.

ძალიან ხშირია სამხრულ კილოებში წართქმით ფორმაზე უ პრეფიქსის დართვით:
უაშენებული, უდაწერილი.

სამხრულ მეტყველებაში მიმღობის საწარმოებლად უპირატესობა ენიჭება
პრეფიქს-სუფიქსიან ნაცვლად სუფიქსიანისა: **დამჭირველი, მცოდნელი...** ამავე
რიგისაა საობიექტო მიმღობანი: **შესაკერელი და დასაკლელი:**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973;
2. აფრიდონიძე შ. ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2002;
3. ახვლედიანი გ., სა-ო“ და „ური-ს“ მნიშვნელობა. ჩვენი მეცნიერება, №2-3, თბილისი, 1923;
4. ბარამიძე მ., მასალები სამხრული კილოების ფრაზეოლოგიზმების ლექსიკონისთვის (შავშეთის ქართულის მიხედვით). პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათშორისი დიალოგები,“ შრომები გამომცემლობა „მერიდიანი“ თელავი, 2011;
5. ბარამიძე მ., ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების ზოგიერთი თავისებურება. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VII, ბათუმი, 2013.
6. ბარამიძე მ., კლარჯ მუჰაჯირთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული ტ.IX, 2014 წ. ბათუმი, 2014;
7. ბაქრაძე დ., „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987;
8. გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემადა აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1985;
9. გოგოლაშვილი გ., თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (გიორგი გოგოლაშვილის საერთო რედაქციით) თბილისი, 2011;
10. გოგოლაშვილი გ., თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II. დიალექტები (გიორგი გოგოლაშვილის რედაქციით), თბილისი, 2016;
11. დონდუა კ., „ლიპარიტეთისა და ანალოგიური ფორმის გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში. თსუ შრომები, XXXIII ნ, თბილისი, 1948;
12. ენუქიძე თ., გამოკვლევა დართული ძეგლზე „ ტბეთის სულთა მატიაზე,“ თბილისი, 1977;
13. ზურაბიშვილი თ., ემფატიკური ა ახალ ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, თბილისი, 1972;
14. თანდილავა ა., ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა), თბილისი, 2013;

15. თიფურია ვ., მშობლიური ენისა და სალიტერატურო სწავლების საკითხები სკოლაში კრ. IX, თბილისი, 1956;
16. თოფურია ვ., მთარაქულის დახასიათებისათვის ქესს II, თბილისი, 1961;
17. თოფურია ვ., ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქესს III, თბილისი, 1963;
18. თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000;
19. თურქულ- ქართული ლექსიკონი, I-II, სტამბული, 2001;
20. იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი 1957;
21. იმნაიშვილი გრ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი 1966;
22. კახიძე ნ., ეტრატზე ამეტყველებული ისტორია, ბათუმი, 2013;
23. კეკელიძე კ., -ეთ სუფიქსიანი კრებითი სახელები ქართულში, თბილისი, 1955;
24. კიზირია ა., წარმომავლობის სახელები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, იკე XXIII, თბილისი, 1985;
25. კიკვაძე მ., კვლავ ქართული ლექსიკიდან კლარჯთა თურქულ მეტყველებაში ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული X, ბათუმი, 2015;
26. კლარჯეთი: ფალავა მამია, ცინცაძე მერი, ბარამიძე მათა, ჩოხარაძე მალხაზ, შიოშვილი თინა, მამულაძე შოთა, ხალვაში მალხაზ, მგელაძე ნუგზარ, შაშიკაძე ზაზა, კარალიძე ჯემალ, კლარჯეთი მონოგრაფია, თბილისი, 2016;
27. კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბილისი, 1985;
28. ლეჟავა ლ., ზემო იმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით, იკე, IX-X, თბილისი, 1958;
29. მაკალათია ფ., არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმიკა. ტოპონიმიკა, II, თბილისი, 1976;
30. მანჯგალაძე ალ., -ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში, იკე V, თბილისი, 1953;
31. მანჯგალაძე ალ., ა ხმოვანზე დასრულებული ზოგიერთი სახელის ფუძის აგებულებისათვის ქართულში. სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი, 1956;

32. მარი ნ., შავშეთსა და კლარჯეთის მოგზაურობის დღიურები, ბათუმი, 2012;
33. მარტიროსოვი ა., თანდებული ქართულში, იკე, I, თბილისი, 1946;
34. მარტიროსოვი ა., აბსტრაქტულ სახელთა წარმოება და საწარმოებელ აფიქსთა შედგენილობა ძველ ქართულში, იკე IX-X, თბილისი, 1958;
35. მარტიროსოვი ა., ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბილისი, 1972;
36. მარტიროსოვი ა., ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984;
37. მასალები, კლარჯული მასალები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. VI, ბათუმი, 2009;
38. მასალები, კლარჯული კილო, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. VIII, ბათუმი, 2014;
39. მასალები, კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება, მასალები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. IX, ბათუმი, 2014;
40. მასალები, ჭოროხის აუზის ტოპონიმია, მასალები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. X, ბათუმი, 2015;
41. ნიჟარაძე შ., აჭარული დიალექტი, გამომცემლობა „საბჭიოთა აჭარა“, ბათუმი, 1975;
42. ნიჟარაძე შ., აჭარის ტოპონიმის ძირითადი საკითხები. ბპი შრომები, XVI, ბათუმი, 1969;
43. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. გამომცემლობა „საბჭიოთა აჭარა“, ბათუმი, 1971;
44. ნიჟარაძე შ., ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957;
45. ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961;
46. ნოღაიდელი ჯ., აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათუმი, 1941;
47. ნოღაიდელი ჯ., აჭარულის მიმართება მესხურთან. წიგნი: ნარკვევები და ჩანაწერები, II, ბათუმი, 1972;
48. ნოღაიდელი ჯ., აჭარული კილოს თავისებურებანი, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1960;
49. ორბელიანი ს., სიტყვის კონა, თბილისი, 1949;

50. სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001;
51. სურმავა ნ., აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა I. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1976;
52. სურმავა ნ., სიტვაწარმოების ძირითადი თავისებურებანი აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა V. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1986;
53. სურმავა ნ., სიტვაწარმოების შესახებ აჭარულში (ქედის რაიონის მასალების მიხედვით). ადდლ, IV, თბილისი, 1986;
54. სურმავა ნ., ლაზურის ინტერფერენციული გავლენა ჭოროხის ხეობის ქართულ მეტყველებაზე, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, ტ. II, ბათუმი, 2011;
55. ტუსკია მ., სახელის აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბილისი, 1975;
56. უთურგაიძე თ., სახელის მორფოლოგიური ანალიზი ქართულში, თბილისი, 1991;
57. ფარტენაძე ნ., ბგერის დაკარგვისა და ჩართვის შემთხვევები შავშურში, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, N12, 2014წ. ქუთაისი, 2016;
58. ფალავა მ., სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2003;
59. ფალავა მ., ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა (სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი), თბილისი, 2004;
60. ფალავა მ., ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის საკითხი, ბსუ-ს შრომები, ტ. V, ბათუმი, 2006;
61. ფალავა მ., (I) თანდებული შავშურში, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, III, თბილისი, 2011;
62. ფალავა მ., (II): შავშური ჩანაწერები, თბილისი, 2011;
63. ფალავა მ., -უმ/-ომ სუფიქსი ქართულ ტოპონიმებში და ზოგოერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის ცდა. ბსუ შრომები, XIII, ბათუმი, 2009;
64. ფალავა მ., წინასიტვაობა გამიცემისთვის: ნიკო მარი შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი, 2012;
65. ფალავა მ., სამხრული კილოები, შესწავლის მდგომარეობა და კვლევის პერსპექტივები. ქესს, XIII, თბილისი, 2015;

66. ფალავა მ., ცეცხლაძე ნ., (I): აჭარული კილოს თავისებურებანი, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, ფილოლოგიური მაცნე III. თბილისი, 2015;
67. ფალავა მ., ცეცხლაძე ნ., (II): შავშური კილო, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. XIII, თბილისი, 2015;
68. ფალავა მ., ცეცხლაძე ნ., (II): ფალავა მ, ცეცხლაძე ნ., კლარჯული კილო, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, საენათმეცნიერო ძიებანი XXXVIII, თბილისი, 2015;
69. ფალავა მ., ცეცხლაძე ნ., (II): ფალავა მ, ცეცხლაძე ნ., ტაოური კილო, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, საენათმეცნიერო ძიებანი XXXVIII, თბილისი, 2015;
70. ფალავა მ., ცეცხლაძე ნ., აჭარული კილოს თავისებურებანი, ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, ბსუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიური მაცნე, III, თბილისი, 2016;
71. ფალავა მ, ცეცხლაძე ნ., სამხრული კილოები - ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ქართველოლოგიის ცენტრი, გამომცემლობა „ივერიონი“ , თბილისი, 2017;
72. ფოჩხუა ბ., მრავლობითობის ნარიანი მაწარმოებლები ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტომი II, თბილისი, 1961;
73. ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993;
74. ფუტკარაძე შ., აჭარული საუნჯე, I, ბსუ, ბათუმი, 2013;
75. ფუტკარაძე შ., ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, თბილისი, 1995;
76. ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე, ბათუმი, 2016;
77. ქავთარაძე ივ., ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985;
78. ქამადაძე მ., ზემო აჭარის ტოპონიმია. ადდლ, VIII, თბილისი, 1992;
79. ქობალია ალ., მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2012;
80. ლლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984;

81. ლუტიძე ი., მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხები.“ კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, XII, თბილისი 2010;
82. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995;
83. შავშეთი, შავშეთი მონოგრაფია, ავტორები: მამია ფაღავა, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, მერი ცინცაძე, მალხაძე ჩოხარაძე, ზაზა შაშიკაძე, ნუგზარ ცეცხლაძე, თამაზ ფუტყარაძე, მაია ბარამიძე, ჯემალ კარალიძე, ვარდო ჩოხარაძე, თბილისი, 2011;
84. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973;
85. ჩიქობავა არნ., -ონ სუფიქსი მეგრულში. ტსუ მოამბე, ტ. VI, ტფილისი, 1926;
86. ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942;
87. ჩიქობავა არნ., ერთი უცნობი თანდებული ქართულში, თხზ. ტ. II, თბილისი, 2010;
88. ჩოხარაძე მ., ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში, წიგნი პირველი, მარმარილოს ზღვის რეგიონი, ბათუმი, 2016;
89. ძიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1960;
90. ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი, თბილისი, 1973;
91. ცეცხლაძე ნ., ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან, ბათუმი, 2004;
92. ცეცხლაძე ნ., შავშეთის ტოპონიმია. იხ. შავშეთი (ავტორთა ჯგუფი), თავი VII, თბილისი, 2011;
93. ცინცაძე მ., კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, ტ. I, ბათუმი, 1954;
94. ცინცაძე მ., ფაღავა მ., სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს.) თბილისი, 1998;
95. ცინცაძე მ., ტაოური ქართულის ზოგი თავისებურება; XXI დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2001;
96. ცინცაძე მ., სიტყვაწარმოებისათვის შავშურში, ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VIII, ბათუმი, 2014;
97. ცინცაძე მ., „უკან“ სიტყვის მნიშვნელობისა და სინტაქსური ფუნქციისათვის კლარჯულში. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, 10, ბათუმი, 2015;

98. ჯანაშია ს., მრავლობითი რიცხვის -თა/თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის. შრომები, III, თბილისი, 1959;
99. ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988;
100. ჯორბენაძე ბ., ქართული დილექტოლოგია, I, თბილისი, 1989;
101. ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, II, თბილისი, 1998;
102. ჯორბენაძე ბ., ქართველურ ენათა დიალექტები, თბილისი, 1995;

შემოკლებათა განმარტებანი:

აგ.:

აგარა;

ადაგ.:	ადაგული;
ადლ.:	ადლიე;
ავ.:	ავანა;
არხ.:	არხვა;
აჭ.:	აჭარული;
ახ.:	ახალდაბა;
აკ.:	აკრია;
ბაგ.:	ბაგინი;
ბაზგ.:	ბაზგირეთი;
ბაშქ.:	ბაშქოი;
ბზ.:	ბზათა;
ბორ.:	ბორჩხა;
ბრ.:	ბრილი;
ბუჯ.:	ბუჯური;
ბურ.:	ბურსა;
ბახჩ.:	ბახჩაყანა;
ბსუ :	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
გურ.:	გურბინი;
გუჯ.:	გუჯუჯეი;
და.:	დაბა;
დაბ.:	დაბაწვრილი;
დევ.:	დევსქელი;
დეირ.:	დეირმანჯილი;
დიალ.:	დიალექტოლოგია;
დიობ.:	დიობანი;
დას.:	დასამობი;
დიდაჭ.:	დიდაჭარა;
ედ.:	ედებიე;

ელიას.:	ელიასხევი;
ერენ.:	ერენქოი;
ვანამ.:	ვანამეები;
ზ.:	ზოისი;
ზაქ.:	ზაქიეთი;
ზ.ქ.:	ზემო ქურქ;
ზ. მარ.:	ზემო მარადიდი;
ზ. აჭ.:	ზემო აჭარა;
ზენ.:	ზენაგარა;
თეთრ.:	თეთრაკეთი;
თეფ.:	თეფექოი;
თხილ.:	თხილაზორი;
იბრ.:	იბრიქლი;
ივ.:	ივეთი;
ინეგ.:	ინეოლი;
ირემამ.:	ირემამეები;
ირშ.:	ირშადიე;
ისკ.:	ისკები;
კაბაქ.:	კაბაქდალი;
კირნ. მარად.:	კირნათ-მარადიდი;
კირნ.:	კირნათი;
კოკ.:	კოკბერეთი;
კლარჯ.:	კლარჯეთი;
კრებ.:	კრებული;
ლივ.:	ლივანური მეტყველება-წიგნში: ჩვენებურების ქართული;
მან.:	მანატბა;
მაც.:	მაჩხატეთი;
მარ.:	მარეთი;
მეკ.:	მეკეიძეები;

მინთ.:	მინთაძეები;
მურკ.:	მურკვეტი;
მერჯ.:	მერჯიმექდუზი;
მუს.;	მუსლუბი;
ნამ.:	ნამონასტრევი;
ნაფ.:	ნაფურნევის იაილა;
ნიგ.:	ნიგალი;
ნიოლ.:	ნიოლეთი;
ნიჟ.;	ნიჟარამე;
ნუს.:	ნუსრეთიე;
საბ.:	სულხან-საბა ორბელიანი;
საზგ.:	საზგირელი;
სათ.:	სათიბი;
საც.:	საციხური;
სტამბ.:	სტამბული;
საუ.;	აჭარული საუნჯე;
სტეფ.:	სტეფანაშვილები;
ტბ.:	ტბეთი;
ტრაპ.:	ტრაპენი;
უ.:	უბე;
უსტ.:	უსტამისი;
ქართ.:	ქართლა;
ქლასკ.:	ქლასკური;
ქორ.:	ქორგანი;
ქუაბ.:	ქუაბაგი;
ქობ.:	ქობულეთური კილოკავის მასალები;
ქეგლ.:	ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი;
ქობ. მუჰ.:	ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველება;
ქრესტ.:	ქრესტომათია;

ღორჯუ.	ღორჯომი;
შ.	შუახვევი;
შავშ.	შავშეთი;
შავშ.	შავშათი;
შდრ.	შედარება;
შერ.	შერეფიე;
შოლტ.	შოლტისხვევი;
ჩიხ.	ჩიხორი;
ჩაქ.	ჩაქველთა;
ჩვენებ.	ჩვენებურების ქართული;
ჩიხ.	ჩიხვთა;
ცუც.	ცუცეკარი;
ცხ.	ცხარეთი;
ძიძიგ.	ძიძიგური;
წეთ.	წეთილეთი;
წით.	წითლეკარი;
წინწ.	წინწკალაშვილები;
წყალს.	წყალსმიერი;
ჭალ.	ჭალა;
ჭილ.	ჭილაგრი;
ჭილ.	ჭილათი;
ხ.	ხება;
ხ.	ხულო;
ხევწ.	ხევწრული;
ხიხამ.	ხიხამირი
ხობ.	ხობლევი;
ჯვარ.	ჯვარისხვევი;
ჯივ.	ჯივანი;
ჰაირ.	ჰაირიე;

ჰამ.: ჰამიდიე;
ჰაჯ.: ჰაჯეთი.